WAVE

WOMEN AGAINST VIOLENCE EUROPE

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები

გზამკვლევი

WIN – Women & Men Innovating & Networking for Gender Equality

OSCE

ანაბეჭდი

გამომცემელი: ევროპის ქალები ძალადობის წინააღმდეგ, ბაჰერპლაცი 10/6, A-1050 ვენა
WAVE საინფორმაციო ცენტრი: ორშაბათი-ხუთშაბათი: 9:00 to 17:00, პარასკევი: 9:00 to 15:00
ტელ.: +43-1-548 27 20 **ელ ფოსტა:** office@wave-network.org
ვებ-გვერდი: www.wave-network.org
ZVR: 601608559
ავტორები: ინესა ადილხანიანი, თათევიკ აღაბეკიანი, მარტა ჩუმალო, ჰალინა ფედკოვიჩი, ეკატერინე გამახარია, გორიცა ივიჩი
პროექტის კოორდინატორი: ელენა ფლორიანი
WAVE- ის ინტერნების: შარლოტა კრამერისა და მარია ჰოლცის და
WAVE-ის გუნდის წევრების: ლეა დუდოსა და ბევერლი მტუის მხარდაჭერით
გრაფიკული დიზაინი: მონიკა მედვეი
ყდა: iStock.com/DrAfter123

ოფიციალური მადლობა შემდეგ პირებს: ქნარიკ მკრტიჩიანი (ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხთა დამოუკიდებელი ექსპერტი), გაიანე ამბარცუმიანი (შუშის ქალთა რესურს-ცენტრის დირექტორი), ემა კამკია, გურანდა გვანცელაძე, და ხათუნა გოგუა (ქალთა ფონდი „სოხუმი“), ნადია გოლუბოვიჩი და ლანა იაცევიჩი (ქალთა გაერთიანებული ფონდი „ბანა ლუკა“), რადმილა ჟიგიჩი (ფონდი „ლარა“ ბიელინა), და ავტორთა მიერ ჩატარებულ ინტერვიუთა რესპონდენტებს.

გამოცემის ადგილი და წელი: ვენა, ავსტრია, 2022

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა და გამოქვეყნდა ეუთოს ფინანსური მხარდაჭერით, WIN პროექტის ფარგლებში. პუბლიკაციაში გამოქვეყნებული შეხედულებები, ინტერპრეტაციები და დასკვნები ავტორთა პირადი მოსაზრებებია და შესაძლოა არ გამოხატავდეს ეუთოს, მის დონორთა, ან წევრ სახელმწიფოთა მოსაზრებებს.

გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება საომარ და ომის შემდგომ გარემოში

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება და რეკომენდაციები

შესავალი	4
1 მონაცემები ქვეყნების მიხედვით: ქალთა როლი ომის დროს	**5**
სომხეთი	5
ბოსნია და ჰერცეგოვინა	6
საქართველო	7
უკრაინა	9
2 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო	**10**
3 ომის დროს და ომის შემდეგ ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები	**15**
4 ომის ზეგავლენა ქალებსა და გოგონებზე	**17**
ომის შედეგები ქალებსა და გოგონებებზე და ქალების მიმართ ძალადობასთან ურთიერთგადამკვეთი განზომილებები	17
გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპიური ფორმები ომის დროს და ომის შემდეგ	21
5 ომში ქალების შესახებ მითების დამსხვრევა	**27**
6 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის	**31**
ომის დროს და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება	31
უკრაინა	31
სომხეთი	35
გაჭიანურებული კონფლიქტი	42
საქართველო	42
ომის შემდგომი და გრძელვადიანი სტრატეგიები	51
ბოსნია და ჰერცოგოვინა	51
7 რეკომენდაციები	**59**
ტერმინოლოგია	62

შესავალი

გენდერული ნიშნით ძალადობა (GBV) მრავალ ფორმას იძენს კონფლიქტის დროს და მას გამანადგურებელი შედეგები მოაქვს ძალადობის მსხვერპლთა, მათი ოჯახებისა თუ თემისთვის, ხელყოფს ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების პერსპექტივას. კონფლიქტური სიტუაციის დროს ქალები, გოგონები და მოწყვლადი ჯგუფები განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენენ, გაუპატიურება და სქესობრივი ძალადობა საომარი ტაქტიკის ნაწილად იქცევა, ძალზე იზრდება ტრეფიკინგის, ოჯახური ძალადობის (DV), ექსპლუატაციის, და სექსუალური მონობის რისკი. კონფლიქტის შემდგომ გარემოშიც საგრძნობლად იმატებს გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევები, რადგანაც კონფლიქტებში მონაწილეობა და ომის შედეგად მიღებული ტრავმის გავლენა პირდაპირ კავშირშია ოჯახური ძალადობის ინტენსივობის ზრდასთან. შესაბამისად, ზემოხსენებულ რისკთა შემცირების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს ეფექტიანი პრევენციისა და მრავალ-სექტორული რეაგირების მექანიზმები.

WAVE (ევროპელი ქალები ძალადობის წინააღმდეგ)-მა მოცემული პროექტი ეუთოსთან (ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) თანამშრომლობით წამოიწყო, რათა უკეთესი მხარდაჭერა გაეწია ძალადობის მსხვერპლთათვის და დახმარებოდა კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ ტერიტორიებზე განთავსებულ სამოქალაქო აქტივობის ორგანიზაციებს (CSO-ები).

მოცემული გზამკვლევი, რომელიც ქალთა ორგანიზაციების გამოცდილებას ეყრდნობა, არა მხოლოდ საომარ კონფლიქტებთან დაკავშირებულ ზიანსა და გამოწვევებს ასახავს, არამედ WAVE-ის ოთხი წევრის მიერ განხორციელებულ პერსპექტიულ პრაქტიკასაც წარმოგვიდგენს, კონკრეტული მაგალითების მოშველიებით, იმ ქალთა ორგანიზაციების ინიციატივებისა და რეკომენდაციების ჩათვლით, ვისაც თავად გამოცადეს და განიცდიან ომის საშინელებას.

პროექტში ჩართული WAVE-ის წევრები არიან „სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა კრიზისული ცენტრი“ (ერევანი, სომხეთი), ქალთა ფონდი „სოხუმი“ (ქუთაისი და თბილისი, საქართველო); გაერთიანებულ ქალთა ფონდი „ბანია ლუკა“ (ბანია ლუკა, ბოსნია და ჰერცეგოვინა), და ცენტრი „ქალთა პერსპექტივები“ (ლვოვი, უკრაინა). პროექტის ავტორებმა, კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ გარემოში მიღებულ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კონფლიქტის სხვადასხვა სტადიასთან დაკავშირებული საკუთარი სტრატეგიები წარმოადგინეს: (1) მიმდინარე ომისა და გადაუდებელ შემთხვევებზე რეაგირების გარემო, უკრაინელი და სომეხი პარტნიორების საერთო გამოცდილება (2) გახანგრძლივებული კონფლიქტის სიტუაცია, წარმოდგენილი ქართველი პარტნიორის მიერ, და (3) ომის შემდგომი და გრძელვადიანი პერსპექტივა, რომელიც ბოსნია და ჰერცეგოვინას წარმომადგენელი პარტნიორის გამოცდილებას ეყრდნობოდა.

წინამდებარე გზამკვლევის პირველად სამიზნე ჯგუფს ქალთა სპეციალური სამსახურები (WSS) და სამოქალაქო აქტივობის ორგანიზაციები (CSO) წარმოადგენენ, რომლებიც კონფლიქტური და პოსტ-კონფლიქტური გარემოს მსხვერპლ ქალებს უწევენ მხარდაჭერას. თუმცაღა, გზამკვლევი ასევე ეხება ადგილობრივ უფლებამოსილ სტრუქტურებს, პროფესიულ ერთეულებს, გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებს და მშვიდობისმყოფელებს, რათა მათ უკეთ გაიაზრონ ძალადობის მსხვერპლებისა და ქალთა ორგანიზაციების სპეციფიკური საჭიროებები, განახორციელონ ადეკვატური და გენდერ-სენსიტიური პოლიტიკა, და ჰქონდეთ შესაბამისი რეაქცია.

1 მონაცემები ქვეყნების მიხედვით: ქალთა როლი ომის დროს

ის ქალთა ორგანიზაციები, რომელთაც მოცემული გზამკვლევის შემუშავებაში მიიღეს მონაწილეობა, სომხეთის, ბოსნია და ჰერცეგოვინას, საქართველოს, და უკრაინის ტერიტორიაზე მდებარეობენ. ავტორები საკუთარ გამოცდილებას იყენებენ ომისა და ომის შემდგომ გარემოში გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების კონტექსტში. მოცემული თავი მიზნად ისახავს, მკითხველს მოკლედ გააცნოს თითოეული ქვეყნის პროფილი, რომელიც შემაჯამებელი სახით გადმოგვცემს კონფლიქტის მთავარ ფაქტებს და მოიცავს ქალთა როლს ომის მიმდინარეობისას და მის შემდგომ. მსგავსი მიდგომა ყოველი ქვეყნის მიერ გაზიარებული გამოცდილებისა და სტრატეგიების კონტექსტუალიზაციაში დაგვეხმარება.

სომხეთი

მოსახლეობა	2,959,694
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	1,562,689
ევროსაბჭოს წევრი (წელი)	2001
ევროკავშირის წევრი (წელი)	არა
გაეროს წევრი (წელი)	1992
CEDAW-ის რატიფიცირება (წელი)	1993
CEDAW- ის არასავალდებულო პროტოკოლის რატიფიცირება (წელი)	2006
სტამბულის კონვენციაზე ხელის მოწერა (წელი)	2018
სტამბულის კონვენციის რატიფიცირება (წელი)	არა

მქონე ობიექტები, როგორიცაა ავტომაგისტრალი, ცენტრალური ბაზარი, ელექტროსადგური, სასურსათო მაღაზიები, და საწყობები. შედეგად, მთიანი ყარაბაღის დაახლოებით 90.000 მაცხოვრებელი (რომელთა უმეტესობასაც ქალები შეადგენდნენ), იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა, დაკარგა სახლი და საკუთრება, რის გამოც უხეშად დაირღვა ათასობით ქალისა და გოგონას უფლებები განათლების მიღების, სოციალური უსაფრთხოების, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით. დამატებით, მთიანი ყარაბაღის მკვიდრი ქალები და გოგონები არასათანადო საცხოვრებელ პირობებში განათავსეს, რაც სქესობრივი ძალადობისგან მათ დაცვას არ უზრუნველყოფდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალებს მონაწილეობა არ მიუღიათ იმ მოლაპარაკებებში, რაც ცეცხლის შეწყვეტას უძღოდა წინ და არცერთი ქალი არ იყო ჩართული სამშვიდობო შეთანხმების მისაღებად გამართულ შეხვედრებში. სამთავრობო დონეზე ნაკლებად აისახა ის, თუ რა გავლენა მოახდინა 44 დღიანმა ომმა ქალებზე, რადგან სერვისების უმეტესობა (და განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები), ომის შემდგომ საწყის ეტაპზე მაინც, დაჭრილი ჯარისკაცებისკენ იყო მიმართული. მეტიც, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას მათ მეტწილად ამ სფეროს ქალი-პროფესიონალები უწევდნენ, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები და ტრანსგენერაციული ტრავმა ქალებში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წევრ ქალებს და განსაკუთრებით ფრონტის ხაზზე მომუშავე ქალებს, რომლებიც ომამდე აქტიურად იყვნენ ჩართული საზოგადოებრივ და სამშვიდობო საქმიანობებში, ომის შემდგომი პერიოდის სომხეთში თვით მობილიზაცია და ერთმანეთის მხარდაჭერა მოუხდათ, რათა „გადაწვის“ (ბევრი მუშაობის შედეგად გამოფიტვის) საფრთხისთვის აერიდებინათ თავი და საკუთარი საქმიანობის გაგრძელება მოეხერხებინათ.

ბოსნია და ჰერცეგოვინა

მოსახლეობა	3,492,01812
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	1,962,04013
ევროსაბჭოს წევრი (წელი)	2002
ევროკავშირის წევრი (წელი)	არა
გაეროს წევრი (წელი)	1992
CEDAW-ის რატიფიცირება (წელი)	1993
CEDAW- ის არასავალდებულო პროტოკოლის რატიფიცირება (წელი)	2002
სტამბულის კონვენციაზე ხელის მოწერა (წელი)	2013
სტამბულის კონვენციის რატიფიცირება (წელი)	2013

1992 წელს ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ევროპის მიწაზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე სისხლისმღვრელ კონფლიქტადაა მიჩნეული და რომელსაც 100,0000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამ ომის შედეგები იყო საკონცენტრაციო ბანაკები ქალებისა და მოხუცებისთვის, მასობრივი ძალადობა და მკვლელობები, გაუპატიურებები, განადგურებული კულტურული ძეგლები, გადამწვარი რელიგიური შენობები, განადგურებული და გადამწვარი სახლები, და ერთი მილიონი ლტოლვილი.

დაგროვილი ტრავმა, კონფლიქტის თაობათაშორისი გადაცემა, და სიმართლის ჩახშობა ის რამდენიმე ფაქტორია, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მიზეზად იქცა.

ბოსნია და ჰერცეგოვინას შეიარაღებული კონფლიქტი დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ, 1995 წელს შეწყდა, რომლის თანახმადაც ბოსნია და ჰერცეგოვინა ორ ნაწილად გაიყო, ბოსნია ჰერცეგოვინის ფედერაციად და სერბთა რესპუბლიკად. ხელშეკრულების ხელისმოწერიდან ოცდაშვიდი წლის განმავლობაში ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ტერიტორიაზე ახალ შეიარაღებულ კონფლიქტს ადგილი აღარ ჰქონია, თუმცა არ არსებობს საერთო აღქმა იმისა, თუ რა მოხდა სინამდვილეში: მიზეზების, მსხვერპლის რაოდენობის, კონფლიქტის შედეგებისა თუ დაწყება-დასრულების ოფიციალური თარიღის საყოველთაო, შეთანხმებული გაცნობიერება არ შედგა. პოლიტიკური ელიტების მიერ გამოყენებული განსხვავებული პოლიტიკური რიტორიკა, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის დროს, დღემდე გრძელდება და უარყოფითად მოქმედებს თემთა შორის ურთიერთობაზე.

ბოსნია და ჰერცეგოვინაში ომის, მშვიდობის, უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტისას მხოლოდ მამაკაცების ხმები ისმოდა. არცერთი ქალი არ ესწრებოდა დეიტონის ხელშეკრულების ხელისმოწერას. ქალებს, მეტწილად, ომის იმ კონტექსტში ფიგურირებდნენ, რომელიც გაუპატიურებულ ადამიანთა რაოდენობას ეხებოდა. 1992-1995 წლების საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 20,000-დან 50,000-მდე ქალი, გოგონა, ბიჭი, და მამაკაცი გააუპატიურეს. სხვა შემთხვევებში, ქალებს ნაკლებად ახსენებდნენ.

საქართველო

მოსახლეობა	3,716,858
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	1,926,579
ევროსაბჭოს წევრი (წელი)	1999
ევროკავშირის წევრი (წელი)	არა
გაეროს წევრი (წელი)	1992
CEDAW-ის რატიფიცირება (წელი)	1994
CEDAW- ის არასავალდებულო პროტოკოლის რატიფიცირება (წელი)	2002
სტამბულის კონვენციაზე ხელის მოწერა (წელი)	2014
სტამბულის კონვენციის რატიფიცირება (წელი)	2017

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი გარდამავალი პერიოდი მკვეთრი ეკონომიკური ვარდნით, განადგურებული მრეწველობით, მასობრივი უმუშევრობითა და ეთნიკურ კონფლიქტთა სერიით გამოირჩეოდა, რომელთაც განუზომელი გავლენა მოახდინეს ქალთა ცხოვრებაზე. საქართველოს სამხედრო კონფლიქტები ორ რეგიონთან, სამხრეთ ოსეთი (1900-1991) და აფხაზეთი (1992-1993), რომელთაგან ორივე რუსეთს ესაზღვრება, მასობრივი იძულებითი ადგილმონაცვლეობის მიზეზი გახდა 300,000-ზე მეტი ადამიანისათვის. მეორე მასობრივი იძულებით გადაადგილება სამხრეთ ოსეთში რუსეთ-საქართველოს ომს მოჰყვა 2008 წელს, როდესაც 192,000-ზე მეტ ადამიან მოუხდა სახლის დატოვება, რომელთაგან დაახლოებით 20,000-მა ვეღარ შეძლო მშობლიურ მხარეს დაჰბრუნებოდა, ადგილზე რუსი სამხედრო ძალების ჩაყენებისა და მათი სოფლებისა თუ სახლების განადგურების გამო.[1] ამჟამად, საქართველოში 283,271 იძულებით გადაადგილებული პირია (IDPs) რეგისტრირებული, რაც საერთო მოსახლეობის, დაახლოებით, 8%-ს შეადგენს (90,156 ოჯახი),[2] რაც მოცემულ შემთხვევას ქვეყნის ფარგლებში იძულებით გადაადგილების ყველაზე მასშტაბურ მაგალითად აქცევს მსოფლიოში, ქვეყნის საერთო მოსახლეობის და იძულებით ადგილნაცვალ პირთა შეფარდებით. დემოგრაფიული მონაცემების თანახმად, დევნილ პირთა 55% ქალია, 9% - 18 წლამდე ბავშვი, 13 % კი - 65 წელზე უფროსი ადამიანი.[3]

საქართველოში კონფლიქტების და ომების შედეგად ათასობით ადამიანი დაიღუპა. გაუპატიურება გავრცელებული მოვლენა იყო აფხაზეთის ომში, როდესაც ორივე მხარის ჯარისკაცები სქესობრივ ძალადობას, როგორც ეთნიკური წმენდის საშუალებას, მიმართავდნენ. მართალია, საქართველოში მიმდინარე კონფლიქტები და ომი შედარებით ხანმოკლე იყო, მაგრამ ამ პროცესებმა იძულებით გადაადგილებულ ქალებსა და მათი ოჯახის წევრებზე ხანგრძლივი და გამანადგურებელი გავლენა მოახდინა. ფსიქოლოგიური სტრესის მიზეზები როგორც კონფლიქტის, ასევე, კონფლიქტის შემდგომ პერიოდს უკავშირდებოდა. პრობლემათა უმეტესობა ოჯახის ახლო წევრთა, სახლისა და საკუთრების დაკარგვით, დაბომბვებითა და ომის დროს მომხდარი ძალადობით იყო განპირობებული.[4] სიტუაციას დამატებით ართულებდა დევნილობის გაჭიანურებული პერიოდი, მზარდი ეკონომიკური პრობლემები, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ცენტრებში არსებული გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები. კონფლიქტისა და მუდმივად მძიმე სოციალური მდგომარეობის შედეგად მიღებული

1 მსოფლიო ბანკი (2016). საქართველოს გარდამავალი მდგომარეობა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებაზე დაფუძნებული დახმარების სტატუსთან მიმართებით. სიღატაკისა და სოციალური გავლენის ანალიზი. მოხსენება No: ACS16557. https://documents1.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf

2 ბოლქვაძე თ./ დანიის ლტოლვილთა საბჭო (2019). კოორდინაცია და მონაწილეობა საქართველოში-ქმედითი და ნაკლებ ქმედითი ნაბიჯები. ქვეყნის ფარგლებში იძულებით გადაადგილების მონიტორინგის ცენტრი. https://www.internal-displacement.org/global-report/grid2020/downloads/background_papers/2020-IDMC-GRID-background-georgia.pdf

3 მსოფლიო ბანკი (2016). საქართველოს გარდამავალი მდგომარეობა იძულებით გადაადგილებულ პირთა საჭიროებაზე დაფუძნებული დახმარების სტატუსთან მიმართებით. სიღატაკისა და სოციალური გავლენის ანალიზი. მოხსენება No: ACS16557. https://documents1.worldbank.org/curated/en/493981468030331770/pdf/IDP-PSIA-Georgia-revised-Feb-2016.pdf

4 ხარაშვილი ჯ. (1995). საქართველოში მომხდარ სამხედრო კონფლიქტთა მსხვერპლი, იძულებით გადაადგილებული ბავშვებისა და ქალების ფსიქოლოგიური შემონმება. ოქსფამი, თბილისი, საქართველო.

ტრავმები პირდაპირ კავშირშია ოჯახურ ძალადობასთან, სიტუაციას კიდევ უფრო ამძიმებს სათანადო დამცავი მექანიზმების, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სხვა სერვისების ნაკლებობა.

ქვეყნის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული ქალები მნიშვნელოვანწილად ჩამოცილებულნი არიან კონფლიქტის შემდგომი საქართველოს პოლიტიკურ პროცესებს. კონფლიქტით დაზარალებული ქალები ასევე არც არსებულ პოლიტიკურ მოლაპარაკებათა პროცესში არიან ჩართულნი. ზოგადად, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფორმატის 12 მონაწილიდან მხოლოდ ორია ქალი.[5] დღესდღეობით, ქალების როლი პოლიტიკურ არენაზე არც მათი რაოდენობრივი მონაცემების და არც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი ლიდერული პოტენციალის შესაბამისია.



5 ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებს 2008 წლის ოქტომბერში ჩაეყარა საფუძველი ჟენევაში, შვეიცარია, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე მუშაობის მიზნით. იხ.: https://smr.gov.ge/en/page/26/geneva-international-discussions

უკრაინა

მოსახლეობა	41,732,779
მდედრობითი სქესის მოსახლეობა	22,389,339
ევროსაბჭოს წევრი (წელი)	1995
ევროკავშირის წევრი (წელი)	No
გაეროს წევრი (წელი)	1945
CEDAW-ის რატიფიცირება (წელი)	1981
CEDAW- ის არასავალდებულო პროტოკოლის რატიფიცირება (წელი)	2003
სტამბულის კონვენციაზე ხელის მოწერა (წელი)	2011
სტამბულის კონვენციის რატიფიცირება (წელი)	2022

კრიზისი უკრაინასა და მის გარშემო, 2014 წელს, ყირიმის ანექსიით და აღმოსავლეთ უკრაინაში კონფლიქტის გაჩაღებით დაიწყო. მაშინ როცა, დონბასში უსაფრთხოების მდგომარეობა უარესდებოდა, 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ დაიწყო სრულმასშტაბიანი სამხედრო მოქმედებები და უკრაინაში შეიჭრა.

2014 წელს კონფლიქტის დაწყებიდან უკრაინის არმიაში ქალთა როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა: ქალებმა ისეთ თანამდებობებზეც მიიღეს წვდომა, სადაც ადრე მხოლოდ მამაკაცები მოიაზრებოდნენ, უკრაინის სამხედრო ძალებში მომსახურე ქალთა რაოდენობა კი ორმაგზე უფრო მეტად გაიზარდა.[6] თუმცა, დისკრიმინაცია და შევიწროება მაინც მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა უკრაინულ შეიარაღებულ ძალებში. მეტიც, 2022 წელს რუსეთის აგრესიის შემდეგ სათანადო სერვისებისა და სამართლიანობის წვდომა კიდევ უფრო გართულდა გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის. იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ თავშესაფრებში იძულებით გადაადგილებულ ქალთა და ბავშვთა განთავსების საჭიროება მნიშვნელოვანწილად გაიზარდა, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სპეციალიზებულ თავშესაფრებში თითქმის ყველა ადგილი იძულებით გადაადგილებულმა პირებმა დაიკავეს. მრავალი არასპეციალიზებული დაწესებულება (სკოლები, ბაღები, სტადიონები, და ა.შ.) გადაკეთდა თავშესაფრად და ადამიანებს ხშირად საერთო სივრცეში მოუწიათ მრავალი თვის გატარება, რაც მსგავს თავშესაფრებში მაცხოვრებელთა შორის კონფლიქტებისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევების ზრდას იწვევდა. საუბედუროდ, მსგავს დაწესებულებათა ადმინისტრაცია ყოველთვის ადეკვატურად ვერ რეაგირებდა მსგავს ინციდენტებზე. დამატებით, გავრცელებულია ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევები, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, განსაკუთრებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მაგრამ ჯერ კიდევ რთულია შემთხვევათა რაოდენობის დათვლა და ძალადობის შესახებ გაკეთებულ განცხადებათა დოკუმენტირება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, რომელთაც უკრაინის დასავლეთ და ცენტრალურ რეგიონებს ფრონტისპირა ადგილებიდან მიაშურეს. ამ ქალთა დიდი ნაწილი მარგინალიზებული, ან დაბალ შემოსავლიანი ფენის წარმომადგენელია, ჰყავთ უნარშეზღუდული ბავშვები, ან მოხუც მშობლებს უვლიან, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. ქალები იმ მოხალისეთა დიდ უმრავლესობას შეადგენენ, რომლებიც ფრონტზე მყოფთა საჭიროებებისთვის ზრუნავენ, აგროვებენ თანხას, ყიდულობენ აუცილებელ პროდუქტებს, ტანსაცმელს, ხშირად, სამხედრო იარაღსაც, და ზრუნავენ დაჭრილებზე. ძირითადად სწორედ ქალები ეხმარებიან იძულებით გადაადგილებულ პირებს ოკუპირებული და ფრონტისპირა ტერიტორიების დატოვებაში და ისინი უკრაინის შედარებით უსაფრთხო ტერიტორიებზე გადაჰყავთ. დამატებით, ქალები მხარდაჭერას უჩენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეხმარებიან მათ თავშესაფრის მოძიებაში, საკვების მომზადებაში, საჭირო ნივთების შეგროვებაში. და ხშირად ამას თავიანთი ძირითადი საქმიანობისა და ყოველდღიური მოვალეობების, ოჯახზე ზრუნვის პარალელურად აკეთებენ.

6 Rzegocki, S. and James, N.S. (2022). Ukraine's Women at War. Accessed October 14, 2022. Ukraine's Women at War - CEPA

2 საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო

მოცემული თავი აჯამებს იმ საერთაშორისო ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც საომარი კონფლიქტის გარემოში ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას ეხება და მოიცავს იმ საერთაშორისო საკანონმდებლო დოკუმენტების მიმოხილვას, რომლებიც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს და საერთაშორისო ჰუმანიტარული საზოგადოების მიერაა შექმნილი. ყოველი სახელმწიფოს პირველადი მოვალეობა მისი მოქალაქეების დაცვაა, მაგრამ თუ მას არ შეუძლია, ან არ სურს, საკუთარი ვალდებულებებისა და მოვალეობის შესრულება, მაშინ საერთაშორისო საზოგადოება უნდა ჩაერიოს და ყველა სათანადო საკანონმდებლო ინსტრუმენტი გამოიყენოს, რათა მოსახლეობა ომის შედეგებისაგან დაიცვას.

საომარი კონფლიქტის დროს ქალთა და გოგონათა დასაცავად მყარ საკანონმდებლო და ოპერატიულ სამართლებრივ ჩარჩოებს საერთაშორისო კანონმდებლობის შემდეგი ძირითად და დამატებით კანონთა კრებულები უზრუნველყოფს:

- **საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი;**
- **ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო სამართალი;**
- **საერთაშორისო კრიმინალური სამართალი.**

საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: ე.წ. **„მკაცრი სამართალი“**, რომელიც სავალდებულო კანონმდებლობას წარმოადგენს სახელმწიფოთათვის (მაგალითად, ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციები), და ე.წ. **„რბილი სამართალი“**, რომელიც არასავალდებულოა და სახელმწიფოთა პოლიტიკურ და მნიშვნელოვან მორალურ ვალდებულებებს განსაზღვრავს (მაგ.: სამოქმედო გეგმები, დეკლარაციები). [7]

■ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი

ქალთა მიმართ ძალადობა (VAW) შეიარაღებული კონფლიქტის დროს წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის (IHL) დარღვევას. **1949 წლის ჟენევის კონვენციები და მათი დამატებითი ოქმები**[8] დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულ დებულებებს შეიცავს.[9] რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის თანახმად, მდედრობითი სქესის სამოქალაქო პირების და იმ მებრძოლთა უფლებები, რომლებიც საომარ მოქმედებებში აღარ მონაწილეობენ, ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც მამაკაცებისა. დამატებით, ქალი-ტყვეების შემთხვევაში მოქმედებს სპეციალური დაცვის პირობები, როგორიცაა, მაგალითად, დაკავებულ ქალთათვის ცალკე საპატიმრო სივრცის გამოყოფა (ო.I, მუხლი 75, პარ. 5). კონვენციაში ასევე გაწერილია ფეხმძიმე ქალების და მცირეწლოვან შვილთა დედების, განსაკუთრებით, მეძუძური დედების განსაკუთრებული საჭიროებები (კ. IV, მუხლი 89; ო.I მუხლი 76, პარ. 2).

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს გაუპატიურებას და ქალთა მიმართ სხვა სექსუალური ძალადობის ფორმებს და მათ ომის დანაშაულად მიიჩნევს. ჟენევის მეოთხე კონვენცია საომარი მდგომარეობის დროს სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ აცხადებს: „ქალები განსაკუთრებით უნდა იყვნენ დაცული მათი ღირსების შემლახავი ნებისმიერი თავდასხმისაგან, განსაკუთრებით,

7 გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი (2008). ქალთა და გოგონათა დაცვის სახელმძღვანელო, გვ. 333. https://www.unhcr.org/47c-fad542.html

8 ჟენევის კონვენციები (1949). https://www.icrc.org/en/doc/assets/files/publications/icrc-002-0173.pdf. ჟენევის კონვენციების დამატებითი ოქმები (1949). https://www.icrc.org/en/doc/assets/files/other/icrc_002_0321.pdf

9 პირველი და მეორე კონვენციის მუხლი 12, მესამე კონვენციის მუხლი 16, მეოთხე კონვენციის მუხლი 27 და I დამატებითი ოქმის მუხლი 75 და II დამატებითი ოქმის მუხლი 4 (ქვემოთ მოხსენიებულია, როგორც კ.I, კ.II, კ.III, კ.IV, ო.I და ო.II)

გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციისა და გაყვრნილი ქმედებების ნებისმიერი ფორმისგან". (კ. IV, მუხლი27).

■ ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო სამართალი

ადამიანთა უფლებათა საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო წესთა კრებულია, რომელიც ნებისმიერი ადამიანის - ქალთა, მამაკაცთა, და ბავშვთა- უფლებებისა და ღირსების დაცვას ემსახურება, დისკრიმინაციის გარეშე. იგი 1948 წელს ადამიანთა უფლებების უნივერსალური დეკლარაციის (UNDHR) მიღების შემდეგ განვითარდა და ახლა მრავალი უნივერსალური და რეგიონული საკანონმდებლო ინსტრუმენტითაა მხარდაჭერილი.

კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ გარემოში გენდერული ნიშნით ძალადობასა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობას ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დაცვის შემდეგი მთავარი ინსტრუმენტები უკავშირდება:

- **ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (CEDAW)**[10] დღემდე რჩება ყველაზე ფართოდ რატიფიცირებულ ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების დაცვის ხელშეკრულებად, რომელიც ქალთა და გოგონათა უფლებებს და ამ უფლებების დაცვის კუთხით სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ეხება. ხსენებულ უფლებებს მიეკუთვნება ძალადობისგან დაცვის უფლება. CEDAW-ი უკავშირდება ქალთა წინააღმდეგ ძალადობის დასრულების ბრძოლას, რაც საომარი კონფლიქტის დროს სქესობრივი და გენდერული ნიშნით ძალადობასაც მოიცავს.

- **CEDAW-ის ზოგადი რეკომენდაცია No. 19: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა,**[11] რომელიც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მეთერთმეტე სესიაზე მიიღეს 1992 წელს, ადგენს, რომ - „ომები, შეიარაღებული კონფლიქტები და ტერიტორიების ოკუპაცია ხშირად პროსტიტუციის, ქალთა ტრეფიკინგის და სექსუალური ძალადობის ზრდას იწვევს, რაც სპეციფიკურ დამცავ და სადამსჯელო ზომებს მოითხოვს" (მუხლი 6.16).

- ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ორმოცდამეშვიდე სესიაზე, 2010 წელს გადაწყდა, რომ ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის 21-ე მუხლის თანახმად, მიეღოთ **ზოგადი რეკომენდაცია No. 30 ქალთა შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში.**[12] ქალთა ადამიანის უფლებების დაცვა, გენდერული თანასწორობის არსებითი გაუმჯობესება კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდგომ, და იმის უზრუნველყოფა, რომ ქალთა მრავალფეროვანი გამოცდილება სრულად იყოს ინტეგრირებული სამშვიდობო, მშვიდობის შენარჩუნების, და რეკონსტრუქციის პროცესებში, კონვენციის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს წარმოადგენს.

- **პეკინის სამოქმედო პლატფორმა 1995** – პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა, რომელიც ერთხმად მიიღო 189 ქვეყანამ 1995 წელს, ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, გლობალური პოლიტიკის ყველაზე მრავლისმომცველ ჩარჩოდაა მიჩნეული ქალთა უფლებების კუთხით. იგი აღიარებს ქალთა უფლებებს, როგორც ადამიანის უფლებებს და ადგენს ყოვლისმომცველ საგზაო რუკას ქალებსა და კაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად, კონკრეტული ზომებითა და გაზომვადი შედეგებით მთელ რიგ

10 ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია (1979). https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/ProfessionalInterest/cedaw.pdf

11 CEDAW-ის ზოგადი რეკომენდაცია No. 19: ქალთა წინააღმდეგ ძალადობა (1992). https://www.legal-tools.org/doc/f8d998/pdf/&ved=2ahUKEwi4r8KY2dX#:~:text=Specific%20recommendations&text=(b)%20States%20parties%20should%20ensure,should%20be%20provided%20for%20victims

12 ზოგადი რეკომენდაცია No. 30 ქალთა შესახებ კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტისა და კონფლიქტის შემდგომ სიტუაციებში, ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (2013). https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/HRBodies/CEDAW/GComments/CEDAW.C.CG.30.pdf

საკითხებში, რაც გავლენას ახდენს ქალებსა და გოგონებზე. ეს შედეგები დაყოფილია 12 ურთიერთდაკავშირებულ სფეროდ, მათ შორის ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობა, შეიარაღებული კონფლიქტი, ქალთა წინსვლის ხელშეწყობა და ქალთა ადამიანის უფლებები. სამოქმედო გეგმის D სტრატეგიული ამოცანა ინტეგრირებული ზომების მიღებას ითხოვს სახელმწიფოებისგან ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის მიზნით, განსაკუთრებით ეს ომის შედეგად დაზარალებულ ქალებს ეხება; E სტრატეგიული ამოცანა მოითხოვს „საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა სრულ დაცვას და ყველა საჭირო ზომის მიღებას ქალთა და ბავშვთა დაცვის მიზნით, განსაკუთრებით ეს ეხება გაუპატიურების, იძულებითი პროსტიტუციისა და გაყვრნილი ქმედების ნებისმიერი სხვა ფორმისაგან დაცვას." [13]

- **გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე -** 2000 წლიდან, უსაფრთხოების საბჭომ 10 რეზოლუცია მიიღო ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე (WPS): უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციები (SCR) 1325 (2000), 1820 (2008), 1888 (2008), 1889 (2009), 1960 (2010), 2106 (2013), 2122 (2013), 2242 (2015), 2467 (2019), და 2493 (2019). ისინი მიზნად ისახავდნენ ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას გადაწყვეტილების მიღების, კონფლიქტების პრევენციის, კონფლიქტების გადაჭრისა და პოსტ-კონფლიქტური აღდგენის პროცესებში, და ასევე გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური ძალადობის პრევენციას და შეჩერებას. ამ რეზოლუციებმა[14] (განსაკუთრებით, რეზოლუცია 1325, რეზოლუცია 1820, და რეზოლუცია 1888), პირველად აღიარეს, რომ სექსუალური ძალადობა, რომელიც ფართოდაა გავრცელებული, სისტემატურ ხასიათს ატარებს, ან გამოიყენება როგორც საომარი ტაქტიკა, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას და მრავალი ეროვნული პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის საფუძვლად იქცა კონფლიქტურ გარემოში.

  - **გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325** მიღებულ იქნა 2000 წლის, 31 ოქტომბერს, და ეხება იმ არაპროპორციულ და უნიკალურ გავლენას, რასაც შეიარაღებული კონფლიქტი ახდენს ქალებზე. იგი აღიარებს იმ დაუფასებელ და ნაკლებად გამოყენებულ ძალისხმევას, რაც ქალებს მიუძღვით კონფლიქტის პრევენციის, მშვიდობის შენარჩუნების, კონფლიქტის გადაჭრის და სამშვიდობო პროცესების კუთხით. და ხაზს უსვამს ქალთა, როგორც მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესების აქტიურ მონაწილეთა, თანაბარი და სრული ჩართულობის მნიშვნელობას.
  - **გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1820** მიღებულ იქნა 2008 წლის, 19 ივნისს და აღიარებს სექსუალურ ძალადობას, როგორც ომის იარაღსა და ტაქტიკას. იგი აღნიშნავს, რომ გაუპატიურება და სხვა ფორმის სექსუალური ძალადობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ომის დანაშაულად, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად, ან იყოს გენოციდისთვის გამოყენებული ერთ-ერთი ქმედება. იგი მოითხოვს სექსუალური ძალადობის პრევენციის და მასზე რეაგირების თემაზე საჯარო დანაყოფების სპეციალური ტრენინგებით უზრუნველყოფას და სამშვიდობო ოპერაციებში ქალთა ჩართულობისკენ მოუწოდებს.
  - **გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1888** მიღებულ იქნა 2009 წლის, 30 სექტემბერს, განმეორებით ხაზს უსვამს, რომ სექსუალური ძალადობა ართულებს შეიარაღებულ კონფლიქტს და ხელს უშლის საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. იგი ლიდერებისგან მოითხოვს, რომ გადაჭრან კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრობლემები და ექსპერტთა გუნდი ჩართონ იმ შემთხვევების შესწავლაში, სადაც საქმე გვაქვს სექსუალურ ძალადობასთან.

13 პეკინის დეკლარაცია და მისი სამოქმედო პლატფორმა (1995). გვ. 60. https://www.un.org/womenwatch/daw/beijing/pdf/BDPfA%20E.pdf

14 მშვიდობისა და თავისუფლების ქალთა საერთაშორისო ლიგა. ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხები უსაფრთხოების საბჭოში. მოძიებულია 3 ოქტომბერს, 2022. https://www.peacewomen.org/security-council/WPS-in-SC-Council

- **გაეროს მსოფლიო სამიტი 2005 - მილენიუმის განვითარების მიზნები (MDGs)** – გაეროს მილენიუმის დეკლარაცია, რომელსაც ხელი 2000 წლის სექტემბერში მოეწერა, მსოფლიო ლიდერებს სიღატაკესთან, შიმშილთან, დაავადებებთან, გაუნათლებლობასთან, გარემოს დაზიანებასთან და ქალთა წინააღმდეგ მიმართულ დისკრიმინაციასთან ბრძოლას აკისრებს. მილენიუმის განვითარების მიზნები რამდენიმე მკაცრ განცხადებას აკეთებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აღკვეთის მიზნით– „ჩვენ მკაცრად ვგმობთ ქალთა და გოგონათა ნებისმიერი ადამიანური უფლების დარღვევას შეიარაღებული კონფლიქტის დროს, სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის გამოყენებას, და მიზნად ვისახავთ სტრატეგიათა შემუშავებასა და დანერგვას, რათა აღვნუსხოთ, თავიდან ავირიდოთ და დავსაჯოთ გენდერული ნიშნით ძალადობის ყოველი გამოვლინება.“ [15]

- **ევროსაბჭოს კონვენცია ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის თაობაზე (სტამბულის კონვენცია)**[16], მიღებულ იქნა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2011 წლის აპრილში და წარმოადგენს ნოვატორულ, შესასრულებლად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებას, ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და ოჯახური ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. მოცემული კონვენცია - რომელიც ქალთა და გოგონათა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის მონიტორინგის კუთხით ევროსაბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის შედეგია, ასახელებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს და საუკეთესო პრაქტიკას - იგი ღონისძიებათა ფართო სპექტრს მოიცავს, ცნობიერების ამაღლებისა და მონაცემების მოძიების ვალდებულებებით დაწყებული და სამართლებრივი ზომებითა და ძალადობის სხვადასხვა ფორმის კრიმინალიზაციით დასრულებული. სტამბულის კონვენცია მოქმედებს სამშვიდობო პერიოდსა და შეიარაღებული კონფლიქტის დროს (მუხლი 2.2.) და აღიარებს ადამიათა უფლებების მიმდინარე დარღვევებს შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში, რომლებიც სამოქალაქო მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქალების, წინააღმდეგაა მიმართული და მოიცავს გავრცელებულ ან სისტემატურ გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობას, გენდერული ნიშნით ძალადობის პოტენციურ ზრდას როგორც შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ასევე მის შემდეგ. (პრეამბულა)

საერთაშორისო სისხლის სამართალი

საერთაშორისო სისხლის სამართალი მოიცავს ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა საომარი დანაშაული, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, და გენოციდი. 1998 წლის რომის სტატუტი, რომელიც მუდმივ საერთაშორისო სისხლის სასამართლოს (ICC) აფუძნებს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულის (მუხლი 7.1.გ) და ომის დანაშაულის (მუხლი 8.2. ე) კვალიფიკაციას ანიჭებს გაუპატიურებას, სექსუალურ მონობას, იძულებით პროსტიტუციას, იძულებით ფეხმძიმობას, იძულებით სტერილიზაციას და შესაბამისი სიმძიმის სექსობრივი ძალადობის სხვა ფორმებს. [17]

მიუხედავად შეიარაღებული კონფლიქტის დროს ქალთა სამართლებრივი დაცვის საგრძნობი ზრდისა საერთაშორისო კანონმდებლობის კუთხით, ქალები კვლავ განიცდიან ძალადობას და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. სექსუალური ძალადობა ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული კონფლიქტურ რეგიონთა უმეტეს ნაწილში. დამნაშავეთა ანგარიშგებისა და მსხვერპლთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობები კვლავ უკიდურესად შეზღუდულია. ქალები ისევ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, უსაფრთხოებისა და

15 გაეროს გენერალური ასამბლეა (2005). A/RES/60/1, გვ..26. მსოფლიო სამიტის შედეგები. https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_60_1.pdf

16 ევროპის საბჭო (2011). კონვენცია ქალთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის თაობაზე. https://rm.coe.int/168008482e

17 გაერო (1998). საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს რომის სტატუტი. რომი. https://www.icc-cpi.int/sites/default/files/RS-Eng.pdf

მშვიდობისმყოფელ ძალებში, და ზოგად პოლიტიკურ და სამშვიდობო პროცესებში.[18] საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებში წევრ-სახელმწიფოთა მიერ განსაზღვრული წესების აღსრულება განსხვავებულია და მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია შინაურ პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, საზოგადოების დამოკიდებულებაზე, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე, და ბიუჯეტზე. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) დღის წესრიგის განხორციელება და ადგილებზე ნორმატიული სტანდარტების კონკრეტულ ქმედებად ქცევის მნიშვნელოვან მექანიზმს გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები (NAPs) წარმოადგენენ. თუმცაღა, ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ფინანსირების საკითხი, საზოგადოდ, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. იმ 103 ქვეყნიდან, რომელთაც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელების მიზნით ეროვნული სამოქმედო გეგმა მიიღეს, მხოლოდ 35-მა ქვეყანამ (36%) გამოყო ბიუჯეტი ეროვნული გეგმების განსახორციელებლად.[19] შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული სტრატეგიების შემუშავებას და ამ გამოწვევასთან გამკლავებას.

18 მშვიდობისმყოფელ ქალთა გლობალური ქსელი (2017). თუ ფული არაა, არც სამოქმედო ეროვნული გეგმა არსებობს: სახელმძღვანელო გაეროს უსაფრთოების საბჭოს რეზოლუცია 1325-ით გათვალისწინებული ეროვნული სამოქმედო გეგმების ხარჯთაღრიცხვის და ბიუჯეტირების შესახებ გვ..14. ნიუ-იორკი. შეერთებული შტატები. https://gnwp.org/wp-content/uploads/GNWPCostingBudgetingManual_Eng_4web.pdf

19 ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. ეროვნული სამოქმედო გეგმა: ზედაპირული მიმოხილვა. მოძიებულია 8 სექტემბერს, 2022. https://1325naps.peacewomen.org/

3 ომის დროს და ომის შემდეგ ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები

ომის დროს და ომის შემდეგ ქალებისა და გოგონების დაცვაზე პასუხისმგებელი ძირითადი აქტორები არიან სამთავრობო ორგანოები, საჯარო დაწესებულებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განახორციელონ ზომები და პოლიტიკა, მიმართული ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრაზე ერთი ქვეყნის სისტემური რეაგირების ფარგლებში.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის გამოცდილებამ აჩვენა, რომ **დაცვის ფორმალური სისტემა არასაკმარისია.** თუ ქალები კონფლიქტის დროს აფიქსირებენ გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტებს, ისინი გამოდიან პატრიარქალური ნორმების, საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების როლის სტერეოტიპული მოლოდინების წინააღმდეგ. ისინი ხშირად ადანაშაულებენ მამაკაცებს, რომელთაც ჩადენილი აქვთ სხვა სამხედრო დანაშაული და ზოგჯერ ადგილობრივ საზოგადოებაში გმირებად ითვლებიან. სწორედ ამიტომ და ქალების არასათანადო აღიარების გამო, კონფლიქტის დროს გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტის შესახებ შეტყობინება ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც უფრო მეტი, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაული: ეს წარმოადგენს პოლიტიკურ ინტერვენციას, მათი პასუხისმგებლობისკენ მოწოდებას, ვინც ბოროტად გამოიყენა პოლიტიკური და სოციალური გარემო და ჩაიდინა დანაშაული ქალების წინააღმდეგ.

გარდა ინსტიტუციური ჩარჩოსი, ომის დროს და ომის შემდეგ გენდერული ნიშნით და ოჯახში ძალადობაზე რეაგირებისთვის ასევე საჭიროა ჩამოყალიბდეს **ქალთა სოლიდარობის ქსელი**, რომელიც იმუშავებს ისეთი სოციალური კლიმატის შექმნაზე, სადაც ქალები დაცულნი იქნებიან ხილული და უხილავი ძალადობისა და მათი უფლებების დარღვევისგან. ქალთა დაცვა ძალადობისაგან უნდა მოიცავდეს რეაგირებას, რომლებიც მორგებულია სოციალურ და კულტურულ კონტექსტზე, რომელშიც ხდება ძალადობა. აქ უნდა განიხილებოდეს ძალადობის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის ძალადობა უფლებების, წეს-ჩვეულებებისა და რელიგიის სახელით და ქალების დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმები ომის დროს და ომის შემდეგ. ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ომის ხასიათი და ხანგრძლივობა, იმ ტერიტორიის სოციალური და ისტორიული კონტექსტი, სადაც ომი მიმდინარეობს, ასევე ქვეყანაში სისტემის პოლიტიკური და სამართლებრივი მოწყობა და ორგანიზაცია.

ომის დროს და ომის შემდეგ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ქალებისა და გოგონების დაცვის ზომების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში** ისეთი პასუხისმგებელი აქტორების ჩართვას, როგორიცაა სამთავრობო ორგანოები, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი საბჭოები და ადმინისტრაციები, ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფო ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. აღნიშნული ზომები უნდა პასუხობდეს არსებულ საჭიროებებს და გამომდინარეობდეს დემოკრატიისა და ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემაზე დამყარებული დაცვის პრინციპებიდან. მთავარმა პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეაფასონ ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებები ომისა და ომისშემდგომი გარემოებების გათვალისწინებით, რათა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები. მიდგომა უნდა ეფუძნებოდეს განმეორებითი ძალადობის პრევენციის უზრუნველყოფას, ძალადობის მსხვერპლთა დაცვას მეორადი ვიქტიმიზაციისგან, დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივ დევნას და რეპარაციებს.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბულის კონვენცია)[20] **ევროპის საბჭოს კონვენციის** თავში, რომელიც ეხება ძალადობის

20 ევროპის საბჭო (2011). ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. https://rm.coe.int/168008482e

მსხვერპლთა დაცვას და მხარდაჭერას, ხაზგასმულია, რომ კონვენციის ფარგლებში გათვალისწინებული ძალადობის ყველა ფორმა არ წყდება შეიარაღებული კონფლიქტის დროს ან ოკუპაციის პერიოდში. კონვენციის მოქმედების გაგრძელება უზრუნველყოფილია შეიარაღებული კონფლიქტის დროს, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის პრინციპებთან ერთად. **სტამბულის კონვენციის დებულებები აღიარებს ძირითად აქტორებს და მხარდაჭერისა და დაცვის პრინციპებს, და ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაიცვან ქალები და გოგონები ძალადობისაგან ომის დროს და ომის შემდეგ და უზრუნველყონ ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა და მოწმეთა მხარდაჭერისა და დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.** განსაკუთრებით ხაზგასმულია შემდეგი მექანიზმები: სასამართლო, პროკურორები, სამართალდამცავი ორგანოები, ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა შესაბამისი ორგანიზაციები. სტამბულის კონვენცია განმარტავს, რომ სია იმ აქტორებისა, რომლებიც შეიძლება ჩაერთონ მხარდაჭერასა და დაცვაში, ღიაა, რათა შესაძლებელი გახდეს თანამშრომლობა ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან, რომელიც წევრი ქვეყნის მიერ რელევანტურად ჩაითვლება. ტერმინი "მექანიზმი" ეხება ნებისმიერ ფორმალურ ან არაფორმალურ სტრუქტურას, როგორიცაა შეთანხმებული პროტოკოლები, მრგვალი მაგიდები ან ნებისმიერი სხვა მეთოდი, რომელიც უფრო დიდი რაოდენობის ექსპერტების თანამშრომლობის საშუალებას იძლევა სტანდარტიზებული მიდგომის გამოყენებით. ის არ საჭიროებს ოფიციალური ორგანოს ან ინსტიტუტის შექმნას.

ასევე ხაზგასმულია **ძალადობის მსხვერპლთა სპეციალიზებულ დამხმარე სამსახურებში მიმართვის შესაძლებლობის მნიშვნელობა, ანუ ქალთა თავშესაფარი ან გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრი**, რომელსაც ხშირად ორგანიზებას უკეთებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს სერვისები უზრუნველყოფენ მსხვერპლისთვის ჯანმრთელობის დაცვის ზომებს, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო ექსპერტიზის მონაცემების შეგროვებას, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ კონსულტაციებს და შემდგომი ნაბიჯების გადადგმას, როგორიცაა სასამართლო სისტემასთან მუშაობა.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, როდესაც საქმე ეხება მხარდაჭერასა და დაცვას, განსაკუთრებით სასამართლო წარმოებისას, სადაც ისინი გამოდიან მოწმის სახით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, მსხვერპლს საზოგადოებაში სტიგმატიზაციის გამო უფრო მეტი დაცვა სჭირდება და ჩვენებები მათთვის ხშირად მტკივნეული და რეტრავმატულია. სექსუალური ძალადობის მსხვერპლებმა და ზოგადად ქალებმა, რომლებიც განიცდიან გენდერული ნიშნით ძალადობას ომის დროს, უნდა მიიღონ სენსიტიური დაცვა ძირითადი აქტორების მხრიდან. ეს მხარდაჭერა არ შეიძლება იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე შეატყობინოს ძალადობის ფორმალურ ინსტიტუტებს და იყოს მოწმე ამ პროცესში. ძირითადი აქტორები მზად უნდა იყვნენ, ნებისმიერ ვითარებაში დაიცვან და მხარი დაუჭირონ ქალებს, თუ ისინი ითხოვენ დახმარებას.

სასამართლო ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სამხედრო დანაშაულის ჩამდენი პირების დასჯის უზრუნველსაყოფად, რაც წარმოადგენს ერთგვარ მორალურ გამარჯვებას და სამართლიანობის დაკმაყოფილებას მსხვერპლთათვის, მაგრამ ასევე ხელს უშლის ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის განმეორებას. გარდა ამისა, ეს უბრუნებს მსხვერპლს თავდაჯერებულობას, ზრდის სოციალურ ცხოვრებაში უფრო პროდუქტიული ჩართვის შესაძლებლობებს და ქმნის წინაპირობას ყოველგვარი შიშისა და წნეხისგან თავისუფალი ცხოვრებისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მსხვერპლთათვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ დამნაშავეთა და ომის დანაშაულში ეჭვმიტანილთა დევნაში. იმისათვის, რომ პროცესი იყოს რაც შეიძლება ეფექტიანი და წარმატებული, მსხვერპლს სჭირდება მხარდაჭერა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში. ნებისმიერი სახის ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმა საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის აუცილებელი საქმიანობაა.

4 ომის ზეგავლენა ქალებსა და გოგონებზე

ომის შედეგები ქალებსა და გოგონებებზე და ქალების მიმართ ძალადობასთან ურთიერთგადამკვეთი განზომილებები

ომი და კონფლიქტები განსხვავებულ ზემოქმედებას ახდენს ქალებზე, მამაკაცებზე, ბიჭებსა და გოგოებზე. ისინი შეიძლება განსხვავდებოდეს მიზეზითა და მასშტაბით, მაგრამ ქალებზე კონფლიქტის ზეგავლენას მთელ მსოფლიოში მრავალი რამ აერთიანებს. ფართოდ იქნა აღიარებული კონფლიქტის უარყოფითი გავლენა გენდერულ ურთიერთობებზე და განსაკუთრებით ქალებზე. უკრაინაში მიმდინარე ომმა ასევე დაადასტურა, რომ უფრო მეტად ზარალდებიან ქალები და გოგონები, ვიდრე მოსახლეობის სხვა ნაწილი, როგორც მოკლევადიან, ისე გრძელვადიან პერიოდში.[21] ქალები და გოგონები განიცდიან არა მხოლოდ ომისა და კონფლიქტების უშუალო შედეგებს, არამედ მათ თანმდევ პროდუქტებსაც.

ომის დროს ქალები თავის თავზე იღებენ ყველა რისკს და პასუხისმგებლობას შვილებისა და ოჯახების გადასარჩენად და იძულებულნი არიან, გაიქცნენ თავიანთი სახლებიდან, რას აშორებს მათ დამხმარე ქსელებისგან. UNHCR-ის, გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს თანახმად, **პლანეტის 80 მილიონი იძულებით გადაადგილებული ადამიანის ნახევარზე მეტი ქალი და ბავშვია** - სიტუაცია, რომელიც ზრდის გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის სექსუალური ძალადობის რისკს. გაეროს დასკვნებში ნავარაუდებია, რომ კომპლექსურ ჰუმანიტარულ გარემოში მყოფი ლტოლვილი 5 ქალიდან ერთს მაინც განუცდია სექსუალური ძალადობა; თუმცა, რეალური რიცხვები, დიდი ალბათობით, უფრო მაღალია, ვინაიდან ჰუმანიტარულ კონტექსტში სექსუალური და გენდერული ძალადობის შესახებ მონაცემები არასრულია.[22] კონფლიქტის პირობებში ქალებს ხშირად უწევთ შორ მანძილზე გადაადგილება საკვების, წყლის, შეშისა და სამედიცინო დახმარების მოსაპოვებლად, რადგანაც მათ უნდა იზრუნონ თავიანთ ოჯახებზე, რაც ზრდის თავდასხმების, სექსუალური ძალადობის ან ნაღმის აფეთქების შედეგად დაშავების რისკს.

გენდერული ძალადობა და ომი უდავოდ ურთიერთდაკავშირშირებულია, ქალები და ბავშვები კონფლიქტის დროს ექვემდებარებიან ფიზიკურ, სექსუალურ, სიტყვიერ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. UNHCR-ის თანახმად, 2020 წელს ავღანეთში ქალების 87% გახდა გენდერული ნიშნით სულ მცირე ერთი ფორმის ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 62% დაექვემდებარა ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას.[23] კონფლიქტის დროს, როდესაც ფორმალური ჯანდაცვისა და ფსიქოსოციალური სერვისები ხშირად სერიოზულად ზიანდება და საზოგადოების მხარდაჭერის სისტემები სუსტია, ძალადობის შედეგები შეიძლება კიდევ უფრო დამღუპველი იყოს ქალებისთვის. ქალების გაუპატიურება და მათ მიმართ სექსუალური ძალადობა ასევე აღიარებულია სამხედრო ტაქტიკად და ომის იარაღად, როგორც ეს აღწერილია შემდეგ ქვეთავში.

ქალებისა და ბავშვების გაზრდილი დაუცველობა: რადგან მამაკაცები შორს არიან და იბრძვიან, ხშირად იღუპებიან ან უგზოუკვლოდ იკარგებიან კონფლიქტების დროს, ქალებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ოჯახზე ზრუნვაზე, საკვების შოვნაზე, აქტიურობაზე სახლის გარეთ და გადასარჩენად ახალი გზების ძიებაზე. ისინი იბრძვიან სამუშაოსთვის და ფულის მოსაპოვებლად, რაც იწვევს შიდა და გარე მიგრაციას, სადაც ქალები, როგორც წესი, მუშაობენ არაფორმალურ სექტორში ყოველგვარი სოციალური დაცვის გარეშე, რაც მათ კიდევ უფრო დაუცველს ხდის. ეს ასევე ზრდის ადამიანებით

---

21 მაჩანი, ა. (2022). ომი უკრაინაში ყველაზე მეტად დააზარალებს ქალებსა და ბავშვებს. World Politics Review. 8 სექტემბერი, 2022 წ. https://www.worldpoliticsreview.com/articles/30381/for-children-and-women-war-s-impact-is-disproportionately-high

22 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ოფისი (2019). გლობალური ჰუმანიტარული მიმოხილვა, გვ.17. https://www.unocha.org/sites/unocha/files/GHO2019.pdf

23 ქოუნი, დ. (2021)

ვაჭრობის რისკს. გარდა ამისა, ეს ზიანს აყენებს მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებს, რაც გავლენას ახდენს მათ მოსწრებასა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.[24]

კავშირები კონფლიქტსა და ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) შორის: ადამიანები, რომლებიც ცდილობენ ომის ზონიდან გაქცევას და ტოვებენ თავიანთ სახლებს, უკიდურესად დაუცველები არიან და ტრეფიკინგის გაცილებით მაღალი რისკის წინაშე დგებიან. ისინი, ვინც პირადობისა და სამგზავრო დოკუმენტები დატოვა კონფლიქტის ზონებში, ვისაც ჩამოართვეს ან დაკარგა გადატვირთული ტრანსპორტით მგზავრობისას ან კოლექტიურ პუნქტებში/ლტოლვილთა ბანაკებში ყოფნისას, ძალიან ადვილად შეიძლება გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი. ლტოლვილებსა და დევნილებს ემუქრებათ იძულებითი შრომა და იძულებითი პროსტიტუცია, ორგანოებით ვაჭრობა და ა.შ.

გარდა ამისა, ქალის ან გოგონას მოწყვლადობა იკვეთება სხვა რისკ ფაქტორებთანაც, როგორიცაა ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, გენდერული იდენტობა, სექსუალური ორიენტაცია და ეთნიკური წარმომავლობა, სადაც ძალადობის ზემოქმედება და დაუცველობის დონე შეიძლება კიდევ უფრო დიდი იყოს.

მოზარდი გოგონასა თუ ბავშვისათვის კიდევ უფრო მაღალია ძალადობის რისკი ისეთი კრიზისების დროს, როგორიცაა შეიარაღებული კონფლიქტი. მათი ასაკისა და სქესიდან გამომდინარე, გოგონები შეიძლება გახდნენ ექსპლუატაციის, შევიწროების და ძალადობის ობიექტები ოჯახის წევრების, სამხედროების, შეიარაღებული ჯგუფების, პოლიციის, სამშვიდობო ძალების და ჰუმანიტარული დახმარების მუშაკების მხრიდან.[25] გარდა ამისა, შეიარაღებული კონფლიქტის დროს საზოგადოების მხარდაჭერისა და დაცვის სტრუქტურები საგრძნობლად სუსტდება და გოგონების მოწყვლადობა მნიშვნელოვნად იზრდება შემდეგი ფაქტორების გამო:

- **სკოლასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა:**კრიზისის დასაწყისში გოგონები პირველები ტოვებენ სკოლას და, მისი დასრულების შემდეგ, ბოლონი უბრუნდებიან განათლებას. ძალადობრივი კონფლიქტების დროს „გოგონები 2,5-ჯერ უფრო ხშირად ტოვებენ სკოლას, ვიდრე ბიჭები“. ლტოლვილთა და მასპინძელ თემებში, დევნილობის ფინანსური ტვირთი ნიშნავს იმას, რომ ოჯახები უფრო ხშირად ვაჟის განათლებაში იხდიან ფულს, ვიდრე ქალიშვილის.[26]
- **ადრეული ქორწინება:**ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკის, სიღარიბისა და შიმშილის გამო, გოგონები შეიძლება ადრეულ ასაკში გაათხოვონ მშობლებმა გამოსასყიდის ან უბრალოდ იმისთვის, რომ განთავისუფლდნენ თუნდაც ერთი მჭამელისგან ოჯახში.[27] 20 ქვეყნიდან ნახევარზე მეტი, სადაც ბავშვთა ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, არის არამდგრადი ან დაზარალებულია კონფლიქტის შედეგად.[28] გოგონები, რომლებიც 18 წლამდე ქორწინდებიან, უფრო ხშირად ტოვებენ სკოლას და ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლი, ან შესაძლოა ორსულობისა და მშობიარობის დროს გართულებების შედეგად სიკვდილის რისკის წინაშე აღმოჩნდნენ. .[29]

---

24 გრასმანი, ფ., სიგელი, მ., ვანორე, მ., ვაიდლერი, ჯ. (2017) მშობლების მიგრაციასა და ბავშვთა კეთილდღეობას შორის ურთიერთკავშირის ამოხსნა. Springer. https://link.springer.com/content/pdf/10.1007/s12187-017-9461-z.pdf

25 სიდიქი, ა. (2012) საგანგებო ვითარების გამოტოვება: მოზარდი გოგონებისთვის დახმარების პარადიგმის გადატანა. მოზარდი გოგონების კოალიცია. Youth Power. https://www.youthpower.org/sites/default/files/YouthPower/files/resources/1-Missing-the-Emergency-Shifting-Paradigm-on-Adolescent-Girls.pdf

26 სიმფსონი, გ. (2018) The Missing Peace: Independent Progress Study on Youth, Peace and Security, p.92. UNFPA and PBSO. https://www.youth-4peace.info/system/files/2018-10/youth-web-english.pdf

27 Human Rights Watch (2016). ბავშვთა ქორწინებების დასრულება: გლობალური განვითარების მიზნების მიერ გოგონებისთვის მიცემული პირობის შესრულება. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.hrw.org/world-report/2016/country-chapters/africa#55d888

28 სტატისტიკა (2021). ქვეყნები ბავშვთა ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით, 2021 წლის მონაცემებით. სტატისტიკის კვლევის დეპარტამენტი. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.statista.com/statistics/1226532/countries-with-the-highest-child-marriage-rate/#:~:text=Niger%20has%20the%20highest%20child,63%20percent%20to%2068%20percent.

29 თანასწორი ყველგან (2022). 5 რამ, რაც კონფლიქტის დროს ხელს უშლის ქალებსა და გოგონებს, იყვნენ თანასწორი ყველგან. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფონდი. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბმერს. https://equaleverywhere.org/story/5-ways-conflict-prevents-girls-and-women-from-being-equal-everywhere/?utm_source=LinkedIn&utm_medium=Organic&utm_campaign=EqualEverywhere-https://www.unhcr.org/be/wp-content/uploads/sites/46/2020/07/Global-Trends-Report-2019.pdf

- **გაზრდილი ოჯახური მოვალეობები:** „კრიზისის დროს, მოზარდმა გოგონებმა და მდედრობითი სქესის ბავშვებმა შეიძლება თავის თავზე აიღონ გაზრდილი ოჯახური პასუხისმგებლობა, იზრუნონ უმცროს და-ძმებზე, მართონ ოჯახები, თუ მშობლები მათ გვერდით არ არიან ან დაიღუპნენ ომში“.[30]

უფრო ასაკოვანი ქალები ასევე შეიძლება აღმოჩნდნენ ძალადობის გაზრდილი რისკის წინაშე კონფლიქტისა და კრიზისის დროს. გარდა ასაკისა, მობილობის ნაკლებობისა და სუსტი ჯანმრთელობისა, მათ შეიძლება შეექმნათ:

- **სიღარიბის უფრო მაღალი რისკი:** შრომისუუნარობის ან საპენსიო სქემების მოშლის გამო.
- **ჯანდაცვისა და კვების საჭიროებები:** ჯანდაცვისა და სხვა სოციალური სერვისების შეფერხების გამო, ისინი შეიძლება მეორეხარისხოვნად ჩაითვალონ მათზე ახალგაზრა ადამიანებთან შედარებით სათანადო კვების, ჯანმრთელობის დაცვისა და თავშესაფრის თვალსაზრისით.
- **მარტოობა და დაუცველობა:** ხანდაზმული ადამიანები ხშირად რჩებიან სახლში ომის დროს. ზოგი რჩება იმიტომ, რომ არ უნდა იყოს ტვირთი მისი ოჯახისთვის ან უბრალოდ იმიტომ, რომ საკუთარი სახლის დაცვა სურს. მარტო დარჩენის შემთხვევაში ისინი შეიძლება დადგნენ ძალადობის რისკის წინაშე, მათ შორის სექსუალური ძალადობის მებრძოლების, ადგილობრივი ბანდების ან საზოგადოების აგრესიული წევრების მხრიდან. ხანდაზმული ქალების მიმართ სექსუალური ძალადობა გავრცელებულია, მაგრამ კვლავაც უგულებელყოფილია მცდარი ვარაუდების გამო, რომ სექსუალობა და სექსუალური ძალადობა ასაკთან ერთად ქრება.[31]
- **იზოლაცია:**ხანდაზმული ადამიანები ხშირად ვერ ახერხებენ კონფლიქტისგან თავის დაღწევას და შეიძლება მარტო დარჩნენ ოჯახის გარეშე ან „დაკარგონ ოჯახის წევრები ომის დროს, ისე, რომ დამხმარე სისტემები, რომლებსაც ხშირად ეყრდნობოდნენ კონფლიქტამდე, მათთვის ხელმისაწვდომი აღარ იყოს“.[32] ისინი რჩებიან იზოლირებულნი და მოკლებული მხარდაჭერას, მათ შორის მედიკამენტებზე და საკვებზე წვდომას.

შშმ გოგონები და ქალები ასევე დგებიან ძალადობის გაზრდილი რისკის წინაშე ომისა და კონფლიქტების დროს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, ნებისმიერი მოსახლეობის 15% შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისგან შედგება. 2020 წლის ბოლოს მსოფლიოში იძულებით გადაადგილებული 82,4 მილიონი ადამიანიდან დაახლოებით 12,4 მილიონი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.[33] კონფლიქტმა შესაძლოა უფრო მეტი ქალი გახადოს ფსიქიურად და ფიზიკურად შეზღუდული ომთან დაკავშირებული სტრესისა და ტრავმის, სისასტიკის გამო, რომელსაც ისინი განიცდიან, ან სახმელეთო ნაღმების, ცეცხლსასროლი ჭრილობების, ხანძრისა და დაბომბვის შედეგად. კონფლიქტები ხშირად ამძაფრებს არსებულ პრობლემებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვის, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდეთ წვდომა თემის ან ოჯახის მხარდაჭერაზე, განათლებაზე ან ჯანდაცვაზე, რომლის იმედიც მათ ომამდე ჰქონდათ.

---

30 სიდიქი, ა. (2012) საგანგებო ვითარების გამოტოვება: მოზარდი გოგონებისთვის დახმარების პარადიგმის გადატანა. მოზარდი გოგონების კოალიცია. Youth Power. https://www.youthpower.org/sites/default/files/YouthPower/files/resources/1-Missing-the-Emergency-Shifting-Paradigm-on-Adolescent-Girls.pdf

31 გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (2022) გაეროს ექსპერტები მოუწოდებენ სახელმწიფოებს, ყურადღება მიაქციონ ხანდაზმული ქალების ძალადობას და მათ უგულებელყოფას.გაერო. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბმერს.. https://www.ohchr.org/en/taxonomy/term/824

32 HelpAge International (2022). უკრაინა: რაც უფრო ინტენსიური ხდება რუსეთთან კონფლიქტი, მით უფრო ხშირად არიან ხანდაზმული ადამიანები მიტოვებული და იზოლირებული. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბმერს. https://www.helpage.org/newsroom/latest-news/ukraine-older-people-face-abandonment-and-isolation-as-conflict-with-russia-intensifies/

33 მიგრაციის მონაცემთა პორტალი (2022) შეზღუდული შესაძლებლობები და ადამიანის მობილობა. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბმერს. https://www.migrationdataportal.org/themes/disability-and-human-mobility#foot

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები კონფლიქტის დროს შეიძლება შემდეგი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ:

- **შეზღუდული მობილურობა.** შეზღუდულმა მობილურობამ შეიძლება გამოიწვიოს სახიფათო სიტუაციებიდან თავის დაღწევის შეუძლებლობა და, შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები შეიძლება უფრო მეტად აღმოჩნდნენ სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების რისკის წინაშე.[34] მათ ასევე შეიძლება შეეზღუდოთ წვდომა ისეთ ძირითად სერვისებზე, როგორიცაა თავშესაფარი, საკვები, წყალი, სანიტარული საშუალებები, ჰიგიენური საშუალებები და სამედიცინო დახმარება.[35]
- • მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის დროს ყველა ქალი იტანჯება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები ძირითადად „უფრო დაუცველები არიან ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ფინანსური ძალადობის, უგულებელყოფის, ხაფანგში ჩავარდნისა და დეგრადაციის მიმართ", რადგან მათ შეიძლება ნაკლებად ან საერთოდ არ შეეძლოთ კონფლიქტისგან თავის დაღწევა და საკუთარი თავის დაცვა, არ ჰქონდეთ წვდომა მართლმსაჯულების მექანიზმებზე.[36]

შეიარაღებული კონფლიქტი ძლიერ გავლენას ახდენს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი (LGBTI+) ადამიანების უფლებებსა და უსაფრთხოებაზე. შეიარაღებული კონფლიქტის დროს LGBTI+ პირები ხშირად არიან ყველა ჯგუფიდან ყველაზე ნაკლებად დაცულთა შორის და „აწყდებიან დამატებით საფრთხეებს, რომლებიც შექმნილია ძალადობრივი გარემოსა და კანონისა და წესრიგის დარღვევით"[37]. UNHCR-ის თანახმად, LGBTI+ პირები განიცდიან: „დისკრიმინაციას, შევიწროებას, შეურაცხყოფას, ბულინგს, ფიზიკურ, ემოციურ და სექსუალურ ძალადობას, მათ შორის მკვლელობას, გაუპატიურებას, წამებას და ფსიქიატრიულ და ფსიქოლოგიურ ე.წ. „კონვერსიულ თერაპიას".[38] მსხვერპლთა მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებიდან გამომდინარე, კონფლიქტურ ზონებში გავრცელებულია შემდეგი რისკები:

- უკრაინის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანახმად, ომის დროს **LGBTI+ ადამიანებისთვის წვდომა ჰორმონალურ ჩანაცვლებით თერაპიასა და სხვა სამკურნალო საშუალებებზე ძლიერ შეზღუდული იყო.**
- **ლგბტი პირების მიმართ ძალადობამ ასევე გამოიწვია მათი იზულებით გადაადგილება** – მაგალითად, შეიარაღებული ჯგუფების კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიიდან აღმოსავლეთ უკრაინაში. ინდივიდები ხშირად ხდებოდნენ სამიზნედ მათი სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გენდერული გამოხატვის გამო. ისინი იძულებულნი ხდებიან დატოვონ საკუთარი სახლები მას შემდეგ, რაც მათ აშინებდნენ და სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ.[39] უფრო მეტიც, საბუთებთან დაკავშირებული პრობლემების გამო,

34 გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2013). ქალების მიმართ ძალადობა კონფლიქტის, პოსტ-კონფლიქტისა და საგანგებო ვითარებაში. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს https://endvawnow.org/en/articles/1483-introduction.html

35 Women Enabled International (2021). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალებისა და გოგონების უფლებები კონფლიქტისა და ჰუმანიტარული კატასტროფების დროს. ვაშინგტონი, აშშ https://womenenabled.org/wp-content/uploads/Women%20Enabled%20International%20-%20Rights%20of%20Women%20and%20Girls%20with%20Disabilities%20in%20Conflict%20and%20Humanitarian%20Emergencies%20-%20English.pdf

36 ორტოლევა, ს. (2017). კონფლიქტსა და კრიზისულ სიტუაციაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ ანგარიშგება: რეკომენდაციები ქმედებებსა და იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. ტომი 42, No 4. ალყაში მოქცეული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები. ამერიკის ადვოკატთა ასოციაცია. https://www.americanbar.org/groups/crsj/publications/human_rights_magazine_home/2016-17-vol-42/disability-rights-under-siege/accounting-for-women-and-girls-with-disabilities-in-conflict-and/#:~:text=Although%20all%20women%20suffer%20during,less%20access%20to%20reporting%20and

37 მარგალიტი, ა. (2018). LGBT პირთა დაცვა შეიარაღებული კონფლიქტის დროს და ძალადობის სხვა სიტუაციები, გვ.238. წითელი ჯვრის საერთაშორისო მიმოხილვა. https://www.corteidh.or.cr/tablas/r39345.pdf

38 გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისრის ოფისი (2021). გლობალური მრგვალი მაგიდა LGBTIQ+ პირები იძულებით გადაადგილებისა და უსახელმწიფოობის პირობებში - დაცვა და გადაჭრის გზები - სადისკუსიო დოკუმენტი. ჟენევა, შვეიცარია.. https://www.unhcr.org/publications/brochures/611e33704/2021-global-roundtable-lgbtiq-persons-forced-displacement-statelessness.html

39 ბონდი, კ., ვლასოვა, ა. (2017). გეი და იძულებით გადაადგილებული პირები უკრაინის კონფლიქტის წინა ხაზზე. UNHCR, დონეცკი. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.unhcr.org/news/stories/2017/9/597ef1fc4/gay-displaced-frontlines-ukraines-conflict.html

ტრანს ქალები და არაბინარული ადამიანები (ტრანსსექსუალები) ქვეყნიდან გასვლას ვერ ახერხებენ, რადგან დაბადებიდან რეგისტრირებული არიან „მამაკაცად“. ზოგ შემთხვევაში, ისინი ევაკუაციისა და სასწრაფო რეაგირების მიღმა რჩებიან.

- კონფლიქტის შედეგად გამწვავებულმა **სოციალურმა და ეკონომიკურმა მარგინალიზაციამ** შესაძლოა უბიძგოს LGBTI+ ადამიანებს სექსუალური ექსპლუატაციისკენ, სადაც ისინი ძალადობისა გაზრდილი რისკის წინაშე დგანან - ხშირად პოლიციელების ან სამხედროების მხრიდან, რომლებმაც ისინი დააკავეს.[40]

- ომის დროს **არ არის ხელმისაწვდომი გენდერულად განცალკევებული თავშესაფრები, სააბაზანოები, ჯანდაცვის და სხვა დაწესებულებები**, და ის, ვინც არ ჯდება ნორმატიულ (მამაკაცი/ქალი) სქესის ფარგლებში და ვინც კანონიერად ან საჯაროდ არ არის აღიარებული მისი იდენტიფიცირებული სქესის შესაბამისად, ვეღარ იღებს შესაბამის სერვისებს. მაგალითად, ტრანსგენდერ ქალებს, რომლებსაც საზოგადოება არ აღიქვამს, როგორც ქალს, შეიძლება უარი უთხრან უსაფრთხო თავშესაფარში სხვა ქალებთან ერთად განთავსებაზე და აიძულონ, თავშესაფარი მამაკაცებთან ერთად გაიზიარონ. ეს ზრდის მათზე თავდასხმის, შევიწროების და შეურაცხყოფის რისკს .[41]

ომისა და კონფლიქტის დროს გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების მიზნით, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ როგორ მოქმედებს ის განსხვავებულ ჯგუფებზე მათი სქესის, რასის, ასაკისა და შეზღუდული შესაძლებლობის შესაბამისად.

გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპიური ფორმები ომის დროს და ომის შემდეგ

ტერმინი გენდერული ნიშნით ძალადობა ეხება ქალებისა და გოგონების მიმართ განხორციელებულ ძალადობას, მაგრამ, ასევე მოიცავს მამაკაცებსა და ბიჭებზე, ასევე ლესბოსელებზე, გეიებზე, ბისექსუალებზე, ტრანსგენდერებზე და ინტერსექსუალებზე ძალადობის გარკვეულ ფორმებს, რაც „გამოწვეულია სურვილით, დაისაჯოს ის, ვინც გენდერულ ნორმებს ეწინააღმდეგება“. [42]

გენდერული ნიშნით ძალადობის ყველაზე გავრცელებული მაგალითებია სექსუალური და ოჯახში ძალადობა, სექსუალური ექსპლუატაცია და ტრეფიკინგი, იძულებითი ქორწინება და ორსულობა და ტრადიციული პრაქტიკები, რომლებიც იწვევს ზიანს, როგორიცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, მკვლელობები ღირსების შენარჩუნების მიზნით და ქვრივის მემკვიდრეობა.[43] ეს თავი ყურადღებას ამახვილებს გენდერული ნიშნით ძალადობის ზოგიერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმაზე კონფლიქტის დროს და მის შემდეგ.

■ ოჯახური ძალადობა ომის დროს და ომის შემდეგ

ომის გარემოებები არ განიხილება ოჯახური ძალადობის მიზეზად, **მაგრამ საომარ კონფლიქტებში მონაწილეობა და ომის ტრავმის ზემოქმედება შეიძლება იყოს ძალადობრივი ეპიზოდების**

40 მაკმილანი, კ., უორთი, კ. (2011). სექს მუშაკები და აივ პრევენცია ფიჯიზე - 2009 წლის ფიჯის დანაუშაულებათა დეკრეტის შემდეგ. აივ-ის კვლევის საერთაშორისო ჯგუფი, UNSW, სიდნეი, ავსტრალია.

41 ორტოლევა, ს. (2017). Accounting for Women and Girls with Disabilities in Conflict and Crisis Situations: Recommendations for Action and Implementation. Vol.42, No 4. Disability Rights Under Siege. American Bar Association. https://odihpn.org/publication/making-disaster-risk-reduction-and-relief-programmes-lgbti-inclusive-examples-from-nepal/

42 The Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (2011). Discriminatory laws and practices and acts of violence against individuals based on their sexual orientation and gender identity: report of the United Nations High Commissioner for Human Rights. https://digitallibrary.un.org/record/719193/files/A_HRC_19_41-EN.pdf?ln=en

43 GBV AoR (2010). ჰუმანიტარულ გარემოში გენდერული ნიშნით ძალადობის ინტერვენციების კოორდინაციის სახელმძღვანელო. UNHRC. https://cms.emergency.unhcr.org/documents/11982/51689/Gender-based+Violence+Area+of+Responsibility+Working+Group%2C+Handbook+for+Coordinating+Gender-based+Violence+Interventions+in+Humanitarian+Settings%2C+2010/b16ef95e-b68f-432e-a79e-84ef91773ba7

„გამომწვევი“ და ხელი შეუწყოს ოჯახში ძალადობის ინტენსივობისა და მასშტაბის გაზრდას. ომის დროს ოჯახში ძალადობის გაზრდის ხელშემწყობი ზოგიერთი ფაქტორი არის შიში და გაურკვევლობა; სოციალურ-ეკონომიკური არასტაბილურობა; ჩამოყალიბებული ოჯახური დინამიკისა და ურთიერთობების მოშლა; ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გაზრდილი მოხმარება; მარტივი წვდომა სხვადასხვა ტიპის იარაღზე; პოსტტრავმული სტრესული სინდრომის გაჩენა; და, სამოქალაქო ომების კონტექსტში, რომელშიც ძირითადად მონაწილეობენ მამაკაცები, რომლებიც მოუმზადებლები არიან ომის გამოცდილებისთვის.

ომის დროს ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომ მამაკაცები ფრონტიდან პირდაპირ საკუთარ სახლებში ბრუნდებიან და თან მიაქვთ შეიარაღებული კონფლიქტისა და ომის ტრავმის ყველა გამოცდილება. განდიდებულია მათი ქმედება ომში და მათი წვლილი ოჯახისა და სამშობლოს დაცვაში, იზრდება ტოლერანტობა აგრესიული ქცევის, ემოციური მანიპულირებისა და შანტაჟის მიმართ. ისინი ხშირად ხდებიან უფრო აგრესიულები დედების, ცოლებისა და დების მიმართ, რაც ხელს უწყობს ოჯახში ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას და აძლიერებს ოჯახში და გენდერული ძალადობის მიზეზებს. ქალები უბრუნდებიან ბავშვებს, მოხუცებსა და უძლურებზე მზრუნველობის ტრადიციულ როლს და ოჯახის მიერ ისინი ფასდებიან გაწეული ტვირთის ოდენობით. სპეციალური რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის სტრატეგიების ნაკლებობის ან სრული არარსებობის გამო, ქალებმა უნდა იზრუნონ ოჯახის მებრძოლ წევრებზე, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად გამოწვეული ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ტრავმა.

ომის დროს ხშირად აქვს ადგილი პოლიტიკურ პროპაგანდასაც, რომელიც მიმართულია უშუალოდ ოჯახზე, პირველ რიგში ქალებზე. ეს პროპაგანდა ითხოვს შობადობის გაზრდას ეგრეთ წოდებული მამულის სასარგებლოდ, რაც მოძალადე ოჯახებს აყენებს სექსუალური ძალადობისა და ცოლ-ქმრული გაუპატიურების რისკის წინაშე და ხელს უშლის ქალთა წვდომას სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე, როგორიცაა უსაფრთხო კონტრაცეფცია და აბორტი.

■ სექსუალური ძალადობა, როგორც ომის იარაღი

> ჩვენ ვხედავთ სექსუალურ ძალადობას კონფლიქტში გენდერული პრიზმიდან. ეს ნიშნავს, რომ გვესმის, რომ გენდერული როლების „იარაღად გამოყენებით“ პოპულაციები უფრო მოწყვლადია სექსუალური ძალადობის, როგორც ომის იარაღის მიმართ, და მეტად სავარაუდოა, რომ ამ ტიპის ძალადობა განხორციელდება.[44]
> **– მაკვიგის ფონდი**

საერთაშორისო სამართლისა და გაეროს საქმიანობის ფარგლებში, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის რვა განსხვავებული ფორმა გამოირჩევა:

- გაუპატიურება
- სექსუალური მონობა
- პროსტიტუცია
- იძულებითი ორსულობა
- იძულებითი აბორტი
- იძულებითი სტერილიზაცია
- იძულებითი ქორწინება
- და მსგავსი სიმძიმის სექსუალური ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმა.

44 დოქტორ დენის მაკვიგის ფონდი (n.d.). სექსუალური ძალადობის ფორმები. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.mukwegefoundation.org/the-problem/rape-as-a-weapon-of-war/forms-sexual-violence/

გარდა ამისა, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობა შეიძლება იყოს სხვა დანაშაულის ასპექტი, როგორიცაა ადამიანებით ვაჭრობა, რომელიც ჩადენილია ომის დროს და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით.[45]

ყველა ზემოთ ნახსენები ძალადობა მიზნად ისახავს, დაამციროს და გაანადგუროს მსხვერპლის სექსუალური იდენტობა და ავტონომია, დაანგრიოს ოჯახებისა და თემების სოციალური სტრუქტურა. ომის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ძირითადად ქალები და გოგოები არიან. მაშინაც კი, თუ ომისა და კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობა კაცებზეც არის მიმართული, მისი ჩამდენი კვლავ მამაკაცები ასრიან და ეს არის პატრიარქალურ საზოგადოებებში განხორციელებული დომინირებისა და არაპროპორციული ძალაუფლების გამოხატულება. მამაკაცები ასევე აუპატიურებენ ბიჭებს და სხვა მამაკაცებს, რათა მათ სიმბოლურად და ფიზიკურად „შეულახონ მამაკაცური ღირსება“.[46]

ფემინისტი მეცნიერები იყვნენ პიონერები, რომლებიც განიხილავდნენ სექსუალურ ძალადობას, როგორც სოციალური ძალაუფლების ფორმას, რომელიც ხასიათდება გენდერული დინამიკით და პოლიტიკურ აქტს, რომელიც თავს არის მოხვეული საჯარო სფეროში. ფემინისტმა მეცნიერებმა, ნაცვლად იმისა, რომ გენდერული ნიშნით ძალადობა მოექციათ ფარული პირადი ცხოვრების სფეროში, აჩვენეს კავშირები სექსუალურ ძალადობასა და ომის ისტორიას შორის და განაცხადეს, რომ გაუპატიურება არის აგრესიის პოლიტიკური ფორმა და ომის იარაღი.[47]

„გაუპატიურება ტყვიაზე იაფია“[48]

ქალებისა და გოგონების გაუპატიურება ხდება მას შემდეგ, რაც ადამიანები დედამიწაზე დასახლდნენ. ეს ქმედებები მოხსენიებულია ისტორიულ დოკუმენტებში, მათ შორის სხვადასხვა რელიგიურ ნაწარმოებებში, გამოსახულია ქანდაკებებში და ხელოვნების ნიმუშებში. თუმცა, სიახლე მდგომარეობს მის სისტემატურ და ინსტიტუციონალიზებულ გამოყენებაში საომარ ვითარებაში. სტატისტიკა შოკისმომგვრელია: რუანდაში 1994 წელს სამთვიანი გენოციდის დროს 100000-დან 250000-მდე ქალი გააუპატიურეს; სიერა ლეონეში (1991-2002) სამოქალაქო ომის დროს 60000-ზე მეტი ქალი გააუპატიურეს; 40000-ზე მეტი ლიბერიაში (1989-2003); 60000-მდე ყოფილ იუგოსლავიაში (1992-1995 წწ.); და სულ მცირე 200,000 კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (DRC) 1998 წლიდან.[49] 2010 წელს ამერიკული სამედიცინო ასოციაციის ჟურნალმა გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც ამტკიცებდა, რომ DRC-ში ქალების დაახლოებით 40% გაუპატიურებულია ერთხელ მაინც ცხოვრებაში, ხოლო 2011 წელს New York Times-მა გამოაქვეყნა, რომ DRC-ში ყოველ წუთში ერთ ქალს აუპატიურებენ.[50]

ეს ადასტურებს ომის დროს სექსუალური ძალადობის სოციალური ქცევის სტატუსს, რომელიც არის სტრუქტურული, მუდმივი და ფუნქციონალური. როგორც სკიელსბეკლიტი ამბობს, „ეს არის ძალიან გავრცელებული, ძალიან ხშირი და ერთი შეხედვით ზედმეტად გათვლილი და ეფექტური იმისთვის, რომ არ იყოს უფრო დიდი პოლიტიკური სქემის ნაწილი და, შესაბამისად, ომის იარაღი.”[51] იმდენად ხშირი,

---

45 დოქტორ დენის მაკვიგის ფონდი (n.d.). სექსუალური ძალადობის ფორმები. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.mukwegefoundation.org/the-problem/rape-as-a-weapon-of-war/forms-sexual-violence/

46 Medica Mondiale (n.d.). ომისდროინდელი სექსუალიზებული ძალადობა. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://medicamondiale.org/en/violence-against-women/sexualised-wartime-violence

47 ქირბი, პ. (2012). როგორ ხდება გაუპატიურება ომის იარაღი? ფემინისტური საერთაშორისო ურთიერთობები, კრიტიკული განმარტების ფორმები და ომისდროინდელი სექსუალური ძალადობის შესწავლა. ტომი 19. საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული ჟურნალი.

48 ეს ფრაზა უფრო და უფრო პოპულარული ხდება და გამოიყენება Amnesty International-ის გაუპატიურება ტყვიაზე იაფია კამპანიის მიერ. მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. https://politicaladvertising.co.uk/2009/02/27/amnesty-rape-is-cheaper-than-a-bullet/

49 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქმედებები და გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლობის კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის ოფისი (2014). შენიშვნა: სექსუალური ძალადობა: ომის იარაღი. საჯარო ინფორმაციის დეპარტამენტი. https://www.un.org/en/preventgenocide/rwanda/assets/pdf/Backgrounder%20Sexual%20Violence%202014.pdf

50 რუბინი, რ. (2019). Forნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატის დოქტორ დენის მაკვიგისთვის, მისი პაციენტები მოტივაციის და შთაგონების წყაროა, გვ. 19-21. ტომი. 321 No.1. ამერიკის სამედიცინო ასოციაცია, აშშ.

51 კირბი, პ. (2012) როგორ ხდება გაუპატიურება ომის იარაღი? ფემინისტური საერთაშორისო ურთიერთობები, კრიტიკული განმარტების ფორმები და ომისდროინდელი სექსუალური ძალადობის შესწავლა. ტომი 19. საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული ჟურნალი.

რომ ფრაზა „გაუპატიურება ტყვიაზე იაფია“ გავრცელდა აკადემიურ და პროფესიულ წრეებშიც კი, რათა გამოეხატა ომის დროს მხარეების მიერ გამოყენებული გაუპატიურების ინსტრუმენტული ხასიათი.[52]

უკრაინაში მიმდინარე ომის დროს უკვე დაფიქსირდა რუსული ჯარის მიერ უკრაინელი ქალებისა და გოგონების გაუპატიურების არაერთი შემთხვევა. გამომძიებლების მიერ შეგროვებული ჩვენებებს შორის არის ჯგუფური გაუპატიურება, თავდასხმები იარაღის მუქარით და ბავშვების თვალწინ ჩადენილი გაუპატიურებები.

არასამთავრობო ორგანიზაცია La Strada Ukraine პრეზიდენტის კატერინა ჩერეპახას თქმით, (ორგანიზაცია ეხმარება ტრეფიკინგის მსხვერპლთ), მათ საგანგებო ცხელ ხაზზე შემოვიდა რამდენიმე ზარი ომის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონებისგან, რომლებიც დახმარებას ითხოვდნენ. სამწუხაროდ, ყველა შემთხვევაში ვერ მოხერხდა მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა მიმდინარე ბრძოლების გამო.[53]

დოკუმენტში „გაეროს ქმედება სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ“, გაერო ამტკიცებს, რომ **„ომის დროს ჩადენილი გაუპატიურება ხშირად მიზნად ისახავს მოსახლეობის დატერორებას, ოჯახების დანგრევას, თემების განადგურებას და, ზოგიერთ შემთხვევაში, მომავალია თაობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლას.** ზოგჯერ ის ასევე გამოიყენება აივ-ით ქალების განზრახ დაინფიცირებისთვის ან მიზნობრივი თემის ქალების მიერ შვილის გაჩენის უნარის დაკარგვას.“ [54]

ამრიგად, ომის დროს გაუპატიურების საკითხი არ შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ქალების პრობლემა“ და არ შეიძლება ჩაითვალოს ომის თითქმის გარდაუვალ „თანმდევ მოვლენად“, როგორც ეს აღიქმებოდა მეოცე საუკუნემდე.

შემაშფოთებელი რჩება ომის დროს გაუპატიურების დაუსჯელობა, მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 19 ივნისს მიღებული რეზოლუცია 1820 აღიარებს სექსუალურ ძალადობას, როგორც ომის იარაღს და აღნიშნავს, რომ გაუპატიურება არის ომის დანაშაული.

ხშირად, მოძალადეები, ისევე როგორც ისინი, ვინც მასობრივ გაუპატიურებას უწყობს ხელს, სახელმწიფო აქტორები არიან და, სავარაუდოდ, არ ისჯებიან. მაგალითად, 1990-იან წლებში გვატემალაში ძირძველი ხალხის წინააღმდეგ ეთნიკური წმენდის კამპანიების შედეგად დაიღუპა 200 000 ადამიანი და დაფიქსირდა გაუპატიურების უამრავიშემთხვევა. ანალოგიურად, ბოსნია და ჰერცეგოვინაში კონფლიქტის დროს შეიქმნა "გაუპატიურების ბანაკები", სადაც ქალებს და გოგონებს კვირების განმავლობაში აუპატიურებდნენ. თითოეულ ამ შემთხვევაში, სწორედ დაუსჯელობა იყო გაუპატიურების ესოდენ ფართო გამოყენების მნიშვნელოვანი მიზეზი. Amnesty International-ი ამტკიცებს, რომ დამნაშავეთა უმეტესობა მოქმედებს დაუსჯელად, რაც თითქმის შეუძლებელს ხდის სისხლისსამართლებრივი დევნის და სამართლებრივი ქმედებების განხორციელებას. .[55]

---

52 იგივე

53 მაკკერნანი, ბ. (2022). გაუპატიურება, როგორც იარაღი: უკრაინაში სექსუალური ძალადობის ძალზე დიდი მასშტაბი. The Guardian. მოძიებულია 2022 წლის 8 აგვისტოს. https://www.theguardian.com/world/2022/apr/03/all-wars-are-like-this-used-as-a-weapon-of-war-in-ukraine

54 პელტოლა. ლ. (2018). გაუპატიურება, როგორც ომისა და გენოციდის იარაღი: მისი ისტორიული და თანამედროვე ტაქტიკური გამოყენების, მსხვერპლზე და საზოგადოებაზე ზემოქმედების შესწავლა და ფსიქოლოგიური განმარტება. CMC Senior Theses. http://scholarship.claremont.edu/cmc_theses/1965

55 Amnesty International (1993). ბოსნია-ჰერცოგოვინა: გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა შეიარაღებული ძალების მხრიდან. 63/01/91. https://www.amnesty.org/en/documents/EUR63/001/1993/en/

■ სექსუალური ძალადობა სამშვიდობო ძალების მიერ მისიის განხორციელებისას

ვინნიცა არის ქალაქი დასავლეთ-ცენტრალურ უკრაინაში. უკრაინის ბოლო ომის დროს, ამ ქალაქის მასწავლებელმა პოლიციას შეატყობინა ტერიტორიული თავდაცვის სამსახურის წევრის მიერ ინიცირებული გაუპატიურების მცდელობის შესახებ. მისივე ინფორმაციით, დაცვის სამსახურის წევრმა ის სკოლის ბიბლიოთეკაში შეათრია და იქ სცადა მისი გაუპატიურება. მამაკაცი დააკავეს.[56]

რაც არ უნდა ირაციონალური და წინააღმდეგობრივი იყოს ეს, გენდერულ და სექსუალურ ძალადობას ომის დროს და ომის შემდეგ ადგილი აქვს არა მხოლოდ მოწინააღმდეგე მეომარი მხარის, არამედ სახელმწიფო თავდაცვის სამსახურის წევრებისა და სამშვიდობოების მხრიდან. უკრაინის ქალაქში მოხსენებულ საქმეში, დამნაშავე არ იყო რუსი ჯარისკაცი, არამედ ადამიანი, ვისი პასუხისმგებლობაც გულისხმობდა ადგილობრივი მოსახლეობისა და უკრაინელი მოსახლეობის დაცვას თავდასხმებისგან.

2004 წლიდან მოყოლებული, კონფლიქტის ზონებიდან მიღებული სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ შეტყობინებების უმეტესი ნაწილი ეხებოდა სხვადასხვა ქვეყნებში ადგილობრივი მოსახლეობის დასაცავად მოწოდებული გაეროს სამშვიდობოებს. სექსუალური ძალადობისა სამიზნე ძირითადად ქალები, გოგოები და ბიჭები ხდებიან. 2017 წელს Associated Press-ის გამოძიების თანახმად, 2004-დან 2016 წლამდე, გაერომ განიხილა დაახლოებით 2000 ბრალდება სექსუალური ძალადობისა და შეურაცხყოფის შესახებ მისი სამშვიდობოების, როგორც ამ ქმედებების ჩამდენთა მიმართ.[57]

სხვადასხვა მიზეზები განისაზღვრა იმის ასახსნელად, თუ რატომ ხდება გაუპატიურება: ფაქტორები, რომლებიც ქმნის გაუპატიურების ტენდენციას ან სურვილს, ფაქტორები, რომლებიც ამცირებს გაუპატიურების სურვილის შინაგან დაბრკოლებებს ან სოციალურ დათრგუნვას და ფაქტორები, რომლებიც ამცირებს მსხვერპლის წინააღმდეგობის გაწევის ან გაუპატიურების თავიდან აცილების უნარს. ამ განმარტებიდან გამომდინარე, ადვილი მისახვედრია, თუ რატომ შეიძლება, რომ სამშვიდობო კონტექსტმა, სადაც არის ძალაუფლების დინამიკის ურთიერთდამოკიდებულება, შექმნას გარემო სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურებისთვის. კვლევამ ასევე დაადასტურა ეს თეორია და აჩვენა, რომ გაეროს სამშვიდობო მისიებს შეუძლია გაზარდოს კრიმინალური ძალადობა (განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაული) კონფლიქტით დაზარალებულ რაიონებში იმ ძალაუფლებისა და პირობების გამოყენებით, სადაც ისინი მოქმედებენ სტაბილიზაციის მისაღწევად.[58]

დანაშაულები, რომლებშიც მშვიდობისმყოფელები დღემდე დაუდანაშაულებიათ, მერყეობს „სექსის საჭმელზე გაცვლის“ და ქალებით ვაჭრობიდან, იარაღის მუქარით გაუპატიურებამდე, წამებამდე და მკვლელობამდე.[59]

სამწუხაროდ, არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც სექსუალურ ძალადობაში და ომის სხვა დანაშაულებში ბრალდებულ სამშვიდობოებს უფლება მიეცათ გაეგრძელებინათ თავიანთი მისიის განხორციელება პოსტკონფლიქტურ ქვეყნებში ხელშეუხლებლობის პირობით. სამშვიდობოების მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაული რჩება გამოუვლენელი და დაუსჯელი. მხოლოდ 2004 წელს გააცნობიერა გაეროს გენერალურმა მდივანმა პრობლემის მასშტაბები. მას შემდეგ, მიუხედავად გაეროს გენერალური მდივნის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა, რომლებიც მიმართული იყო სამშვიდობოების მიერ მათი მისიის განხორციელების დროს სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების შემთხვევების

---

56 მაკკერნანი, ბ. (2022). გაუპატიურება, როგორც იარაღი: უკრაინაში სექსუალური ძალადობის ძალზე დიდი მასშტაბი. The Guardian. მოძიებულია 2022 წლის 8 აგვისტოს.https://www.theguardian.com/world/2022/apr/03/all-wars-are-like-this-used-as-a-weapon-of-war-in-ukraine

57 ესსა, ა. (2017). რატომ სჩადის ზოგიერთი მშვიდობისმყოფელი გაუპატიურების აქტს? სრული ანგარიში. Al Jazeera. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. https://www.aljazeera.com/features/2017/8/10/why-do-some-peacekeepers-rape-the-full-report

58 ქიგინსი, ს. (2019) სამშვიდობო მისიებმა შეიძლება გაზარდოს კრიმინალური ძალადობა, კვლევის მიგნებები. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს https://phys.org/news/2019-08-peacekeeping-missions-criminal-violence.html

59 სიმიკი, ო. (2016). მშვიდობისმყოფელთა პოლიციური კონტროლი. პოლიტიკური მეცნიერება, საერთაშორისო სამშვიდობო საქმიანობის ჟურნალი https://brill.com/view/journals/joup/20/1-2/article-p69_6.xml

აღმოფხვრაზე, წლების განმავლობაში სექსუალური ექსპლუატაციის, შეურაცხყოფისა და ძალადობის შემთხვევები იზრდებოდა.[60]

გაეროს რეაგირება სექსუალურ დანაშაულებზე, ძირითადად, შემუშავებულ იქნა შიდა გამოყენებისთვის დანაშაულის შედეგად დაზარალებულთა - მსხვერპლთა მხრიდან მცირე გარეშე მონაწილეობით. გაერო აღწერს დანაშაულებს, როგორც „სექსუალურ ექსპლუატაციას და შეურაცხყოფას" ნაცვლად იმისა, რომ დაარქვას ასეთ დანაშაულს, გაუპატიურებისა და სექსუალურ დანაშაული, რომელიც უნდა დაისაჯოს. [61] გაერო-მ ბოლო დროს ყურადღება გაამახვილა ქალი სამშვიდობოების როლზე, რაც არის მცდელობა, გადაჭრას ქალთა სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები და შეამციროს სამშვიდობო მისიების დროს სექსუალური ძალადობის შემთხვევები.

მიჩნეულია, რომ ქალ სამშვიდობოებს შეუძლიათ გააძლიერონ „ცივილიზებული" ქცევა მისიის დროს, რადგან ითვლება, რომ ისინი უკეთ იქცევიან და შეუძლიათ გავლენა იქონიონ თავიანთ მამაკაც კოლეგებზე.[62] გაეროს პასუხი სამშვიდობოების მიერ სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების პრობლემის გადაჭრაზე სამწუხაროა, რადგან გამოყენებული ენა გულისხმობს, რომ მამაკაცები არ არიან სრულად პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე და ქალებს ეკისრებათ როლი, შეზღუდონ მამაკაცის მიდრეკილება აგრესიული, უპასუხისმგებლო, კრიმინალური ქცევისკენ და აღკვეთონ ისეთი ქმედებები, როგორიცაა გაუპატიურება და სექსუალური ძალადობა.[63] გაეროს მიერ მიღებული ამგვარი მიდგომა არის მიკერძოებული და არაგონივრული, რადგან ქალები არიან მარგინალიზებულნი ან მათზე შეთხზულია მითი, როგორც ომში შუამავლობის ჯადოსნურ იარაღზე და, შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ მოაგვარონ სექსუალურ ძალადობის და გაუპატიურების პრობლემა სამშვიდობოების მიერ მისიის დროს.

სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება ომის დროს და ომის შემდეგ უნდა იყოს კლასიფიცირებული, როგორც კონფლიქტთან დაკავშირებული დანაშაულები და განხილული იქნას გაეროს ადამიანის უფლებათა სათანადო პოლიტიკის მიხედვით, რომელიც მოითხოვს უსაფრთხოების ყველა სექტორისგან ხელი შეუწყოს და წაახალისოს საერთაშორისო ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებების და ლტოლვილთა სამართლის პატივისცემა. ამ პრობლემის გადასაჭრელად გაერომ უნდა შეიმუშავოს სპეციალური ინსტიტუციური ინტერვენციები, რომლებიც აღიარებს ადგილობრივი მოსახლეობის ადამიანის უფლებებს.

60 იგივე

61 იგივე

62 ჰერნანდესი, ბ.ნ. (2020). სექსუალური ძალადობა გაეროს სამშვიდობო მისიებში: ქალების, როგორც „სწრაფი დაკმაყოფილების" საშალების აღქმის პრობლემა. E-International Relations. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს . https://www.e-ir.info/2020/02/20/sexual-abuse-in-un-peacekeeping-the-problem-of-viewing-women-as-a-quick-fix/

63 იგივე

5 ომში ქალების შესახებ მითების დამსხვრევა

■ მითების ბუნება

მითები ფართოდ გავრცელებულია, მაგრამ მცდარი იდეები, რომლებიც ქმნის თანმიმდევრულ სურათს, აკავშირებს დღევანდელი საზოგადოების სტრუქტურებს წარსულთან, ღვთაებრივ (ზებუნებრივ) და მორალურ გეოგრაფიასთან. [64]

მითების ძირითადი მახასიათებლებია ხანგრძლივობა და ცვლილებებისადმი მდგრადობა, მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთი ფაქტი და ფიგურა ეწინააღმდეგება ამ მითებს. ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის ვითარებაში, მონაწილე მხარეები აგებენ თავიანთ მსოფლმხედველობას და ფუნქციონირებენ, როგორც მეომარი ერთეულები ასევე მათ საზოგადოებებში არსებული მითების საფუძველზე დომინანტური დისკურსის დონეზე.

მითები ომში ქალების შესახებ არის გენდერული და, შესაბამისად, ხელს უწყობს ქალურობისა და მამაკაცურობის შესახებ კონკრეტული იდეების ჩამოყალიბებას, რაც ქმნის გენდერულ იერარქიას. მოცემულ საზოგადოებაში, აღნიშნულ გენდერულ იერარქიაში ავტორიტეტი და ძალაუფლება ენიჭება მას, ვინც ავლენს ღირებულ მამაკაცურ თვისებებს, რაც მამაკაცების მხრიდან ძალადობის ლეგიტიმაციას ახდენს.[65]

მითი 1: ქალები კონფლიქტის მხოლოდ მსხვერპლნი არიან და არა მონაწილეები

> **"** სიმართლეა, რომ წარსულში ცოტა ქალი იბრძოდა ომში. მაგრამ, ისიც სიმართლეა, რომ ასევე ცოტა მამაკაცი მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში. ნებისმიერ საზოგადოებაში, იმ მამაკაცების წილი, რომლებიც რეალურად მსახურობენ ჯარში, მცირეა, ისევე როგორც ნებისმიერ ჯარში რეალურად მებრძოლი ჯარისკაცების პროპორცია.
> **— ჯერარდ ჯ. დეგრუტი** [66]

ისტორიის მანძილზე ქალების მონაწილეობა ომებში შეზღუდული იყო და არ ხდებოდა მათი აღიარება ფართოდ გავრცელებული მითის გამო, რომ „კაცები იბრძვიან, ქალები არა – გარდა რამდენიმე გამონაკლისისა". მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანაა, სადაც ქალი ჯარისკაცების რაოდენობა იზრდება და მაღალტექნოლოგიური იარაღი გამოიყენება უფრო ხშირად, ვიდრე ნებისმიერი სქესის ჯარისკაცების უხეში ძალა, ეს მითი კვლავაც აქტუალურია.[67]

ამ მითს აძლიერებს გენდერული როლების შესახებ სტერეოტიპები, რომელთა თანახმადაც ითვლება, რომ ქალი გენეტიკურად არის დაპროგრამებული, როგორც მზრუნველი, მშვიდობიანი და დედობრივი ფიგურა, ხოლო აგრესია, გამბედაობა და ძალადობისადმი მიდრეკილება ახასიათებს მამაკაცს. შესაბამისად, ომი ითვლება მამაკაცის საქმედ და ქალების როლი კონფლიქტების დროს და მათ შემდეგ მივიწყებულია.

---

64 გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2020). კონფლიქტური იდენტობები: კავშირი მამაკაცურობას, ქალურობასა და ძალადობრივ ექსტრემიზმს შორის აზიაში. UNDP და გაეროს ქალთა ორგანიზაცია. https://www.unwomen.org/en/digital-library/publications/2020/03/conflicting-identities-the-nexus-between-masculinities-femininities-and-violent-extremism-in-asia

65 იგივე

66 დეგრუტი, ჯ. (2001) რამდენიმე კარგი ქალი: სამხედრო და სამშვიდობო გენდერული სტერეოტიპები. Routledge.

67 იგივე

სიმართლე: ქალების მონაწილეობა კონფლიქტების დროს და მათ შემდეგ მრავალმხრივია.

თანახმად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, ქალი მიჩნეულია შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უდიდეს უმრავლესობად. მიუხედავად ამისა, ქალები და გოგონები არა მხოლოდ კონფლიქტისა და არასტაბილურობის მსხვერპლნი არიან, არამედ არიან ცვლილებების ძლიერი და აქტიური აგენტები. ქალებისთვის მინიჭებული ტრადიციული როლების მიუხედავად, მათი მამრობითი პარტნიორების არარსებობის შემთხვევაში, რომლებიც ირიცხებიან მებრძოლებად, უგზო-უკვლოდ დაკარგულებად ან ბრძოლის ველზე დაღუპულებად, ქალები თავის თავზე იღებენ ახალ პასუხისმგებლობებს, როგორც ოჯახის მთავარი მარჩენალი, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში ითვლება მამაკაცის ფუნქციად. ამით ისინი უზრუნველყოფენ ძირითად რესურსებს მათი ოჯახების გადასარჩენად. ქალები ასევე ხელმძღვანელობენ სამოქალაქო საზოგადოებისა და შერიგების აქტივობებს, რომელთა მიზანია **ინდივიდებისა და თემების შესაძლებლობების განვითარება კონფლიქტის ტრანსფორმაციასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, ასევე ხელს უწყობს მოლაპარაკებათა სივრცის შექმნას ადვოკატირების გზით.** ეს გამოცდილება ბევრ ქალს დაეხმარა ტრადიციული გენდერული როლების ეჭვქვეშ დაყენებასა და საზოგადოებაში უფრო გავლენიანი პოზიციის მოპოვებაში. ქალების პირადი გამოცდილება კონფლიქტებით დანაწევრებულ საზოგადოებებს შორის დიალოგისა და ნდობის აღდგენის ღონისძიების ათვლის წერტილი იყო.[68] ქალები აქტიურად არიან ჩართული თავიანთ საზოგადოებებში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარებაში, მაგრამ, ისინი ძირითადად მუშაობენ კულისებს მიღმა და ბევრად ნაკლებ აღიარებას იღებენ, ვიდრე მამაკაცები. **ქალების მიერ განხორციელებული ძირეული სამშვიდობო ძალისხმევა ბევრად მეტად უნდა იყოს აღიარებული** ეროვნული მთავრობებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

რაც შეეხება მათ უშუალო მონაწილეობას ომში, ომის ისტორიის მანძილზე ქალები ასრულებდნენ დამხმარე ფუნქციებს (როგორიცაა დაჭრილებზე ზრუნვა, საჭმლის მომზადება, წყლის მომარაგება და დაჭრილების გამოყვანა). თუმცა, მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში, დამხმარე ფუნქციები, რომლებსაც ჩვეულებრივ ქალები ასრულებდნენ, მამაკაცმა ჯარისკაცებმა აიღეს თავის თავზე. და მიუხედავად იმისა, რომ ქალს, რომელიც ასრულებდა დამხმარე ფუნქციებს, არასოდეს აღიარებდნენ და არ უწოდებდნენ მას ჯარისკაცს, მამაკაცებს, რომლებიც ასრულებდნენ იმავე ფუნქციებს, სწორედ ასე უწოდებდნენ.[69] ეს განსხვავება დღემდე არსებობს: მამაკაცს, რომელიც მსახურობს ნებისმიერ სამხედრო ნაწილში ფრონტის ხაზისგან შორს, არ უჭირს ჯარისკაცად წოდების უფლების დამტკიცება. ამის საპირისპიროდ, ქალი, რომელიც ომის დროს მედდად მსახურობს სასწრაფო დახმარების ქვედანაყოფში, მუდმივად ეჭვქვეშ აყენებდეს საკუთარ იდენტობას როგორც ომის დროს, ასევე მის შემდეგ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ქალი შეიძლება ომის კულტურის ნაწილი იყოს და თავად იყოს მოძალადე. ისინი ხდებიან შეიარაღებული მოძრაობების წევრები ან მონაწილეობენ პარტიზანულ ჯგუფებში, მაგალითად ნიკარაგუაში, გვატემალაში, ელ სალვადორში, მაოისტურ სახალხო განმათავისუფლებელ არმიაში ნეპალში,[70] ასევე, ბევრი ქალი იბრძვის უკრაინის არმიაში 2022 წელს. უფრო ფართო სოციალურ დონეზე, პასიურობად აღქმულ ქალების როლს ნაციონალისტური ჯგუფები იყენებენ მილიტარისტული დისკურსების ასაგებად, რომლებშიც ქალი წარმოდგენილია, როგორც ეროვნული იდენტობის დაუცველი სიმბოლო, რომელსაც სჭირდება დაცვა. შედეგად, ქალები არ განიხილებიან აქტიურ სუბიექტებად ომამდე, ომის დროს ან ომის შემდეგ, არც პრევენციასა და საბრძოლო და არც სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში.

---

68 კარდენასი, მ.ლ. (2019). ქალების დიპლომატია საქართველოში: გაყინული კონფლიქტის სამშვიდობო სტრატეგია. ტომი 21, No 3, სამოქალაქო ომები.

69 იგივე

70 nda-Werner-Institute (n.d.) სტერეოტიპირებული გენდერული სახეები ომისა და მშვიდობის პირობებში. ჰაინრიხ ბიოლის ფონდი. https://www.gwi-boell.de/en/presse/presse-1906.html

მითი 2: ქალები საუბრობენ მხოლოდ „ქალთა პრობლემებზე“

ქალებს ხშირად განიხილავენ, როგორც დეპოლიტიზებულ სუბიექტებს, ერთგვაროვან ჯგუფს ერთი ხმით, რომელსაც, ჩვეულებრივ, სთხოვენ ისაუბროს „ქალთა პრობლემებზე“. ამის საპირისპიროდ, მამაკაცებს არასოდეს სთხოვენ კომენტარს მხოლოდ „მამაკაცის პრობლემებზე“. ტერმინი „ქალთა პრობლემები“, ჩვეულებრივ, გულისხმობს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა, სადეკრეტო შვებულება, ოჯახში ძალადობა, თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურება, ქორწინების კანონი, სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა, განათლება და ქალთა ბრძოლა თანასწორი უფლებებისთვის. თუმცა, მნიშვნელოვანია გვესმოდეს, რომ ეს ტერმინი აძლიერებს მცდარ წარმოდგენას, რომ ეს თემები აქტუალურია მხოლოდ ქალებისთვის და მათი განხილვა შესაძლებელია განყენებულად.[71] ყველა ეს საკითხი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქალებზე, არამედ ყველა გენდერულ და მოსახლეობის ჯგუფზე.

სიმართლე: არ არსებობს საკითხები, რომლებიც შეიძლება იზოლირებული იყოს და ეწოდოს "ქალთა პრობლემები" ან "არა ქალთა პრობლემები"

ქალები ხშირად მამაკაცებისგან განსხვავებულ გამოცდილებას იღებენ გარკვეული მოვლენებისგან, რაც მათ უნიკალური პერსპექტივებსა და პრიორიტეტებს უყალიბებს. თუმცა, დაყოფა „ქალთა პრობლემებსა“ და „სხვა პრობლემებს“ შორის აძლიერებს ცრუ მამაკაცი-ქალის გაორებას, როდესაც ქალებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები არ განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი მამაკაცებისთვის, რის გამოც მამაკაცების მიერ დომინირებულ პოლიტიკურ ფენებში ამ საკითხების უმეტესი ნაწილი ხშირად მოუგვარებლი რჩება. გარდა ამისა, ასეთი დაყოფა აღრმავებს გენდერულ სტერეოტიპებს. ქალების მხოლოდ „ქალთა პრობლემებს“ მიკუთვნება ზღუდავს ქალთა მონაწილეობას პოლიტიკურ სივრცეებსა და ოფიციალურ მოლაპარაკებებში და გამორიცხავს მათ ეროვნული უსაფრთხოების, კონფლიქტების მოგვარების, დემილიტარიზაციისა და სხვა პოლიტიკური საკითხების შესახებ დისკუსიებიდან, რომლებიც ეხება არა მარტო მამაკაცებს, არამედ ქალებს და სხვა გენდერებს.

მითი 3: ქალის თანხმობა სექსუალურ კავშირზე კონფლიქტის დროს

სქესობრივ კონტაქტზე ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობის საკითხი კომპლექსურია და წარმოადგენს მანიპულირების საგანს მშვიდობიან პერიოდში, მით უმეტეს კონფლიქტის დროს. მითი მსხვერპლის არასასურველ სქესობრივ კავშირზე კონფლიქტის დროს (და მის ფარგლებს გარეთ) თანხმობის შესახებ ემყარება ცრუ და წინასწარ გააზრებულ ცნებებს, რომლებიც ემყარება დისკრიმინაციულ, გენდერულად განსაზღვრულ, რელიგიურ და კულტურულ ნორმებს და გულისხმობს, რომ მსხვერპლი (კერძოდ, ქალი) იტყუება სექსუალური ძალადობის შესახებ და რომ ის პასუხისმგებელია სექსუალურ ძალადობაზე მისივე მოქმედების გამო. მითს სექსუალურ აქტზე თანხმობის შესახებ პასუხისმგებლობა მოძალადისგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლზე გადააქვს. თუ არ არსებობს წინააღმდეგობის ფიზიკური ნიშნები, როგორიცაა დაზიანებები მსხვერპლის სხეულზე, ხშირად ითვლება, რომ ის ნებაყოფლობით დათანხმდა სქესობრივ აქტს და რომ აქტი სასურველი იყო ორივე მხარისთვის.

სიმართლე: კონფლიქტის დროს არსებობს რამდენიმე გარემოება, რომელიც საფრთხის წინაშე აყენებს ქალს და მის უსაფრთხოებას, რაც არ აძლევს მას თანხმობის გამოხატვის საშუალებას და უადვილებს მოძალადეს სექსუალური ძალადობის გამართლებას.

---

71 ბიერტენ-გიუნტერი, ე., იუნგი, ი., პუტანენი, ჯ., გრიუნდშთრომი, ს., რისტიმეკი, მ. (2018) „ქალთა პრობლემების“ მიღმა: სამშვიდობო მედიაციაში გენდერის როლის შესახებ არსებული მითების მსხვრევა. საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი, ნიუ იორკის უნივერსიტეტი. მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. https://cic.nyu.edu/publications/beyond-womens-issues-and-smoky-rooms-Debunking-Myths-About-Gender-in-Peace-Mediation

მნიშვნელოვანია გვესმოდეს ყველა გარემოება, გავლენა და მოვლენები, რომელიც კონფლიქტის დროს ქალებსა და გოგონებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს და ძირს უთხრის მათ უფლებას, გამოხატონ თანხმობა და იცხოვრონ ძალადობისგან თავისუფალ გარემოში.

- ომი და ის გარემოებები, რომლებიც მას ახლავს, ძალადობრივია და აღრმავებს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობას მოძალადეებთან მიმართებაში;
- ხშირია მუქარა, შანტაჟი და თავდასხმა მოძალადის მხრიდან, რომელსაც სულაც არ აქვს ფიზიკური გამოვლინება: ომის დროს მოძალადეები ხშირად იყენებენ შანტაჟს და მუქარას, რათა ფიზიკური წინააღმდეგობის გარეშე აიძულონ მსხვერპლი, დათანხმდეს სექსუალურ ურთიერთობაზე. ხშირად მოძალადე ემუქრება ქალს, რომელსაც ჰყავს შვილი, რომ წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, გააუპატიურებს მის მცირეწლოვან ქალიშვილს, დააშავებს/მოკლავს მისი ოჯახის უახლოეს წევრს, გააუპატიურებს მას შვილების თვალწინ, პარტნიორის ან სხვა ახლო ნათესავების და მეგობრების წინაშე;
- სექსუალური ძალადობითა და შეურაცხყოფით გამოწვეულმა ფსიქოლოგიურმა ტრავმამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლოგიური პროცესები მსხვერპლის სისტემაში და დაბლოკოს მისი ფიზიკური რეაქცია სექსუალური ძალადობის დროს;
- მრავალი გარემოების გამო ქალი შეიძლება მეტად მოწყვლადი გახდეს, მაგალითად, ომის დროს მსახურებისა და მოვლის საქმიანობა, ჰუმანიტარული დახმარების განაწილება, ჯარისკაცებზე ზრუნვა და ა.შ.;
- სისტემური სექსუალური შეურაცხყოფა, გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები ქალებისა და გოგონების მიმართ არის ინსტრუმენტი სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად - სასამართლო პროცესებმა ომის დანაშაულთა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლოებში დაამტკიცა, რომ მასობრივი გაუპატიურება სამხედრო სტრატეგიის ნაწილია. ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი (ICTY), ჰაგის ტრიბუნალი, იყო პირველი საერთაშორისო ტრიბუნალი, რომელმაც ქალების, მამაკაცების და ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის და გაუპატიურების კლასიფიცირება მოახდინა, როგორც ბოსნია და ჰერცეგოვინაში ომის დროს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული;
- · მოძალადეები, როგორც წესი, აიძულებენ სხვა მამაკაცებს გააუპატიურონ და შეურაცხყოფა მიაყენონ ქალებს და გოგონებს საკუთარი ნების წინააღმდეგ. იძულება ვლინდება მუქარით, შანტაჟით, ფიზიკური შეურაცხყოფით.

განსაკუთრებით საშიშია სექსუალურ ურთიერთობაზე თანხმობის შესახებ მითის გავლენა სექსუალური ძალადობის დანაშაულების დევნის დროს, სადაც სასამართლოს წარმომადგენლები იღებენ გადაწყვეტილებებს დამნაშავეთა დასჯისა და მსხვერპლთა უფლებების დაცვის შესახებ.[72]

72 სასამართლო პროცესი (2018). ომის დროს ჩადენილი სექსუალური ძალადობის საქმეზე სასამრთლო პროცესზე გაჟღერებული მითები გაუპტიურების შესახებ, დანაშაულის ტვირთის გადატანა დამნაშავიდან დანაშაულის მსხვერპლზე. https://trial.ba/wp-content/uploads/2018/01/20180112-TRIAL-Rape-Myths-BHS-WEB.pdf

6 ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოყენებული სტრატეგიები კონფლიქტურ სიტუაციებში გენდერული ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის

ომის დროს და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება

უკრაინა

გადაუდებელ სიტუაციებზე რეაგირების სტრატეგიები ომის დროს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად ცენტრის "ქალთა პერსპექტივები" გამოცდილებიდან, ლვოვი, უკრაინა

ეს ქვეთავი გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებსაც ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები იყენებენ ომის დროს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად. აღნიშნული სტრატეგიები ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაციის ცენტრის „ქალთა პერსპექტივები“ და უკრაინაში არსებული ქალთა უფლებების დამცველი სხვა ორგანიზაციების გამოცდილებას, რომლებმაც თავიანთი რესურსების მობილიზება მოახდინეს უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების სრულმასშტაბიანი შეჭრის დროს. ცენტრი „ქალთა პერსპექტივები“ არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 24 წელია მუშაობს უკრაინაში ქალთა უფლებების დასაცავად. ორგანიზაციის ოფისი მდებარეობს ლვოვში, უკრაინის დასავლეთ ნაწილში.

■ სტრატეგიები ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციების განხორციელებისას

ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციებისა და აქტივისტური ჯგუფების აქტივობა ომის პირველი კვირების განმავლობაში ბევრად არის დამოკიდებული მათ ადგილდებაარეობაზე ომის ფრონტის ხაზთან მიმართებაში, დაშორებაზე სტრატეგიული ობიექტებისგან, დაბომბვისაგან დაუცველობაზე და დევნილთა გადაადგილების ძირითად მარშრუტებზე.

ცენტრი „ქალთა პერსპექტივები“ მდებარეობს ქალაქში, სადაც ომის პირველ კვირებში უკრაინაში დევნილთა ყველაზე დიდი კონცენტრაცია იყო. ბევრ მათგანს სურდა ევროპაში წასვლა, ბევრი კი დარჩა ლვოვში და რეგიონში.

ამ პირობებში ორგანიზაციამ ქალთა და ბავშვთა თავშესაფრების გახსნა დაიწყო. ერთ-ერთი მათგანი ომის პირველ დღეებში მთავარ რკინიგზის სადგურთან გაიხსნა, სადაც შესაძლებელი იყო რამდენიმე დღით გაჩერება შემდგომი გადაწყვეტილების მისაღებად. იქ უზრუნველყოფილი იყო კვება და ფსიქოლოგიური კრიზისული დახმარება. გარდა ამისა, ქალებისთვის, რომლებმაც გადაწყვიტეს ლვოვში დარჩენა, ცენტრმა „ქალთა პერსპექტივები“ გახსნა კიდევ ექვსი თავშესაფარი ბავშვიანი ქალებისთვის. იმისათვის, რომ ადამიანებს შესძლებოდათ საჭმლის მომზადება, სამზარეულოები აღიჭურვა საჭირო ტექნიკით და მუდმივად ივსება ძირითადი აუცილებელი საკვები პროდუქტებით, სამზარეულოს ჭურჭლით და სხვა.

➜ **ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობის** უზრუნველყოფა (თავშესაფრებით, გათბობის ადგილებით და ა.შ.), სადაც ადამიანებს შეუძლიათ მიიღონ საკვები, თავშესაფარი, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება.

პირველივე დღეებიდან, ქალთა პერსპექტივების ცენტრმა, WAVE ქსელთან ერთად, შეიმუშავა მოკლე, მარტივი საინფორმაციო მასალები იმის შესახებ, თუ სად შეუძლიათ იძულებით გადაადგილებულ ქალებს წასვლა სხვადასხვა ქვეყანაში, რათა თავიდან აიცილონ ისეთი საშიში სიტუაციები, როგორიცაა თაღლითობის ან ტრეფიკინგის რისკი. მასალებში უკრაინულ ენაზე იყო მოცემული დახმარების ცხელი ხაზების ძირითადი ნომრები, ქალთა ორგანიზაციების კონტაქტები, უკრაინულენოვანი ფსიქოლოგების ჩამონათვალი და ა.შ.

➜ **ქალთა უფლებების დარღვევის რისკების შესახებ საინფორმაციო მასალების სწრაფად ორგანიზება** (ადამიანით ვაჭრობა, შრომითი და სექსუალური ექსპლუატაცია, გატაცებული ბავშვები და ა.შ.)

პირველი რამდენიმე თვის განმავლობაში ლვოვის თავშესაფრებში, ისევე როგორც უკრაინის დასავლეთ ნაწილში მდებარე სხვა ქალაქებსა და სოფლებში, ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა დაკავებული ჰქონდათ საკმაოდ მოძრავ და ქმედუნარიან დევნილებს. შეზღუდული მობილურობის და დამატებითი მოწყვლადობის მქონე ადამიანები ძალიან რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. მათთვის აუცილებელია სპეციალიზებული ადგილების შექმნა, რომლებიც განკუთვნილი იქნება განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისთვის (ნაკლებად მობილური და 75 წელს გადაცილებული ქალები) და რომლებიც უნდა დაიკავონ სხვებმა. საომარი მოქმედებების ინტენსიფიცირებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა ფსიქიკური აშლილობის გამწვავების შემთხვევათა რიცხვი. იძულებით გადაადგილებული ქალები, რომლებსაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ან რომელთაც ყავთ შვილები ამგვარი პრობლემებით, აღმოჩნდნენ ძალზე დაუცველი და ხელმისაწვდომი თავშესაფრები კატეგორიულ უარს ამბობენ მათთვის საცხოვრებლის უზრუნველყოფაზე. სიტუაცია უფრო რთულდება, თუ ეს ქალები ოჯახის წევრების მხრიდან ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი არიან.

➜ აუცილებელია **ომში გაუპატიურებული, შეზღუდული მობილურობის მქონე (მათ შორის, 75 წელზე უფროსი ასაკის), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მრავალშვილიანი და მოწყვლადობის სხვა ფაქტორების მქონე ქალებისთვის შეიქმნას განთავსების ცალკე ადგილები და მოხდეს მათთვის განსაკუთრებული დახმარების ორგანიზება.**

➜ **აუცილებელია სპეციალიზებული თავშესაფრების შექმნა ქალებისთვის (მათ შორის, ბავშვიანი ქალებისთვის), რომლებსაც აქვთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და არიან ოჯახში ძალადობის მასხვერპლნი.** თავშესაფარში უნდა იყოს სამედიცინო დახმარება.

➜ **აუცილებლად უნდა აღდგეს სუბიექტურობა და ომის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის გამოიყოს სივრცე თვითგამორკვევისათვის და შეიქმნას სათანადო პირობები იმისთვის, რომ გადარჩენილებმა აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე და თავის მოვლაზე** (ინფორმაცია ხელმისაწვდომი ჰუმანიტარული პროგრამების შესახებ, პროგრამები ბავშვების განათლებისა და დასვენებისთვის, მეორადი სამედიცინო და იურიდიული დახმარება, ოჯახში ძალადობის გპრობლემის გადაჭრა, დასაქმება, მოხალისეობა და ა.შ.).

ადრე ოკუპირებული ტერიტორიების გათავისუფლების დაწყებისთანავე გაირკვა, რომ დამპყრობელმა ძალებმა ჩაიდინეს საშინელი დანაშაულები, მათ შორის ქალებისა და ბავშვების გაუპატიურება.

➜ მნიშვნელოვანია **ომის დროს გაუპატიურების მსხვერპლთათვის სამედიცინო (უსაფრთხო ანონიმური აბორტის ჩათვლით), ფსიქოლოგიურ და იურიდიულ სერვისებზე კონფიდენციალური წვდომის შესაძლებლობის** შექმნა.

➜ მნიშვნელოვანია **პირდაპირი კონტაქტების დამყარება და განსაკუთრებით დაუცველ მსხვერპლთა ევროპაში პარტნიორ ორგანიზაციებთან უსაფრთხო პირობებში ესკორტირების შესაძლებლობის შექმნა** (როგორიცაა პოლონეთი, ლიტვა, ესტონეთი, ავსტრია და უნგრეთი), რადგან მათი შემდგომი რეაბილიტაცია ამ ქვეყნებში ძალიან წარმატებული აღმოჩნდა.

იმის გამო, რომ ბევრი ოჯახი ერთად ცხოვრობს არასპეციალიზებულ თავშესაფრებში (სკოლები, სტადიონები, საბავშვო ბაღები, საერთო საცხოვრებლები და ა.შ.), ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში გაიზარდა დროებით თავშესაფრებში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთაგან შემოსული თხოვნების რაოდენობა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მოხალისეთა და არასპეციალიზებული თავშესაფრების ადმინისტრაციის შესაძლებლობების გაზრდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა საჩივრებზე რეაგირებისთვის.

➜ **ოჯახში ძალადობის სპეციფიკის შესახებ ტრენინგის** შეთავაზება **მოხალისეების და რეგიონში არასპეციალიზებული თავშესაფრების ადმინისტრაციისთვის**, რადგან ტრენინგი ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა იდენტიფიკაციის შესახებ ძალიან ეფექტური აღმოჩნდა.

გენდერული ნიშნით ძალადობის, მათ შორის ომიდან დაბრუნებული სამხედრო პერსონალის მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების გაზრდილი რაოდენობის გამო, მნიშვნელოვანია ჯარში დასაქმებული ადამიანების დაბრუნების შემდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის ზრდისთვის მომზადება.

➜ **ილებელია საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და ბავშვიან მსხვერპლთათვის თავშესაფრებში ადგილების რაოდენობის გაზრდა, ასევე ყველა ჩართული სამსახურისა და სტრუქტურის კარგი კოორდინირება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე ხარისხიანი რეაგირებისთვის.**

➜ **შემთხვევების ერთობლივი მულტიდისციპლინური შესწავლა ყველა ჩართული შესაბამისი სტრუქტურის წარმომადგენლებისთვის** წარმატებული აღმოჩნდა. ეს მოიცავს დამხმარე სერვისების მიერ შემუშავებულ მასალებს, ვიდეოჩანაწერებს, რომლებიც შეიძლება ერთად გაანალიზდეს, როლურ თამაშებს და კონკრეტული შემთხვევების გადაჭრის სტრატეგიების შემუშავებას. ეს მიდგომა ეხმარება და ზრდის რეგირების ეფექტურობას.

ფემინისტური და ქალთა ორგანიზაციებისა და ჯგუფების თანამშრომლების და მოხალისეების გაზრდილი დატვირთვის გამო, როდესაც არსებობს მეორადი ტრავმატიზაციის შესაძლებლობა, რადგან ისინი მუშაობენ და თანაუგრძნობენ დიდი რაოდენობით მსხვერპლთ, ასევე, სიცოცხლისთვის არსებული საფრთხის გამო, რომელიც დაკავშირებულია ხშირ დაბომბვასთან, მრავალი აქტივისტი დგება გადაწვის დიდი საფრთხის წინაშე.

➜ აუცილებელია **წინასწარ შემუშავდეს და განხორციელდეს (მათ შორის საპროექტო განაცხადებში) ორგანიზაციებისა და ინდივიდუალურ დონეზე გადაწვის პრევენციის ფორმალური და არაფორმალური პრაქტიკა**, ომის ტრავმის, თვითდახმარების, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და აქტივისტების პროფესიული დახმარების შესახებ ინფორმირება საჭიროებისამებრ.

ძალზე მნიშვნელოვანია სივრცისა და უსაფრთხო შესაძლებლობების ორგანიზება ფემინისტური მხარდაჭერისთვის, სოლიდარობისთვის, რეფლექსიისთვის, კომუნიკაციისა და სტრატეგიისთვის და აქტივისტთა ქსელის ჩამოყალიბება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. რეგულარული სოლიდარობის მსგავსი შეხვედრები უკრაინელ წევრებთან იმართებოდა და იმართება WAVE ქსელის მიერ ყოველ 2/3 კვირაში ერთხელ. ეს საშუალებას აძლევს აქტივისტებს, თავი იგრძნონ გლობალური მოძრაობის ნაწილად და გამოსცადონ მისი მხარდაჭერა.

➜ აუცილებელია **აქტივისტებისა და ფემინისტების რეგულარული ონლაინ და პირადი შეხვედრების ინიცირება და მხარდაჭერა**. ეს მნიშვნელოვანია ახალ გამოწვევებზე მსჯელობის, სოლიდარობისა და მხარდაჭერისთვის.

სომხეთი

ეს ქვეთავი გვთავაზობს სტრატეგიებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ქალთა უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციებმა გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მხარდასაჭერად ომის დროს და მის შემდეგ. სტრატეგიები ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაცია „სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრის" (SACC) გამოცდილებას და ქალთა უფლებების დამცველ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობს სომხეთის რესპუბლიკაში (RA) და რომლებმაც მოახდინეს თავიანთი რესურსების მობილიზება უკანასკნელი კონფლიქტის დროს, რომელშიც სომხეთი იყო ჩართული 2020 წელს. ინფორმაცია თავმოყრილია ქვეთავში, რომელიც ეფუძნება ინტერვიუებს გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სფეროში მომუშავე ქალ აქტივისტებთან. ქვეთავი ასევე შეიცავს ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრის" შესახებ.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრი" (SACC) არის ფემინისტური ორგანიზაცია, რომლის მიზანია სომხეთში სექსუალური ძალადობისა და სექსიზმის პრევენცია და ბრძოლა. არასამთავრობო ორგანიზაციამ თავისი საქმიანობა 2008 წელს დაიწყო ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევების, როგორც გენდერული ნიშნით ძალადობის ტიპიური და ერთ-ერთი ყველაზე ძალადობრივი ფორმის მსხვერპლთა დახმარების ხაზის დაარსებით. ეს იყო SACC-ის მიერ სომხეთში საქმიანობის დაწყების მთავარი მიმართულება და მიზეზი. არასამთავრობო ორგანიზაციამ დანერგა აქტიური გასვლითი მუშაობის მიდგომა, განსაკუთრებით კრიზისის და ისეთი საგანგებო სიტუაციების დროს, როგორიცაა ომი.

2020 წელს სექსუალური ძალადობის კრიზისულმა ცენტრმა ქალთა უფლებების დამცველ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, რომლებიც ქმნიან კოალიციას სომხეთში ქალთა მიმართ ძალადობის შესაჩერებლად, აქტიურად შეუწყო ხელი მთიანი ყარაბაღის ომის დროს გადარჩენილ ქალებს. შეგროვებული მონაცემების მიხედვით სტრატეგიები იყოფა 3 ძირითად ეტაპად: ა) მობილიზაცია, ბ) აქტიური ჩარევა და მხარდაჭერა და გ) სტაბილიზაციისა და რეაბილიტაციის ეტაპები.

■ ა. სტრატეგიები მობილიზაციის ეტაპზე

ომის დაწყებისთანავე შოკიდან გამოსვლის დრო შეიძლება იყოს ძალიან სუბიექტური და დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორებზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ცალკეულ პირებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორც ერთეულს, გარკვეული დრო დასჭირდება შოკიდან გამოსასვლელად, ეს შეიძლება დაეხმაროს მათ უფრო რეალისტურად მოქმედებაში კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების დროს.

➜ **ომის დაწყებისთანავე თავდაპირველი შოკიდან გამოსასვლელად საჭირო დროის გათვალისწინება.**

ომის დაწყებისთანავე შოკიდან გამოსვლის დრო შეიძლება იყოს ძალიან სუბიექტური და დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორებზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ცალკეულ პირებს, ისე არასამთავრობო ორგანიზაციას, როგორც ერთეულს, გარკვეული დრო დასჭირდება შოკიდან გამოსასვლელად, ეს შეიძლება დაეხმაროს მათ უფრო რეალისტურად მოქმედებაში კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების დროს.

> როცა პირველი შოკი დასრულდა, უფრო აქტიური ვიყავი და ბოლოს მივხვდი, რომ სახლიც და ქალაქიც დავკარგე. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რა შემეძლო გამეკეთებინა სხვების მხარდასაჭერად. მხოლოდ ამის შემდეგ დავუკავშირდით დევნილებს და ვკითხეთ მათი საჭიროებების შესახებ, რითაც დაიწყო ჩვენი მხარდაჭერა. ასე რომ, ჩვენი მოქმედებები დაიწყო მაშინ, როდესაც ჩვენ ვაღიარეთ ჩვენი დანაკარგი.
> ომის დროს მოვლენები ძალიან სწრაფად იცვლება, ამიტომ დროა საჭირო, სანამ შეაგროვებთ ინფორმაციას დევნილების შესახებ და შექმნით მონაცემთა ბაზას, სანამ გააცნობთ მათ არასამთავრობო ორგანიზაციას და უამბობთ მისი მომსახურების შესახებ.
> **—ქალთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

გაშეშებისა და თავდაპირველი შოკის შემდეგ, კოალიცია ქალთა მიმართ ძალადობის შესაჩერებლად შეიქმნა 2010 წელს, 20 წლის ზ. პეტროსიანის ფემიციდის შემდეგ. ინციდენტს მოჰყვა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებით დაკავებული რამდენიმე ორგანიზაციის შექმნა და შემდეგ ამ ორგანიზაციებმა კოალიციის შექმნა გადაწყვიტეს. ამჟამად კოალიციას ჰყავს 11 წევრი, რომლებიც სომხეთში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებია.[73]

➜ იყო რაღაც უფრო დიდის ნაწილი. სხვა ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან დაკავშირება და თანამშრომლობა კოალიციებისა და ქსელების მეშვეობით, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

ადგილობრივი კოალიციის და/ან საერთაშორისო ქსელის წევრობა დიდი შესაძლებლობაა, გაახმოვანო ომის დროს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა პრობლემები და მიმართო საერთაშორისო საზოგადოებას მხარდაჭერისთვის. გარდა ამისა, ეს ეხმარება არასამთავრობო ორგანიზაციას და მის თანამშრომლებს, გააერთიანონ ძალები და გაიზიარონ პასუხისმგებლობა სხვა ქალთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებთან, ომში გადარჩენილთათვის დახმარების გაწევისას. ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლების და აქტივისტების გადაწვის თავიდან აცილებას და ამით უზრუნველყოფს ხარისხიან მხარდაჭერას გრძელვადიან პერსპექტივაში.

■ ბ. სტრატეგიები აქტიური ინტერვენციისა და მხარდაჭერის ეტაპზე

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შეჩერების კოალიციის ყველა წევრი ორგანიზაცია სპეციალიზირებულია გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სფეროში სომხეთში, ომის დროს არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსები გადამისამართდა ომში გადარჩენილი ქალების ადამიანური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ყველაზე გადაუდებელი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური საჭიროებები გადანაწილდა არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის და თითოეულმა მათგანმა აიღო გადარჩენილთა ერთი კონკრეტული ტიპის საჭიროებაზე რეაგირების პასუხისმგებლობა. SACC-მა ქალთა რესურსცენტრთან ერთად აიღო პასუხისმგებლობა ომში გადარჩენილი ქალებისთვის ჰიგიენური საშუალებების მიწოდებაზე. ეს საჭიროებები გამოვლინდა კოალიციასა და სომხეთის რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის თანამშრომლობის საფუძველზე.

---

73 ქალების მიმართ ძალადობის შეჩერების კოალიცია (n.d.). აქტივობები. მოძიებულია 2022 წლის 8 სექტემბერს. Activities – Coalition to Stop Violence against Women (coalitionagainstviolence.org)

სურათები: დახმარების პაკეტების შეკრება და განაწილება სომხეთში

გამოკითხვებისა და უკუკავშირის შედეგად გაირკვა, რომ, სამწუხაროდ, ჰიგიენური საშუალებების მიწოდება არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფოს მიერ და არ იყო შეტანილი მხარდაჭერის პაკეტში, რადგან სახელმწიფომ ყურადღება გაამახვილა საკვებითა და თავშესაფრით უზრუნველყოფაზე. ამდენად, სახელმწიფოს მხრიდან ქალის მოთხოვნილებები სრულად არ იყო გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული. კერძოდ, ომში გადარჩენილი ქალებისთვის მენსტრუალური საფენებისა და საცვლების მიწოდება სახელმწიფომ სრულიად უგულებელყო.

➜ გენდერულად მგრძნობიარე ჰუმანიტარული მხარდაჭერა: მენსტრუალური ჰიგიენის (და ზოგადად ჰიგიენის) საჭიროებების განხილვა ადამიანის ძირითად საჭიროებებად და ჩართვა სწრაფი ჰუმანიტარული დახმარების პაკეტში. პაკეთში ასევე უნდა შევიდეს კონდომები და კონტრაცეპტივები

ომის ზონებში მენსტრუაციის მქონე გოგონებისა და ქალების რეალური პრობლემები იგნორირებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, როდესაც ჰუმანიტარული მხარდაჭერის ხედვა არის პატრიარქალური და მოკლებულია გენდერულ მგრძნობელობას..

> ვადაუდებელი დახმარების პაკეტები არ შეიცავდა კონდომებს ან კონტრაცეპტივებს. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებული მენსტრუალური საფენები არ იყო საკმარისი, რადგან იყო ოჯახები, სადაც 3 ქალი იყო, მოწოდებული მენსტრუალური საფენები საკმარისი იყო ოჯახის მხოლოდ ერთი ან ორი წევრისთვის. საქმე ისაა, რომ ბენეფიციარებმა ისაუბრეს მენსტრუალური საფენების სიმცირეზე, მაგრამ არ უხსენებიათ დახმარების პაკეტებში პრეზერვატივებისა და კონტრაცეპტივების არარსებობაზე. ჩვენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, გავაჟღერეთ საკითხი, რადგან ომის დროს დავინახეთ ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა... ცნობილი ფაქტია, რომ ხშირად, ომის შემდეგ მშობიარობის ბუმი იწყება, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა დაბადებული ბავშვი სასურველია. ხშირად ისინი იბადებიან სექსუალური ძალადობისა და ცოლ-ქმრის გაუპატიურების შედეგად. ამიტომ მნიშვნელოვანია დამხმარე პაკეტებში კონტრაცეპტივების ჩართვა.
> **— ქალთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

ომის დროს და მის შემდეგ, მოსალოდნელია როგორც იძულებით გადაადგილებული პირების, ისე ლტოლვილების დიდი რაოდენობა. გამონაკლისი არც სომხეთი იყო. იძულებით გადაადგილებულთა დიდმა რაოდენობამ გამოიწვია მხარდაჭერის ქაოტური უზრუნველყოფა და ქაოსის პერიოდი ინტერვენციების ადრეულ ეტაპზე. შედეგად, SACC გახდა ერთ-ერთი დამაკავშირებელი არასამთავრობო ორგანიზაცია სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს შორის, რომლებიც მიმართავდნენ არასამთავრობო ორგანიზაციას ნებისმიერი სახის მხარდაჭერისთვის. ამ პროცესის განმავლობაში SACC მონაწილეობდა ომში გადარჩენილთა გადანაწილებაში, კონსულტირებასა და უშუალოდ დახმარების აღმოჩენის პროცესში სახელმწიფო ინსტიტუტებთან კავშირში და მათთან თანამშროლობით.

➜ სახელმწიფო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და კომუნიკაცია

საგანგებო ვითარებაში, სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები და სამინისტროები არიან ყველაზე აქტიურად ჩართული ოფიციალური მხარეები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია სახელმწიფოსთან კომუნიკაცია იმ სერვისებისა და ინტერვენციების შესახებ, რომელთა გაწევასაც აპირებთ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია, რათა თავიდან აიცილოთ სერვისების დუბლირება და რესურსების გაფლანგვა.

არარეალურია იმის მოლოდინი, რომ ომის დაწყების მომენტში იარსებებს სტრატეგია და გეგმა, რომლის შესაბამისადაც საზოგადოების თითოეულმა წევრმა შესანიშნავად იცის, როგორ მოიქცეს და როგორ დაუჭიროს მხარი სხვა ადამიანებს, რომლებიც გაჭირვებაში აღმოჩნდნენ. 2020 წელს, როდესაც ომი დაიწყო, არ არსებობდა სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა შემუშავებული სომხეთის რესპუბლიკაში სახელმწიფოს და არც რომელიმე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ. ომის დროს და უშუალოდ ომის შემდეგ SACC-მა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ სფეროში ჩაატარეს საჭიროებების არაფორმალური შეფასება, იმავდროულად უზრუნველყოფდნენ მხარდაჭერას გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. შეფასებისას ბენეფიციარებმა ისაუბრეს დამატებით საჭიროებებსა და საკითხებზე, რომლებიც აქამდე არ განიხილებოდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახელმწიფოს მიერ. შემდეგ, ეს საჭიროებები დაემატა ინტერვენციებისა და მხარდაჭერის ჩამონათვალს, რომელიც მუდმივად ახლდებოდა.

➜ არ არსებობს იმის მოლოდინი, რომ შესაძლებელი იქნება იდეალურად დასახული გეგმის პირობებში მუშაობა ისეთი საგანგებო სიტუაციის დასრულებამდე, როგორიცაა ომი.

კრიზისისა და საგანგებო სიტუაციების დროს კარგია საგანგებო გეგმის ქონა, მაგრამ ასევე სიმართლეა ის, რომ ომის დროს საგანგებო გეგმა შეიძლება სწრაფად იცვლებოდეს, ზოგჯერ რამდენიმე საათში. გარდა ამისა, ინტერვენციის გეგმა ბევრად იქნება დამოკიდებული გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა ახლად გამოვლენილ საჭიროებებზე.

> როდესაც ვიყავით შუშაში (ქალაქი მთიან ყარაბაღში), ხალხი გამოდიოდა ომის ზონიდან და პირველი ნაბიჯი იყო ამ ხალხის განთავსება თავშესაფრებში, სახლებში, სასტუმროებში და ყველგან სადაც ეს შესაძლებელი იყო. ფრონტის ხაზი სწრაფად იცვლებოდა და ყოველ ჯერზე ჩნდებოდა ახალი საცხოვრებლის უზრუნველყოფის საჭიროება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ტანსაცმლის, ჰიგიენური საშუალებების, საკვების, მედიკამენტების, სოციალური დახმარების უზრუნველყოფა... ომის ადრეულ ეტაპზე ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა არ არსებობდა, რადგან მოვლენები ძალიან სწრაფად იცვლებოდა.

> ზოგიერთ სამოქალაქო პირს სჭირდებოდა სპეციალური მედიკამენტები, ზოგს გადაადგილების პრობლემა ჰქონდა და მათი დახმარება იყო პრიორიტეტული.
> ზოგს დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა, რადგან, როცა გაიქცნენ, საბუთები თან არ წაიღეს. ომის ადრეულ ეტაპზე ამ თემაზე არავინ საუბრობდა, მაგრამ ომის შემდეგ გაირკვა, რომ ბევრს, მაგალითად, პასპორტიც კი არ ჰქონდა.
> **— ქალთა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი**

SACC სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად დაუკავშირდა საერთაშორისო და ადგილობრივ დონორ ორგანიზაციებს და სთხოვა დაფინანსების გადამისამართება ომში გადარჩენილი ქალების გადაუდებელ საჭიროებებზე რეაგირებისთვის. დაფინანსების უმეტესი ნაწილი მიმართული იყო ჰიგიენური საშუალებების (მენსტრუალური საფენები, საცვლები, საპონი) და თუნდაც საბნების, თეთრეულისა და ლეიბების შეძენაზე, რაც უზრუნველყოფდა გარკვეულ პირად სივრცეს გადატვირთულ თავშესაფრებში.

➜ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების ღიად კომუნიკაცია დონორ საზოგადოებასთან.

ბევრი დონორი დათანხმდება დაფინანსების გადამისამართებას გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებისთვის, თუ ისინი მუდმივად არიან ინფორმირებული საგანგებო სიტუაციის შესახებ და თუ იქნება გამჭვირვალე ანგარიშგება გადამისამართებული ხარჯების შესახებ.

ომისა და საგანგებო სიტუაციების დროს საერთაშორისო დაფინანსების შესაძლებლობები შეიძლება მწირი იყოს გადარჩენილთა საჭიროებებთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სასარგებლოა ადგილობრივი თემების მოწვევა მხარდაჭერისთვის სოციალური მედიის საშუალებით. SACC სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად იყენებდა სოციალურ მედიას და ადგილობრივებმა მყისიერად უპასუხეს ჰიგიენური საშუალებების და რძის ჩუქებით მეძუძური დედებისთვის, რომლებსაც დიდი სტრესის გამო ფიზიოლოგიურად აღარ შეეძლოთ თავიანთი ახალშობილების ძუძუთი გამოკვება.

➜ სოციალური მედიის გამოყენება სახსრების მოზიდვის გასაზრდელად ან გენდერული ნიშნით ძალადობის მსვერპლთა სახელით პირდაპირი მხარდაჭერის თხოვნით.

დღესდღეობით, სოციალური მედია საშუალებას გვაძლევს, დავუკავშირდეს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საზოგადოებას სახსრების მოზიდვისა და მხარდაჭერისთვის. სანამ დაცულია გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა კონფიდენციალურობა და ანონიმურობა, თუ თანხმობა არ არის მიცემული სახელების გაზიარებაზე, შესაძლებელია სოციალური მედიის გამოყენებით წარმატებული სახსრების მოზიდვა. შესაძლებელია, ომის დროს ქვეყნებმა სოციალური მედიის გამოყენება შეზღუდონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის კარგი ინსტრუმრნტია ომში გადარჩენილების სახელით დასაკავშირებლად და დახმარების სათხოვნელად.

გ. სტრატეგიები სტაბილიზაციისა და რეაბილიტაციის ეტაპზე

ომში გადარჩენილი ქალების ჰუმანიტარული დახმარების პაკეტები, რომლებიც SACC-მ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაავრცელეს, მოიცავდა საინფორმაციო მასალებს, ფლაერებს და ბუკლეტებს ყველა ორგანიზაციისა და დაწესებულების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა სახის დახმარებას უწევენ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთ ადგილზე. ომიდან რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ომში გადარჩენილი ქალების ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეფასდა, როგორც მეტ-ნაკლებად სტაბილური, SACC-მა დაიწყო ინდივიდუალური საინფორმაციო სესიების და თემატური ჯგუფის შეხვედრების გამართვა თავშესაფრებში მცხოვრები ქალებისთვის გენდერული ნიშნით ძალადობის რისკების არსებობაზე.

➜ ინფორმაციის მიწოდება გენდერული ნიშნით ძალადობის რისკებისა და შედეგების შესახებ ომში გადარჩენილი ქალებისთვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი მზად არიან მიიღონ და აღიქვან ეს ინფორმაცია.

ჰუმანიტარული დახმარების გაწევასთან ერთად მნიშვნელოვანია გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებების შეფასება ფსიქოლოგიური მხარდაჭერის თვალსაზრისით. ომში გადარჩენილები უფრო ადვილად მოისმენენ ინფორმაციას გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შედეგების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მოითხოვენ რჩევას, როდესაც მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილურია. მნიშვნელოვანია, რომ არ აიძულოთ ისინი, მიიღონ კონსულტაცია ან მხარდაჭერა, თუ არ გრძნობენ მზადყოფნას ამისთვის, რაც ბუნებრივია მოხდება, როდესაც მათი ძირითადი ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები დაკმაყოფილდება. თუმცა, გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევაში დროული ინტერვენციების ორგანიზებისთვის აუცილებელია საჭიროებების მუდმივი შეფასება.

ნებისმიერი სახის დახმარების გაწევა იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებიც ინდივიდუალურად მიმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციას, შეიძლება იყოს ქაოტური საგანგებო ვითარების პირობებში, რადგან არსებობს ორმაგი სერვისების გაწევის ან ბენეფიციართა კრიტერიუმებთან შეუსაბამობის რისკი. საბოლოო ჯამში, SACC-მ გადაწყვიტა უშუალოდ მისულიყო ომში გადარჩენილი ქალების თავშესაფრებში. იმ ეტაპზე გადარჩენილების ფსიქოლოგიური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად სტაბილური იყო და ისინი მზად იყვნენ გინეკოლოგიური და ფსიქოლოგიური სერვისების მისაღებად.

➜ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვეპლებთან პირადად შეხვედრა და როგორც ფსიქოლოგიური, ასევე სამედიცინო დახმარების შეთავაზება უსაფრთხო გარემოში.

გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებთან შეხვედრა მათსავე სივრცეში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათ უკვე დაკარგეს სახლები და იძულებით გადაადგილებულები არიან, შეიძლება გადამწყვეტი იყოს ურთიერთობისა და ნდობის ჩამოსაყალიბებლად. ამ მიდგომით, გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლებმა შეიძლება თავი მეტად დაცულად იგრძნონ და უფრო ღიად მიიღონ დახმარება სპეციალისტებისგან, ნაკლებად გამომწვევი გარემოს გამო. თავშესაფრებში დახმარების გაწევისას (განსაკუთრებით ფსიქოლოგის მიერ), აუცილებელია გავითვალისწინოთ, თუ რამდენად ბნელი ან ხმაურიანია გარემო/ოთახი, რათა კონსულტაციის სესიაზე არ მოხდეს გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა ხელახალი ტრავმა.

ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს SACC-ის სპეციალისტების მიწვევა გენდერული ნიშნით ძალადობის, კერძოდ, ომის დროს სექსუალური ძალადობის რისკების, ტრეფიკინგისა და ქალების სექსუალური ექსპლუატაციის რისკების შესახებ სასაუბროდ.

➜ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოხალისეების განათლება ომების დროს გენდერული ნიშნით ძალადობის რისკებისა და შედეგების შესახებ.

ომის დროს და უშუალოდ ომის შემდეგ ბევრ ადამიანს, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, ბუნებრივია, მოუნდება მობილიზება საერთო საქმის გარშემო და ომში გადარჩენილებისთვის დახმარების გაწევა. თუმცა, ბევრ მათგანს არ ექნება საკმარისი ცოდნა სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ. ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების (განსაკუთრებით იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ამოცანაა, რომლებსაც ჰყავთ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის სფეროში მომზადებული სპეციალისტები) ომის დროს და მის შემდეგ მოამზადონ და გაანათლონ საზოგადოების გარკვეული სეგმენტები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რათა გააფართოვონ მხარდაჭერის ქსელი და ხმა მიაწვდინონ გენდერული ნიშნით ძალადობის კიდევ უფრო მეტ მსხვერპლს. ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებს ასევე სჭირდებათ სახელმწიფოს ადეკვატური მხარდაჭერა და დაფინანსება, ან თუ ეს შეუძლებელია, მხარდაჭერა საერთაშორისო დონორების მხრიდან.

გაჭიანურებული კონფლიქტი

საქართველო

ქალთა ფონდი სოხუმი (WFS) არის იძულებით გადაადგილებულ ქალთა ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1997 წელს და დაფუძნებულია საქართველოში, ქუთაისსა და თბილისში. მისი მიზანია საქართველოში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და იძულებით გადაადგილებული/ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების უფლებების დაცვა, მათი როლის გაძლიერება პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში და მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ცხოვრებასთან და კონფლიქტების მშვიდობიან ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით.

იმ სიტუაციებში, სადაც მთავრობის პოლიტიკა არ პასუხობდა იძულებით გადაადგილებული ქალების სპეციფიკურ გენდერულ საჭიროებებს, ორგანიზაციის თავდაპირველი მიზანი იყო მათი ძირითადი საჭიროებების, მათ შორის საკვების, ტანსაცმლისა და საყოფაცხოვრებო ნივთების უზრუნველყოფა. 1997-2000 წლებში დახმარება გაეწია ათასზე მეტ ოჯახს. თუმცა, ნათელი იყო, რომ ჰუმანიტარული საქმიანობა და ადამიანთა საბაზისო საჭიროებებზე რეაგირება ვერ უზრუნველყოფდა დევნილთა ცხოვრებაში გრძელვადიან პოზიტიურ ცვლილებას. დროთა განმავლობაში, WFS-ის მიმართულებები და აქტივობები განვითარდა და გარდაიქმნა გრძელვადიან სტრატეგიად, რომელიც მიზნად ისახავს, კონფლიქტით დაზარალებული ქალების ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე დადებითი და საგრძნობი გავლენის მოხდენას.

2001 წლიდან, ქალებისა და ახალგაზრდების სოციალური და პოლიტიკური გაძლიერება გახდა ორგანიზაციის პრიორიტეტეტული მიმართულება, რაც მიზნად ისახავდა მათი მონაწილეობის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე და საზოგადოებრივ დომენში, რათა ინფორმირებულნი იყვნენ პოლიტიკაზე და შეეძლოთ მაღალი ხილვადობის ადვოკატირების ინიციატივების წარმართვა და გავლენის მოახდენა მშვიდობის დამყარებასა და თანასწორი, არაძალადობრივი საზოგადოების განვითარებაზე. ქალთა ფონდმა „სოხუმი“, ასევე აქტიური მუშაობა წამოიწყო ძალადობის მსხვერპლ ქალებთან მათი ტანჯვის შემსუბუქების, მდგომარეობის გაუმჯობესების, და მათ ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებების გატარების მიზნით.

ამჟამად ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებებია: ქალთა მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობაში; ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა; გენდერული თანასწორობის ინტეგრირება ადგილობრივ და ეროვნულ პოლიტიკაში; ახალგაზრდების აქტიურობა და გაძლიერება.

■ ქალთა ფონდის „სოხუმი“ სტრატეგიები გენდერული ძალადობის დასაძლევად პოსტკონფლიქტურ გარემოში.

■ სიტუაციური ანალიზი

საქართველოში იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის, ომებისა და კონფლიქტების დასრულებამ არ შეწყვიტა მათ მიმართ ძალადობა. გადაადგილების შემდეგ, მათი სახლები ძალადობის ახალ ეტაპად იქცა, მრავალი ტრავმირებული ყოფილი მებრძოლი მამაკაცის მხრიდან, რომლებიც კონფლიქტის გამოცდილებით და პოსტკონფლიქტური ადაპტაციის სირთულეებით გამოწვეული, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან დაკავშირებული მრავალი მიზეზის გამო უფრო მეტ ძალადობას სჩადიოდნენ ოჯახებში. გარდა ამისა, გაჭიანურებული და მოუგვარებელი კონფლიქტების პირობებში, რომლის დროსაც დევნილებს უწევთ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობის გაურკვეველი პერსპექტივით ცხოვრება, რასაც თან ახლავს ემოციური განცდები, ომის მოგონებები, ეკონომიკური არასტაბილურობა და სირთულეები, ასევე გაუსაძლისი საცხოვრებელი პირობები დევნილთა კოლექტიურ დასახლებებში, ბევრი მათგანისთვის სტრესი ყოველდღიურ

რეალობად იქცა. პოსტკონფლიქტურ სიტუაციაში, სადაც ადამიანები კვლავ ცხოვრობენ „არც ომის და არც მშვიდობის“ გარემოში, ძალზე ხშირია აგრესია და ძალადობრივი ქცევა, რაც შემდგომში ვლინდება ოჯახურ კონფლიქტებში და ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობაში.

2017 წელს, სტამბულის კონვენციის რატიფიცირების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ არსებითად გააძლიერა ძალისხმევა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქართველო იყო პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც 2006 წელს მიიღო კანონი ოჯახში ძალადობის შესახებ და მოახდინა სტამბულის კონვენციის რატიფიცირება, რასაც მოჰყვა 29 ეროვნული კანონისა და სამართლებრივი დოკუმენტის ადაპტაცია. მოხდა ქალების მიმართ და ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. 2017 წელს, საქართველოს მთავრობის შემადგენლობაში შეიქმნა გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა საკითხებში.

ქალთა ფონდის „სოხუმი“, 2019 წლის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისა და იძულებით გადაადგილებული პირებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც კონფლიქტის გამყოფ ზოლთან ახლოს ცხოვრობს, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ რთულ და ტაბუირებულ საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ (85%) აღიარა, რომ ოჯახში ძალადობა ფართოდ გავრცელებული და მწვავე პრობლემაა ქალებისთვის, ის კვლავ დაფარულ, სტატისტიკის მიღმა, გაუზიარებელ პირად ტრაგედიად რჩება ქალთა დიდი უმრავლესობისთვის.[74] ქართული საზოგადოება არის ტრადიციული საზოგადოება, რომელსაც ღრმად აქვს ფესვგადგმული ოჯახი, როგორც კერძო შეუვალი ერთეული, რომლის დახურული ბუნება ითვლება წმინდად და ყველა ვალდებულია, იცავდეს ოჯახის ღირსებას, განსაკუთრებით სოფლად და დიდ ქალაქებს მოშორებულ ადგილებში. დაოჯახებული ქალები ხშირად თავიანთი მეუღლეების ნათესავებთან ცხოვრობენ და ოჯახში ძალადობის ან განქორწინების შემთხვევაში არც წასასვლელი და ხშირად არც საარსებო საშუალება აქვთ. ეს განსაკუთრებით ეხება იძულებით გადაადგილებულ ქალებს, რომლებსაც არ გააჩნიათ უსაფრთხო საცხოვრებელი და ხშირად ცხოვრობენ გადატვირთულ დევნილთა დასახლებებში, იზიარებენ პატარა ბინებს ოჯახის სხვა წევრებთან ერთად. აღნიშნული, ბუნებრივად იწვევს თავშესაფრებში მომართვიანობის ზრდას, სადაც ქალებს შეუძლიათ ექვს თვემდე ბავშვებთან ერთად დარჩენა, მაგრამ ამ დროის გასვლის შემდეგ ისინი ხშირად ხდებიან უსახლკაროები, და საფრთხეში მყოფნი, იძულებულნი არიან დაბრუნდნენ მოძალადე ყოფილი/ქმრების ძალადობრივ გარემოში შემდგომი ვიქტიმიზაციის რისკით.

2001 წლიდან, მრავალმხრივი აქტივობებით, ქალთა ფონდი „სოხუმი“ აქტიურად მუშაობს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, და ფოკუსირებულია დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებზე, რომლებიც დიდ ქალაქებს მოშორებულ რაიონებსა და სოფლებში ცხოვრობენ, განსაკუთრებით კი კონფლიქტის გამყოფი ზოლის მიმდებარე ტერიტორიებზე - ე.წ. (ABL) რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს მოწყვეტილ აფხაზეთთან.

➜ **ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და რეაგირება.** ტრადიციული და კულტურული ნორმების გათვალისწინებით, სადაც ოჯახში ძალადობის განხილვა ტაბუირებულია და მიუღებლად ითვლება, ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება. ამდენად, ძალადობის მსხვერპლთა დროული და სათანადო დახმარების უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულ და მნიშვნელოვან სტრატეგიას სწორედ ძალადობის ადრეული იდენტიფიკაცია და რეაგირება წარმოადგენს.

74 ქალთა ფონდი სოხუმი (2019), „გენდერულად მგრძნობიარე კონფლიქტების ადრეული გაფრთხილების სისტემის“ ფარგლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგები - ანგარიშების კრებული, . http://www.fsokhumi.ge/images/2020/4/pub/1/GREWS-eng.pdf

ქალთა ფონდი „სოხუმის“ შემთხვევაში, ეს კეთდება სხვადასხვა სტრატეგიისა და ინსტრუმენტების კომბინაციის მეშვეობით:

■ იდენტიფიცირების სტრატეგიები:

- **ქალთა მხარდაჭერის ცენტრები (ქმც) -** ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ დასავლეთ საქართველოს 11 ქალაქში დაარსებული ადგილობრივი სათემო ცენტრები, რომელთაც ქალები ხელმძღვანელობენ, არის სათემო დონეზე, ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის იდენტიფიკაციის მთავარი წყარო. თითოეული ცენტრი წარმოდგენილია კარგად ინფორმირებული სათემო ლიდერი ქალების მიერ (მობილიზატორები), რომლებიც აღჭურვილნი არიან მედიაციისა და ფასილიტაციისთვის საჭირო უნარებით, თავიანთი თემის სხვადასხვა დაუცველ ჯგუფთან კომუნიკაციისთვის. ქმც იკვლევს და აფასებს სიტუაციას ადგილზე, ახდენს გადაუდებელი და აქტუალური გენდერულად მგრძნობიარე პრობლემების იდენტიფიცირებას, მათ შორის ოჯახურ კონფლიქტებსა და ოჯახში ძალადობას, და გადაამისამართებს ძალადობის მსხვერპლთ შესაბამის უწყებებსა და დახმარების სამსახურებში დახმარებისთვის. ქმც-ები ახდენენ მოქალაქეების მობილიზებას და ინფორმირებას ქვეყანაში არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ, მონაწილეობენ ადგილობრივი ხელისუფლების შეხვედრებში და აქტიურად ახდენენ ადგილობრივი თემის პრობლემების ადვოკატირებას ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირებთან.

- **აინფორმაციო შეხვედრები პროფესიულ ჯგუფებთან:** ორგანიზაციის მხრიდან სხვადასხვა პროფესიულ ჯგუფებთან (როგორიცაა სკოლისა და ბაღის მასწავლებლები, აღმზრდელები, სამედიცინო პერსონალი, სოციალური მუშაკები და ა.შ.) ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები, ქმნიან ეფექტიან სივრცეს კონსტრუქციული პარტნიორობისთვის და მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის პროცესს;

- **ფსიქოლოგიური თერაპიის სეანსები:** ორგანიზაციის ფსიქოლოგების მიერ ჩატარებული ჯგუფური ან ინდივიდუალური ფსიქოლოგიური თერაპია, მათ შორის არტთერაპიის სესიები, ოჯახში ძალადობა გამოვლილ ქალებს საშუალებას აძლევს, ღიად გამოხატონ თავიანთი ემოციები და გამოავლინონ საკუთარი პრობლემები, ასევე განავითარონ დაძლევისა და თვითდამშვიდების უნარები. ფსიქოლოგიურ სესიებზე ქალები ხშირად ხდებიან ინფორმატორები და ეხმარებიან სპეციალისტებს ნაცნობთა წრეში „ჩუმი მსხვერპლის“ იდენტიფიცირებაში;

- **ანონიმური კითხვარების შევსება და შესაბამის სპეციალიზებულ სამსახურებში გადამისამართება:** ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირებისა და იდენტიფიცირებისთვის ორგანიზაციის სამიზნე მუნიციპალიტეტების სხვადასხვა თემში ვრცელდება სპეციალური ანონიმური კითხვარები. შევსებული კითხვარები იგზავნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მთავარ ოფისში შემდგომი განხილვისთვის. ყველა კითხვარს განიხილავს და აფასებს ფსიქოლოგი, იურისტი და სოციალური მუშაკი, რის შემდეგაც ერთობლივად ხდება ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული სამუშაო გეგმების შემუშავება. რთული და გადაუდებელი სიტუაციის მქონე ქალები რეაბილიტაციისთვის იგზავნებიან ორგანიზაციის ბაზაზე არსებულ „სარეაბილიტაციო ცენტრში“ ან ქვეყანაში მოქმედ სხვა სპეციალიზებულ სამსახურებში.

- **სათემო, გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემა (GREWS),** რომელიც განვითარდა და დაინერგა ფონდი „სოხუმის“ მიერ,[75] არის კონფლიქტის ანალიზის მრავალგანზომილებიანი და რთული მექანიზმი და გამოიყენება ყველა მიმდინარე პროექტში იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალების და გოგონების, ასევე ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/პოტენციური მსხვერპლი ქალების

75 სათემო, გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემა დაინერგა და ამოქმედდა ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ, ორგანიზაცია Kvinna till Kvinna-ს ფინანსური მხარდაჭერით, 2018 წელს.

მდგომარეობის მონიტორინგისა და შეფასებისთვის. ადრეული გაფრთხილების სისტემა აგებულია თემის ლიდერების მიერ, პოტენციური კონფლიქტებისა და კრიზისების შესახებ ინფორმაციის შეგროვების პროცესზე (ოჯახებში, თემებში და ა.შ.). ყველა შეგროვილი მონაცემის სისტემატიზირება და გაანალიზება ხდება ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. ეს ინფორმაცია გამოიყენება ძალადობისა და არასტაბილურობის შესაძლო ესკალაციის შესახებ დროული გაფრთხილებისთვის, ასევე შესაბამისი რეაგირების სტრატეგიების შემუშავებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირების განსახორციელებლად ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. GREWS-ს მეთოდოლოგიის გამოყენებით, ფონდი „სოხუმის" მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა არაერთი ანგარიში, პოლიტიკის დოკუმენტი თუ ანალიზი, რომელიც ხელმისაწვდომია ფონდი „სოხუმის" ვებსაიტზე.[76]

■ რეაგირების სტრატეგიები:

- **ორგანიზაციის მიერ მართული „სარეაბილიტაციო ცენტრი",** 24/7 თავშესაფრით უზრუნველყოფს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლ/პოტენციურ მსხვერპლ ქალებს, რომლებსაც პოლიციაში მიმართვის შიშის თუ გაურკვევლობის გამო არ მიუღიათ მსხვერპლის ოფიციალური სტატუსი, და ამდენად, არ აქვთ სახელმწიფო მომსახურებების მიღების შესაძლებლობა. ცენტრში ქალებს ეხმარებიან ქვეყანაში არსებული ალტერნატიული გზებით მსხვერპლის სტატუსის მიღებაში. „რეაბილიტაციის ცენტრში" ყოფნისას ფსიქოლოგი, იურისტი და სოციალური მუშაკი აქტიურად მუშაობენ მსხვერპლებთან და მათ შვილებთან. საჭიროების შემთხვევაში, მათ გზავნიან კონსულტაციაზე სხვა პროფესიონალებთან და სამედიცინო სპეციალისტებთან. ძალადობის მსხვერპლ ქალებს ეხმარებიან იურიდიული დოკუმენტების აღდგენაში ან ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სოციალური სერვისების მიღებაში. ძალადობის მსხვერპლებს/პოტენციურ მსხვერპლებს ასევე უტარდებათ სხვადასხვა პროფესიული კურსები (ბუღალტერია, ჭრა-კერვა, კომპიუტერული და პოლიმერული თიხის კურსები და მცირე ბიზნესის საფუძვლები), ეძლევათ გრანტები მცირე ბიზნესის დასაწყებად და აკავშურებენ პოტენციურ დამსაქმებლებს, შემდგომი დასაქმებისა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისთვის.

> ადამიანადაც კი აღარ ვგრძნობდი თავს. ყოველდღიურობამ, რომელშიც ვცხოვრობდი, გამაგიჟა. აფხაზეთის ომის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ომი არ დასრულებულა... მე და ჩემი ოჯახი მუდმივად გადარჩენისთვის ვიბრძოდით... ყოველ საღამოს ველოდი, ჩემი ქმრისგან ჩხუბს. ისეთი დეპრესიას ვგრძნობდი, რომ არაფერზე რეაგირება არ შემეძლო. თემის ლიდერმა [ფონდ „სოხუმის" მობილიზატორი] ფონდ „სოხუმთან" დამაკავშირა და ასე აღმოვჩნდი სარეაბილიტაციო ცენტრში. ჩემი შვილები სახლის გარდა სხვაგან არასოდეს ყოფილან. სარეაბილიტაციო ცენტრში მოხვედრა მათთვის უცხოეთში წასვლას ჰგავდა. მოვხვდი ისეთ გარემოში, სადაც პირველად ვიგრძენი თავი ადამიანად, ქალად. პირველად მომინდა მაკიაჟის გაკეთება და ფრჩხილებზე ლაქის წასმა.
> თურმე ბევრი პრობლემა მქონია... ამ პრობლემების მოგვარებაში ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი მეხმარებოდნენ. ჩემს შვილებზე პროფესიონალები ზრუნავენ. ფსიქოლოგთან მუშაობის შემდეგ შვება ვიგრძენი. ახლა მინდა გონებიდან წავშალო ტკივილითა და გაჭირვებით

76 ქალთა ფონდი სოხუმის ოფიციალური ვებსაიტი. მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. http://www.fundsokhumi.ge/index.php/en/publications/gender-based-violence. http://www.fundsokhumi.ge/index.php/en/publications/gender-based-violence

სავსე 31 წელი, სადაც არც ერთი ნათელი წერტილი არ იყო. ორი კვირის განმავლობაში ფეხზე წამოვდექი, გადავაფასე ჩემი ცხოვრება და სხვანაირად დავინახე, ბევრი რამ ვისწავლე და ახლა ხვალინდელი დღის არ მეშინია.
— 36 წლის დევნილი ქალის ნაამბობი

- **წყვილებთან მუშაობა – ადრეულ ეტაპზე მოძალადის ძალადობრივი ქცევის კორექციის სესიები:** ფსიქოლოგთან და მობილიზატორებთან შეხვედრების დროს ან ანონიმური კითხვარების მეშვეობით გამოვლენილ, ოჯახური კონფლიქტების მქონე წყვილებისთვის ხდება სპეციალური სესიების შეთავაზება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტრავმული გამოცდილების ან ძლიერი ბრაზის ემოციების მქონე მამაკაცებს (მათ შორის ყოფილ მეუმრებს), რომლებიც ოჯახში ძალადობას სჩადიან. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მამაკაცები, რომლებსაც ომის შემდეგ არ ჩატარებიათ სპეციალიზებული რეაბილიტაცია, უმეტეს შემთხვევაში ვერ ახერხებენ ემოციების მართვას, რადგან საზოგადოებრივი მოლოდინების შესაბამისად ისინი „მკაცრები და ძლიერები“ უნდა იყვნენ. მაშინ, როცა ეს მამაკაცები, საზოგადოებაში საკუთარი ემოციების დამალვას ცდილობენ, მათი გრძნობების გამოვლენა ხდება პარტნიორთან ინტიმურ ურთიერთობებში. ასეთ წყვილებთან მუშაობაში ერთვება მულტიდისციპლინური გუნდი (ფსიქოლოგი, კონფლიქტოლოგი და იურისტი). ქალებსა და მამაკაცებს უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაცია ან ერთობლივი თერაპია, სადაც ისინი განიხილავენ თავიანთ პრობლემებს. სესიებზე მუშაობა მიმართულია წყვილებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებაზე, მათი პრობლემების ანალიზსა და კონფლიქტის რისკების აღმოფხვრაზე. ზოგჯერ, როდესაც ფსიქოლოგის მიერ ხდება მშობლების ურთიერთობის უარყოფითი გავლენის გამოვლენა ბავშვებზე, ოჯახთან მუშაობას ერთდროულად ახორციელებენ სხვადასხვა სპეციალისტები - ფსიქოლოგი მუშაობს ბავშვთან, კონფლიქტების მოგვარების სპეციალისტი - მშობლებთან.

30 წელია ვცხოვრობთ დევნილობაში და გაურკვეველ ვითარებაში, ერთ პატარა ბინაში სამი თაობა ერთად ცხოვრობთ... ასეთ ოჯახში ყველანაირი პირობაა შექმნილი კონფლიქტის აღმოცენებისთვის. ერთ დღეს მივედი ფონდ „სოხუმის“ შეხვედრაზე. როცა კონფლიქტის სპეციალისტი ლაპარაკობდა, როგორ იქმნება ოჯახში კრიზისი, მეგონა ჩემზე ლაპარაკობდა. ძალიან შემეშინდა. ის, რაც მე უბრალო კამათი მეგონა ჩემს ოჯახში, კონფლიქტის გაჩენის სერიოზული რისკი ყოფილა. ჩემს თავს ვუთხარი: „აფხაზეთში ყველაფერი დავკარგეთ... არ მინდა

სურათი: მუშაობა წყვილთან ქალთა ფონდში სოხუმი

ახლა ოჯახი დავკარგო. უნდა გადავარჩინო''. შეხვედრაზე შემომთავაზეს ფსიქოლოგთან ვიზიტი. ადვილი არ იყო, ძალიან გამიჭირდა, უხერხულად ვიგრძენი თავი... ერთი თვე ვფიქრობდი და ბოლოს გადავწყვიტე ტელეფონით გავსაუბრებოდი. უფრო ადვილი იყო ჩემთვის. მოგვიანებით დავგეგმეთ პირისპირ შეხვედრა და ჩავერთე სესიებში მეუღლესთან ერთად... ფსიქოლოგმა ინდივიდუალური სქემა დამიდგინა: როგორ ვმართო ემოციები და როგორ დავძლიო სტრესი. პირველივე შეხვედრაზე ვიგრძენი, რომ საკუთარ თავზე უნდა მემუშავა. გამუდმებით ვიხსენებდი მის რჩევას. სიმართლე გითხრათ, ამ შეხვედრებმა გადაარჩინა ჩემი ოჯახი და სიცოცხლე. გამოუსწორებელი ძალადობის შემთხვევები შეიძლებოდა ძალიან მარტივად განვითარებულიყო ჩემს ოჯახში და წარმომიდგენია, სად აღმოვჩნდებოდი.
— აფხაზეთიდან დევნილი მამაკაცის ნაამბობი, 45 წლის

ცნობიერების ამაღლება და მოსახლეობის ინფორმირება ოჯახში ძალადობის შესახებ. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ქალთა მიმართ ძალადობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის ხელშეწყობა მნიშვნელოვან სტრატეგიას წარმოადგენს იმ სოციალური ნორმების, ქცევის, რწმენისა და სტრუქტურების შესაცვლელად, რომლებიც ემყარება გენდერული ნიშნით ძალადობის ნორმალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი ცნობიერების ამაღლების კამპანიებს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ ღრმად ფესვგადგმული აღქმის შეცვლაში, განსაკუთრებული ყურადღებაა გასამახვილებელი გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებასა და პრევენციული ინიციატივების ხელშეწყობაზე.

ქალთა ფონდი „სოხუმი“ უამრავ ინსტრუმენტს იყენებს საინფორმაციო და მედიაკამპანიების ჩატარებისას - სოციალური რეკლამები, ტელე და რადიო გადაცემები, ქუჩის/ფორუმ თეატრები, საჯარო დისკუსიები და ტრენინგები რეფერალური სისტემის სხვადასხვა აქტორებთან და სხვა სოციალურ ჯგუფებთან (მაგ. პოლიცია, მასწავლებლები, ექიმები, სოციალური მუშაკები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები, თემის ლიდერები და ა.შ.), რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებაში ღია დისკუსიების წარმართვასა და დამოკიდებულებების შეცვლას.

„ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ციფრული რესურს ცენტრი“[77] (ონლაინ პლატფორმა), რომელიც ფონდი „სოხუმის' მიერ 2022 წელს შეიქმნა, უზრუნველყოფს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის და ნებისმიერი დაინტერესებული პროფესიონალისთვის, გენდერული ნიშნით/ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ფართო სპექტრზე მარტივ წვდომას. ონლაინ პლატფორმა არის ინფორმაციის ყოვლისმომცველი ბანკი ქვეყანაში არსებული ყველა მხარდაჭერის სერვისის შესახებ, რომელიც მიეწოდება ძალადობის მსხვერპლთ ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ. ონლაინ პლატფორმაში აკუმულირებულია სრული ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების, რეფერალური სისტემის აქტორების ფუნქციების, გენდერული ნიშნით ძალადობასთან დაკავშირებული ეროვნული და საერთაშორისო პუბლიკაციების (ანგარიშები, ანალიზი, გამოკითხვები და ა.შ.), მობილური SOS აპლიკაციების, ცხელი ხაზის ნომრების, და მსხვერპლი ქალების წარმატების ისტორიების შესახებ. ამ დროისთვის, ციფრული რესურს ცენტრის შესახებ ინფორმაცია და ვებ-ბმული საკუთარ ვებ-გვერდებზე დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტს აქვს ინტეგრირებული. ბევ-გვერდზე სისტემატიურად ქვეყნდება უამრავი ფეისბუქის საინფორმაციო პოსტი, ახალი ამბები,

77 ძალადობის მსხვერპლთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი, ფონდი „სოხუმი“, მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. http://sos-fsokhumi.ge/

სურათი: გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების ციფრული რესურსცენტრის მთავარი გვერდი

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა პირადი წარმატების ისტორიები, რაც აქტიურად ვრცელდება სოციალური მედიის საშუალებით. გარდა ამისა, აქტიურად ხორციელდება მედია კამპანიები და საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა სოციალურ და პროფესიულ ჯგუფთან (განსაკუთრებით ქალებთან), სადაც მათ დეტალურად აცნობენ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ონლაინ პლატფორმა და ასევე ეხმარებიამ ციფრული უნარების განვითარებაში. პარალელურად მიმდინარეობს სოციალურად დაუცველი, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სმარტფონების გადაცემა. ყველა ეს ღონისძიება, მნიშვნელოვნად ამარტივებს დაინტერესებული პირებისთვის ონლაინ პლატფორმაზე წვდომას.

> ვებ-გვერდს რომ გადავხედე, მივხვდი, რომ მარტო არ ვარ და ჩემნაირ ქალებს კანონი იცავს. ვიცი, რომ არსებობს უამრავი სახელმწიფო უწყება და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დამეხმაროს... ვებგვერდზე მე გავეცანი ძალადობა გამოვლილი ქალების წარმატებების ისტორიებს და იმედი გამიჩნდა, რომ მეც შევძლებ ყველა პრობლემის გადალახვას. ამას ადრე ვერასდროს ვიაზრებდი.
> **— ოჯახში ძალადობას მსხვერპლი ქალი, 28 წლის**

ჩვენი ბენეფიციარების თქმით, ვებგვერდი ქალებს დიდ იმედს და გარანტიას აძლევს, რომ ისინი მარტო არ არიან, რადგან ისინი დაცულები არიან და მათი მხარდაჭერა შესაძლებელია.

ზოგიერთი ქალისთვის ციფრული რესურსცენტრი, **პარტნიორების ძალადობრივი ქცევის შემაკავებელ** მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაც იქცა.

> ავუზიარე საიტი ჩემს ქმარს, ვაჩვენე სხვადასხვა ონლაინ აპლიკაციები და სერვისები, რომლებსაც შეუძლია ჩემი დაცვა მისგან... გავაფრთხილე, რომ სასწრაფოდ გამოვიძახებ პოლიციას საიტზე მითითებულ SOS ღილაკზე დაჭერით და ამან იმუშავა. მას შეეშინდა და ვფიქრობ, ორჯერ დაფიქრდება, სანამ რაიმე ფორმით შეურაცხყოფას მომაყენებს.
> **— ძალადობის მსხვერპლი ქალი, 38 წლის**

➜ **მუნიციპალიტეტების როლის გაძლიერება გენდერული ნიშნით/ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მასზე რეაგირების მიმართულებით.** კონფლიქტით დაზარალებული ქალების პრობლემებსა და საჭიროებებზე სათანადო რეაგირების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტ სტრატეგიებს წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება გენდერული ნიშნით/ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათთვის

მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა გენდერულად მგრძნობიარე საჭიროებების შეფასების პროცესში, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების, მათ შორის ძალადობის მსხვერპლთა საჭიროებებზე მორგებული პრევენციული ღონისძიებების და მხარდაჭერის სერვისების ინტეგრაციის ადვოკატირება მუნიციპალურ პროგრამებსა და ბიუჯეტებში.

საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებას აქვთ ლეგიტიმაცია და პასუხისმგებლობა, განახორციელონ გაეროს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ რეზოლუციების (NAP 1325) იმპლემენტაციის ეროვნული სამოქმედო გეგმა და, შესაბამისად, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალების არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში და დანერგონ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და დაცვის შესაბამისი მხარდაჭერის სერვისები, რაც გადამწყვეტი და საკვანძო საკითხია პოსტკონფლიქტური საზოგადოებებისთვის, განსაკუთრებით გაჭიანურებული კონფლიქტის და ხანგრძლივ დევნილობაში მყოფი ქალებისთვის.

თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობები რჩებიან გამოუყენებელ და არააქტიურ რესურსად დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების დაკმაყოფილებისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის შესაბამისი მომსახურებების მიწოდების თვალსაზრისით.

ქალთა ფონდა „სოხუმი", აქტიური წვლილი შეიტანა და შეაქვს ადგილობრივ დონეზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის ჩამოყალიბებაში და მისი შესაძლებლობების გაძლიერებაში, რათა გაზარდოს მათი როლი კონფლიქტით დაზარალებული ქალების კონკრეტულ საჭიროებებზე რეაგირების, მათ შორის გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების სერვისების მიწოდების მიმართულებით.

გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა მუნიციპალიტეტებში: 2013 წელს პრგანიზაციამ დააარსა პირველი გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის მექანიზმი ოთხ საპილოტე მუნიციპალიტეტში.[78] ცალკეულ მუნიციპალიტეტში პილოტირებულმა გენდერული თანასწორობის საბჭოებმა (GEC) ხელი შეუწყვეს ცვლილებებს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ცნობიერებასა და დამოკიდებულებებში ქალებისა და მარგინალიზებული ჯგუფების, მათ შორის დევნილების გენდერული პოლიტიკის შემუშავებაში ჩართვის მიმართ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და თემის ლიდერი ქალები აქტიურად ჩაერთნენ საკრებულოს სამუშაო შეხვედრებში, სადაც ისინი შესაბამის ადგილობრივ თანამდებობის პირებს უზიარებენ თავიანთ საჭიროებებს და სთავაზობენ პრობლემების მოგვარების კონკრეტულ რეკომენდაციებს; აფასებენ და აანალიზებენ ადგილობრივი მოსახლეობის გენდერულ საჭიროებებს და აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი სტრატეგიებისა და გენდერული სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში, ადგილობრივ ბიუჯეტებში კონფლიქტით დაზარალებული და ძალადობის მსხვერპლი ქალების და გოგონების დასახმარებლად თანხების გამოყოფის მიზნით.

საპილოტე პროექტმა, რომელსაც მოჰყვა ქალთა სხვადასხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ადვოკატირების ფართო კამპანიები, შედეგად გამოიღო 2016 წელს საკანონმდებლო ცვლილებების ასახვა შესაბამის კანონებში, რამაც მოახდინა **გენდერული თანასწორობის საბჭოების (GEC)** ინსტიტუციონალიზაცია. ქალთა ფონდი „სოხუმის" სამიზნე მუნიციპალიტეტებში,[79] გენდერული თანასწორობის საბჭოების ინსტიტუციური განვითარების შედეგად, მათ შორის ადგილობრივი საჯარო პირების (ადგილობრივი დეპუტატები, GEC-ის წევრები, მერები

78 პირველი მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები დაინერგა, 2016-2016 წწ. ქუთაისში, სენაკში, ოზურგეთსა და ბათუმში, გაეროს გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით.

79 ქალთა ფონდი „სოხუმის" სამიზნე მუნიციპალიტეტების რიცხვში შედის: ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ტყიბული, ბაღდათი (იმერეთის რეგიონი); ზუგდიდი, სენაკი, წალენჯიხა, ფოთი (სამეგრელოს რეგიონი); ოზურგეთი, ლანჩხუთი. ჩოხატაური (გურიის რეგიონი); ქობულეთი (აჭარის რეგიონი).

და მათი მოადგილეები, მერიის სოციალური და იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელები და სოფლების წარმომადგენლები) შესაძლებლობების გაძლიერებას მოჰყვა ადგილობრივ პროგრამებსა და ბიუჯეტებში, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ისეთი მომსახურებების ინტეგრირება, როგორიცაა: ერთჯერადი ფულადი დახმარება, ჯანმრთელობის მდგომარეობის კვლევა და მკურნალობა, ბინის ქირით უზრუნველყოფა, ბავშვთა მოვლის სხვადასხვა სერვისების შეთავაზება და მცირე ბიზნესის თანადაფინანსება.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ინტეგრირება/ლოკალიზება ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებაში: 2018 წლიდან, ქალთა ფონდი „სოხუმი“ აქტიურად არის ჩართული გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 რეზოლუციის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NAP) ლოკალიზებაში საქართველოს ჩვიდმეტ მუნიციპალიტეტში,[80] რომელიც მიზნად ისახავს, გაზარდოს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული ქალების მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ლოკალიზაციის განხორციელების პროცესში მოხდა იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების მობილიზება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება; დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგონების საჭიროებების და ინტერესების საფუძვლიანად შესწავლა და არსებული პრობლემების გადაჭრის ადვოკატირება ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებთან მიმართვის გზით. შედეგად, აღნიშნული ჯგუფების გასაძლიერებლად შემუშავდა შესაბამისი მუნიციპალური პროგრამები და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში გამოიყო ფინანსური რესურსები. განხორციელებული მოქმედებები ემსახურება ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის დაკავშირებას კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგონების კონკრეტულ საჭიროებებსა და პრიორიტეტებთან.

ქალების მიმართ/ოჯახში ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ადგილობრივი უწყებათაშორისი კომისიის შექმნა: 2009 წლიდან, ქალთა ფონდი „სოხუმი“, ორგანიზებას და ფასილიტაციას უწევს გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე პასუხისმგებელი რეფერალური სისტემის ყველა შესაბამის აქტორთა (მაგ. პოლიცია, სოციალური მუშაკები, მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირები, ექიმები, მასწავლებლები და ა.შ.) ჩართულობით ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის გაძლიერების შეხვედრებს. შეხვედრების მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სისტემაში არსებული სისუსტეების იდენტიფიცირებას და ძალადობის მსხვერპლი ქალების წინაშე არსებული პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრას.[81] ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან უწყვეტი მუშაობის შედეგად, ფონდი „სოხუმის“ ხელშეწყობით რამდენიმე მუნიციპალიტეტში შეიქმნა უწყებათაშორისი კომისიები,[82] რომელთა მიზანია გენდერული ნიშნით/ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მიზნობრივი და საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განხორციელება, და პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების მიმართულებით სისტემატური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა.

80 ლოკალიზების პროექტი ხორციელდება გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (საქართველო) პარტნიორობით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კოალიციის მიერ - დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“, ქალთა საინფორმაციო ცენტრი და ქალთა ფონდი “სოხუმი“. საპილოტე პროექტის განხორციელება დაიწყო 2018 წელს და მას მხარს უჭერდა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი; რასაც მოჰყვა 2021 წელს ახალი პროექტის განხორციელება, დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის (CSSF) დაფინანსებით. პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებია: მცხეთა, დუშეთი, ქარელი, გორი, კასპი, ხაშური, თეთრიწყარო, გარდაბანი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, საჩხერე, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, ონი და მესტია.

81 აღნიშნული ღონისძიებები მხარდაჭერილია ორგანიზაცია „პური მსოფლიოსთვის“ (Brot für die Welt)

82 2022 წელს, ფონდი „სოხუმი“ ხელშეწყობით უწყებათაშორისი კომისიები შექმნა სენაკისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტებში

ომის შემდგომი და გრძელვადიანი სტრატეგიები

ბოსნია და ჰერცოგოვინა

ეს თავი აღწერს გაერთიანებული ქალთა ფონდისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ოპერაციებსა და სტრატეგიებს ბოსნია და ჰერცეგოვინაში (BiH) ომის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა არის მოვლენა, რომელიც სცილდება კულტურებსა და სოციალურ სისტემებს, ომისა და ომის შემდგომი გარემოებები მოითხოვს ინტერვენციების კორექტირებას და ისეთი მოდელის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტიან რეაგირებას ქალებისა და გოგონების საჭიროებებზე. ქვეთავი დაიწერა გაერთიანებული ქალთა ფონდის არსებული ლიტერატურის კვლევისა და სხვა ორგანიზაციების აქტივისტ ქალებთან ინტერვიუების საფუძველზე, რომლებიც დღესაც აქტიურად ებრძვიან ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობას და მონაწილეობენ მშვიდობის დამყარების აქტივობებში.

გაერთიანებული ქალთა ფონდისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილება, სტრატეგიები და მოქმედების პროცედურები ბოსნია და ჰერცოგოვინაში ომის შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების ან/და აქტივისტების მიერ, როგორც შთაგონების წყარო, რომ არ შეწყდეს ქალებისა და მამაკაცების, და მთელი საზოგადოების წახალისება მუდმივად წინააღმდეგობა გაუწიონ ძალადობრივ პოლიტიკას, ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის გამოვლინებას; ასევე გააძლიერონ ქალთა ავტონომია საკუთარ თავთან დაკავშირებული გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისას, ნებისმიერ სოციალურ თუ პოლიტიკურ ვითარებაში.

■ გაერთიანებული ქალთა ფონდის შესახებ

გაერთიანებული ქალთა ფონდი არის არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც დაარსდა 1996 წელს ბანია ლუკაში, ბოსნია და ჰერცეგოვინის ომის შემდეგ (შეიარაღებული კონფლიქტი), რომელიც დასრულდა 1995 წელს.

აქტივისტ ქალთა ჯგუფი ბანია ლუკადან შეიკრიბა, რათა მხარი დაეჭირათ ქალებისთვის, რომლებმაც ომში დაკარგეს სახლი, საკუთრების უფლების დაცვაში დახმარების გზით. თუმცა, ქალებმა მიმართეს ასოციაციას სხვადასხვა სახის ძალადობისგან დასაცავად. იმ დროისთვის ბოსნია და ჰერცოგოვინის სასამართლო სისტემაში არ არსებობდა ინსტიტუციური ჩარჩო, რომელიც დაიცავდა ქალებსა და გოგონებს ოჯახური ან გენდერული ნიშნით ძალადობისგან, ამიტომ ორგანიზაციამ გადაიტანა თავისი სტრატეგიული ქმედება ძალადობაზე რეაგირების მექანიზმის შექმნაზე, ადგილობრივიდან სახელმწიფო დონემდე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა რაიმე პოლიტიკური გავლენის გარეშე, ამიტომ გაერთიანებულმა ქალთა ფონდმა დაიწყო მუშაობა პოლიტიკურად აქტიურ ქალებთან.

■ სოციალური კონტექსტი, რომელშიც არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს სამოქმედო სტრატეგიები ბოსნია და ჰერცოგოვინის ომის შემდეგ

ომის შემდეგ, ქალთა უფლებების აქტივისტები ბოსნია და ჰერცეგოვინადან მუშაობდნენ საზოგადოებაში, სადაც არ იყო გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, პირადი და საკუთრების უსაფრთხოება, მუშაობის უფლება და საკუთარი საცხოვრებლის უფლება. სამშვიდობო ხელშეკრულებამ „დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება" დაამყარა მშვიდობა და შექმნა ფრაგმენტული პოლიტიკური სტრუქტურა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. პოლიტიკური არასტაბილურობა დაბრუნდა კონსენსუსის მუდმივი არარსებობის გამო მმართველ საპარლამენტო

პარტიებს შორის, რომლებიც ეთნიკური ხასიათის იყო და სწორედ ამიტომ იყო საერთაშორისო თანამეგობრობის გავლენა ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში იყო საყოველთაო. დეიტონის შეთანხმების შესრულებაზე ზედამხედველობისთვის დაინიშნა საერთაშორისო თანამეგობრობის უმაღლესი წარმომადგენელი. უმაღლეს წარმომადგენელს, ბონის უფლებამოსილებების წყალობით, უფლება ჰქონდა მიეღო კანონები და გადაეყენებინა საჯარო თანამდებობის პირები, რომლებიც ხელს უშლიდნენ დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების განხორციელებას.

საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი დაუჭირა არასამთავრობო სექტორსაც, დაფინანსდა პროგრამები და პროექტები, რომელთა მიზანი იყო დემოკრატიის დამკვიდრება და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების გაძლიერება.

შვედურმა ფონდმა Kvinna till Kvinna-მ დაიწყო მუშაობა ბოსნია და ჰერცოგოვინაში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რაიონებში ქალების დასახმარებლად. მან ასევე მხარი დაუჭირა ქალთა გაერთიანებულ ფონდს პირდაპირი დახმარების სერვისების დაფინანსებით, სერბსკას რესპუბლიკაში პირველი დახმარების ცხელი ხაზით და ქალებისთვის უფასო იურიდიული დახმარების ოფისის გახსნით. დღეს, შვედური ფონდი Kvinna till Kvinna, რომელმაც დაიწყო თავისი ფუნქციონირება ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, მხარს უჭერს 140-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას კონფლიქტით დაზარალებულია 20 ქვეყანაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

■ ბოსნია და ჰერცოგოვინის არასამთავრობო ორგანიზაციების გრძელვადიანი სტრატეგიები ოჯახურ და გენდერული ნიშნით ძალადობასთან ბრძოლაში ომის შემდგომ ბოსნია და ჰერცოგოვინაში

ომის შემდგომ სოციალურ ვითარებაში, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთადერთი სწორი სტრატეგია ემყარებოდა პოზიტიურ რწმენას, პროგრესისთვის კაპიტალის მატარებელ სტრატეგიებს და საზოგადოების შექმნაზე ორიენტირებულ ევროკავშირის ღირებულებებს.

> ნერილობითი სტრატეგიული დოკუმენტები ბოსნია და ჰერცოგოვინაში, იმ სახით, როგორითაც ჩვენ მათ დღეს ვიცნობთ, გაჩნდა საჯარო და სამოქალაქო სექტორში ომიდან მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ, ძირითადად 2010 წელს. ეს ეხება საჯარო პოლიტიკის თითქმის ყველა სფეროს და არა მხოლოდ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციის ან მშვიდობის მშენებლობის საკითხს. ჩვენი, როგორც ორგანიზაციის პირველი სტრატეგიული გეგმა შემუშავდა 2011 წელს, მაგრამ, არ ვიტყოდი, რომ სწორედ ამ მიზეზით არ იყო ჩვენი ოპერაციები ლოგიკურად ან სტრატეგიულად ორიენტირებული, განსაკუთრებით გენდერული ძალადობის პრევენციისთვის ბრძოლის სფეროში.
> **— რადმილა ჟიგიჩი, ლარას ფონდი, ბიელინა**

➜ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეაგირება უნდა შეესაბამებოდეს ქალთა რეალურ საჭიროებებს

ომის დროს და ომის შემდეგ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები ბოსნია და ჰერცოგოვინაში ორგანიზებული იყო, როგორც საზოგადოებაში თვალსაჩინო რეალურ საჭიროებებზე რეაგირება. აღნიშნულ საჭიროებებზე რეაგირება გულისხმობდა ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც დაიცავდა მსხვერპლს და დასჯიდა დამნაშავეებს გენდერული ნიშნით ძალადობის საპასუხოდ.

უსაფრთხო სახლი ბანია ლუკაში, 2003 წელი. ახლად შეძენილი სახლი, მოგვიანებით გადაკეთდა თავშესაფარად ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და ბავშვებისთვის

სერბსკას რესპუბლიკისა და ბოსნია და ჰერცოგოვინის ფედერაციის საზღვარი, 1997 წ. ქალთა გაერთიანებული ფონდის საქმიანობა სოფლად ქალთა ეკონომიკური გაძლიერების გასაუმჯობესებლად.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იყო **დიალოგის გამართვა ქალებს შორის ბოსნია და ჰერცოგოვინას ყველა კუთხიდან და ყველა ეთნიკური ჯგუფიდან**. სხვა ქალთა ჯგუფებთან დაკავშირებამ ბოსნია და ჰერცოგოვინასი ხელი შეუწყო ქალთა ტრეფიკინგის პრევენციას, ოჯახში ძალადობაზე უკეთ რეაგირებას და მშვიდობის მშენებლობაზე მუშაობას.

Vive Women, არასამთავრობო ორგანიზაცია ტუზლადან, დაარსდა 1994 წელს, ომის გამო და ომის დროს, გერმანიიდან სამი აქტივისტი ქალის მხარდაჭერით, რომლებიც ყურადღებას ამახვილებდნენ ტრავმის განკურნებაზე. შეიქმნა ადგილობრივი ასოციაცია და ჩამოყალიბდა თერაპიული ცენტრი, 35 საწოლიანი განყოფილება. 1994 წლიდან ვმუშაობთ ექსკლუზიურად დახურულ ცენტრში, განყოფილებაში, სადაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდნენ ომით დაზარალებული ქალები და ბავშვები. ისინი იქ ცხოვრობდნენ, ამზადებდნენ და შვილებს უვლიდნენ. ჩვენ ვცდილობდით აღგვედგინა მათში ნორმალურობის გრძნობა და გვეჩვენებინა, რომ ცხოვრება ომშიც კი იყო შესაძლებელი. სტაბილიზაციის შემდეგ ისინი გადადიოდნენ თერაპიაზე ომის დროს სხვადასხვა სახის ძალადობით მიყენებული ტრავმის განკურნებისა და დასაძლევად. 1996 წლიდან ჩვენ შევცვალეთ ოპერაციების კონცეფცია, გავხდით ღია ცენტრი სხვა ადამიანებისთვისაც და არა მხოლოდ იქ მცხოვრებთათვის. შევქმენით გუნდი, რომელიც ეწვია კოლექტიურ ცენტრებს, სადაც ძირითადად ქალები და ბავშვები იყვნენ და შესთავაზა მათ დახმარება და მხარდაჭერა. პარალელურად დავიწყეთ სკოლებში ბავშვებთან მუშაობა თაობათაშორისი ტრავმის თავიდან ასაცილებლად.
მალე საჭირო გახდა ომის მსხვერპლთა უფლებების დამკვიდრება, ამიტომ სხვა ორგანიზაციებთან ერთად დავიწყეთ ნორმების, ანუ კანონების მიღების ადვოკატირება.
— იასნა ზეჩევიჩი, Vive Women Tuzla

მნიშვნელოვანია ქალებთან პირდაპირი მუშაობის განხორციელება და უშუალო სამუშაო გამოცდილებაზე დაფუძნებული სტრატეგიების შემუშავება

ოჯახური და გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სერვისები, რომლებიც ამჟამად აქტიურია ბოსნიადა ჰერცოგოვინაში, ომამდე არარსებობდა. ომის დროს და ომის შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს პირველი დამხმარე სერვისები ძალადობის მსხვერპლთათვის, სამედიცინო განყოფილება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის, დახმარების ცხელი ხაზები, უფასო იურიდიული და ფსიქოლოგიური დახმარება, ცოტა მოგვიანებით კი უსაფრთხო სახლები. ყველა მომსახურება ქალებისა და ბავშვებისთვის უფასოა და უზრუნველყოფილია სენსიტირებული და კარგად მომზადებული პერსონალის მიერ.

გაერთიანებული ქალთა ფონდის სპეციალიზებული სერვისები გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის შემდეგია:

- უსაფრთხო სახლი ოჯახური ძალადობის და ბავშვებისთვის ბანია ლუკაში, რომელიც დაარსდა გაერთიანებული ქალთა ფონდის Banja Luka-ს ინიციატივით და გაიხსნა 2007 წლის 12 თებერვალს.
- SOS ცხელი ხაზი ძალადობის მსხვერპლთათვის
- იურიდიული კონსულტაცია
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა
- ძალადობის მსხვერპლ ქალთა ეკონომიკური გაძლიერება

1996 წლიდან 2022 წლამდე პერიოდში გაერთიანებულ ქალთა ფონდმა დახმარება გაუწია 10000-ზე მეტ ქალს, რომლებიც არიან სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლნი. უმეტეს შემთხვევაში, დახმარება იყო უწყვეტი და მოიცავდა იურიდიულ და ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, ასევე უსაფრთხო სახლში დაბინავებას და გრძელდებოდა რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე. თუმცა, დახმარება ზოგჯერ ერთჯერადი იყო, ჩარევისა და ძალადობაზე რეაგირების სახით, განსაკუთრებით SOS დახმარების ხაზზე. ომში გადარჩენილი ქალები ასევე იყვნენ მომსახურების პირდაპირი მიმღები იურიდიული, ფსიქოლოგიური კონსულტაციების, თერაპიისა და ეკონომიკური გაძლიერების გზით. **უშუალო მუშაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით,** ფონდი გეგმავს და ახორციელებს **საჯარო ადვოკატირების ქმედებებს კანონებისა და პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, მედია კამპანიები ფართო მოსახლეობისთვის და პროფესიონალების განათლება, რომლებიც ძალადობის წინააღმდეგ სისტემის პასუხის ნაწილია.**

> ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში ქალებთან პირდაპირი მუშაობა რთული, მაგრამ კარგი სტრატეგიული კურსი იყო, რომელმაც ქალთა ორგანიზაციებს ბოსნია და ჰერცოგოვინაში შესძინა ძალა და სანდოობა, რაც დაგვეხმარა ქალთა დაცვის საკითხი ძალადობისაგან, უპირველეს ყოვლისა გენდერული ძალადობისგან, თვალსაჩინო და მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად გვექცია. კონტექსტი, რომელშიც აღმოჩნდა ბოსნია და ჰერცოგოვინა 2000-იანი წლების დასაწყისში, დამძიმებული იყო ომის, პოლიტიკური განხეთქილების, ლტოლვილების დაბრუნების, გადაუჭრელი ომის შედეგებით. ქვეყანა და მისი ეკონომიკა განადგურებული იყო და ასეთ ვითარებაში ქმრის მიერ შეურაცხყოფილი ქალის დაცვის საკითხის დაყენება ისევე იყო, როგორც გასაბერი ნავით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას. ჩვენი საზოგადოება უკიდურესად პატრიარქალურია და ქალთა და ბავშვებზე ძალადობა აბსოლუტურად ნორმალიზებული იყო.
> **— რადმილა ჟიგიჩი, ლარას ფონდი, ბიელინა**

მნიშვნელოვანია იმ ქალებთან მუშაობა, რომლებმაც განიცადეს სექსუალური ძალადობა ომში

ბოსნია და ჰერცეგოვინაში ომის დროს გაუპატიურებული ქალების ზუსტი რაოდენობა უცნობია. თუმცა, ზოგიერთი შეფასებით, ომის დროს 20-დან 50 ათასამდე ქალი, ბავშვი და მამაკაცი იქნა გაუპატიურებული ან გახდა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი. ერთ-ერთი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერდა ომის დროს გაუპატიურებულ ქალებს, იყო Medica Zenica, ქალთა სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელიც მხარს უჭერს ომის დროს გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის, მშვიდობიანობის დროს ოჯახური და საზოგადოების ძალადობის სხვა ფორმებს მსხვერპლ ქალებსა და ბავშვებს.

ბოსნია და ჰერცეგოვინაში ომის დროს და მის შემდეგ, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს მნიშვნელოვანი გამოცდილება ომში გაუპატიურების მსხვერპლთათვის დახმარების გაწევაში. ამ მსხვერპლთა სპეციალიზებული დახმარება, რომელიც განვითარებულია ბოსნია და ჰერცეგოვინაში, მოიცავს გრძელვადიან ფსიქოლოგიურ კონსულტაციას, იურიდიულ კონსულტაციას და სხვა სახის დახმარებას ომის დროს გაუპატიურებულთათვის. ომის დროს დაარსებულმა ორგანიზაციებმა, რომლებმაც გაუპატიურებისა და წამების მსხვერპლთა დახმარების გამოცდილება მიიღეს, ხელი შეუწყეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარებას ბოსნია და ჰერცოგოვინაში უფრო ზოგადი გზით, მაგალითად, **ტრავმის მხარდაჭერის ფემინისტური პრინციპები გახდა უფრო ცნობადი და დაეხმარა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა მიმართული იყო ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლთა მხარდაჭერაზე.**[83]

Medica Zenica, როგორც პირველი ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია, დაარსდა 1993 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინაში ომის დროს. Medica Zenica იყო ქალთა თერაპიის პირველი ცენტრი და ქალების რეაგირება ქალებისა და ბავშვებისთვის, რომლებიც ომის ტრავმებისა და ძალადობის მსხვერპლნი არიან. იმ დროს ჩვენი მიდგომა იყო „სწავლა კეთებისას“, ჰოლისტიკური და მულტიდისციპლინარული მიდგომის შემუშავება, გადარჩენილთა კულტურული ფასეულობებისა და საჭიროებების პატივისცემა და სამუშაოს მათზე ადაპტირება, ინდივიდუალური საჭიროებების პატივისცემა აუცილებელია. ჩვენ ვხსნიდით ამას ასე: არაფერი არ უნდა იყოს კოპირებული და გადატანილი, უნდა გულისყურით მოვუსმინოთ მსხვერპლთა საჭიროებებს. მუშაობის დაწყებიდან 30 წლის შემდეგ, ჩვენი ბენეფიციარები, ომთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი და ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი მშვიდობიან პერიოდში, მკაფიოდ ხაზს უსვამენ, რომ მათი მიღება, ზრუნვა, ნდობა და წინასწარგანწყობის გარეშე მოსმენა მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი დახმარება იყო.
— დოქტორი საბიჰა ჰუსიჩი, "Medica" Zenica-ს დირექტორი

83 ქალები ძალადობის წინააღმდეგ, ევროპა (2021). სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისის შექმნისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის მიწოდების პრაქტიკები: სამართლებრივი და პრაქტიკული მიმოხილვა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პოლიტიკის შემქმნელთათვის დასავლეთ ბალკანეთსა და თურქეთში. https://cssplatform.org/wp-content/uploads/2021/09/WAVE_CSSP_Policypaper210917_web.pdf

➜ თანამშრომლობის გაუმჯობესება გადაწყვეტილების მიმღებებთან და ინსტიტუტებთან, რომლებიც ვალდებულნი არიან, რეაგირება მოახდინონ ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობაზე

თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვანი სტრატეგიაა გენდერული ძალადობის პრევენციისთვის. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად "ნორმალიზებული" იყო ძალადობა ბოსნია და ჰერცოგოვინაში გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზოგიერთმა საჯარო სამსახურმა და მათმა თანამშრომლებმა იცოდნენ პრობლემის შესახებ, მაგრამ მათ ხელთ არ ჰქონდათ მათ გადასაჭრელად აუცილებელი ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები. მაგალითად, პოლიცია, სოციალური მუშაობის ცენტრები და თუნდაც ჯანდაცვის დაწესებულებები მსგავსი სიტუაციების წინაშე იდგნენ: მსხვერპლი მათ მიმართავდა, ამიტომ მათ იცოდნენ, რომ ძალადობას ადგილი ჰქონდა; თუმცა, მათი დახმარების შესაძლებლობები შეზღუდული იყო, რადგან არ არსებობდა მოქმედების სამართლებრივი ბაზა. ისინი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების პირველი მოკავშირეები ინსტიტუციურ სექტორში, როდესაც ატარებდნენ კამპანიებს ცვლილებების ადვოკატირების კამპანიებს და მხარს უჭერდნენ კანონების მიღებას.

არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, ბოსნია და ჰერცეგოვინაში შეიქმნა ინსტიტუტების/ორგანიზაციების ქსელები, როგორც ომის წამების მსხვერპლთა/მოწმეთა და გენდერული ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერა, რომელიც განისაზღვრება როგორც მსხვერპლის მხარდაჭერა. დაწესებულებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს ადგილობრივ ოქმებს ომის დანაშაულების, სექსუალური ძალადობის ან გენდერული ნიშნით ძალადობის სხვა დანაშაულებებში მსხვერპლთა/მოწმეთა მხარდაჭერის მიზნით. პროცედურებისა და თანამშრომლობის შესახებ ადგილობრივ ოქმებს ხელი მოაწერა პოლიციამ, ჯანდაცვის დაწესებულებებმა, სასამართლო დაწესებულებებმა, სოციალური დაცვის დაწესებულებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, კონკრეტული ადგილობრივი თემის რესურსებიდან გამომდინარე.

➜ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობისა და სოლიდარობის მუდმივი განვითარება ფორმალური და არაფორმალური ქსელების მეშვეობით, ქალთა ადამიანის უფლებების გაუმჯობესების ეფექტური ადვოკატირებისთვის პირობების შექმნის მიზნით.

ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო გამოცდილების გაზიარება, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ სხვა ქალები და ქალთა ჯგუფები მუშაობდნენ იმავე საკითხზე, გაგვაძლიერა. ასე გავძლიერდით, ვისწავლეთ და შევქმენით სივრცე ერთობლივი მოქმედებისთვის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ომის შემდგომ პირველ ათწლეულში ქალთა და ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციებს კარგად არ ხვდებოდნენ, ხშირად ისინი პოლიტიკაში სტიგმატიზებული იყვნენ. ის, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, ყოველთვის არ ფასდებოდა სათანადოდ ან არ ითვლებოდა მნიშვნელოვნად და ის ფაქტი, რომ ჩვენ ვიღებდით დაფინანსებას უცხოური ფონდებიდან, იყო არგუმენტი სხვადასხვა პოლიტიკური წრეებისთვის, რომ დაერქმია ჩვენთვის „უცხოელი კონტრაქტორები“, რომლებიც ანადგურებდნენ საზოგადოებაში ეროვნულ და ზოგჯერ რელიგიურ პრინციპებსაც კი. ჩვენს თემებში ჩვენ იზოლირებულები და მარტოსული ვიყავით. სხვა ქალთა ჯგუფებთან ქსელის შექმნა იყო სტრატეგია, რომელიც გვაცოცხლებდა, სადაც იყო ჩვენი ადგილი.
— რადმილა ჟიგიჩი, ლარას ფონდი, ბიელინა

■ ქსელებისა და ინიციატივების მაგალითები ბოსნია და ჰერცეგოვინაში

ქვემოთ მოყვანილი სია წარმოგიდგენთ ზოგიერთ ინიციატივას, რომელიც დაიწყო ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის შემდეგ და შეიძლება გახდეს შთაგონება სხვა ქვეყნებისა და აქტივისტებისთვის, რომლებიც კონფლიქტის წინაშე იდგნენ ან დგანან და მიზნად ისახავენ სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივების აღდგენას და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერას.

- **უსაფრთხო ქსელი**
  უსაფრთხო ქსელი დაარსდა 2001 წელს (როგორც არაფორმალური ქსელი) და შედგებოდა 32 არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამთავრობო ინსტიტუტისგან ბოსნია და ჰერცეგოვინაში, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ძალადობის საკითხში. უსაფრთხო ქსელს აქვს რამდენიმე სტრატეგიული მიზანი, მაგრამ მისი მთავარი მიზანია გააძლიეროს არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები, იყვნენ ინსტიტუციების თანაბარი პარტნიორები გენდერული ნიშნით ძალადობაზე მუშაობაში და ჩაერთონ სამთავრობო დოკუმენტებზე, სტრატეგიულ გეგმებზე და სამოქმედო გეგმებზე მუშაობაში გენდერული ნიშნით ძალადობის სფეროში.

- **მშვიდობა ქალის სახით** [84]
  „მშვიდობა ქალის სახით“ არის ინიციატივა, რომელიც ქალის აქტივისტური მოძრაობის მეშვეობით ხსნის და წარმართავს წარსულთან შეხვედრის პროცესს და ავითარებს ქალთა მიღწევების, გამოცდილების და ტანჯვის გახსენების კულტურას, რითაც ქმნის საზოგადოებას, რომელშიც ქალი ჩანს საჯარო და პოლიტიკურ სივრცეში და არის თანაბრად ჩართული ხანგრძლივი მშვიდობის დამყარებაში. „მშვიდობა ქალის სახით“ არის ქალთა სამშვიდობო ინიციატივა, რომელიც შედგება 14 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან, რომლებსაც თავიანთი წვლილი შეაქვთ ხსოვნის კულტურის განვითარებაში, ქალთა გამოცდილების და მიღწევების შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობაში და ხაზს უსვამს ქალთა მიერ საჯარო სივრცის გამოყენების მნიშვნელობას.

- **ინიციატივა „ქალი მოქალაქეები კონსტიტუციური რეფორმისთვის“** [85]
  „ქალი მოქალაქეები კონსტიტუციური რეფორმისთვის“ არის ინიციატივა, რომელიც ხელს უწყობს ბოსნია და ჰერცეგოვინის კონსტიტუციის იდეას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უკეთეს დაცვას, განსაკუთრებული აქცენტით გენდერულ პერსპექტივაზე. ინიციატივა ჩამოყალიბდა აქტივისტებისა და ორგანიზაციების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელთა მიზანია წაახალისონ ყველა მოქალაქე, გამოიყენონ თავიანთი ცოდნა, ენერგია და მზადყოფნა ურთიერთმოქმედებისთვის და წვლილი შეიტანონ ინიციატივის მიზნების განხორციელებაში. „ქალი მოქალაქეები საკონსტიტუციო რეფორმისთვის“ არის 35 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისა და აქტივისტის არაფორმალური ჯგუფი, რომელიც მუდმივად მუშაობს სქესის და გენდერის, მშვიდობის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების ცნებებზე.

- **მშვიდობის აღმშენებლობის ქსელი** [86]
  მშვიდობის აღმშენებლობის ქსელი დაარსდა ბოსნია და ჰერცოგოვინაში სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის აღსადგენის მიზნით ყოვლისმომცველი ქმედებების განსახორციელებლად, აგრეთვე, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქსელის მიზანია, გააუმჯობესოს ბოსნია და ჰერცოგოვინის მთელი საზოგადოების უნარი, მოაგვაროს განსხვავებები და კონფლიქტები კონსტრუქციულად და არაძალადობრივი გზით და

84 Fondacija "Lara" Bijeljina-ს ვებგვერდი. მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. http://www.fondacijalara.com/mir-sa-zenskim-licem

85 ინიციატივა „ქალი მოქალაქეები კონსტიტუციური რეფორმისთვის“ ვებგვერდი.მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს.. https://grad-jankezaustavnepromjene.wordpress.com/

86 იხ., მაგ., ვებგვერდი Mreza Mira. მოძიებულია 2022 წლის 3 ოქტომბერს. https://www.mreza-mira.net/

ამით შექმნას ჩარჩო არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თემებისა და თვითმმართველობების, ბიზნეს სექტორის, მედიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების ერთობლივი, კოორდინირებული მოქმედებისთვის.

ალტერნატიული სტრატეგიებისა და მოდელების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს სიმართლისა და სამართლიანობის მიღწევას და ქალთა ადამიანის უფლებების დაცვას

ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა და სამშვიდობო ქმედება არის ის პოლიტიკური საკითხები, რომლებიც, როგორც წესი, იწვევს წინააღმდეგობას მთავრობაში და ღრმად პატრიარქალურ და ტრადიციულ საზოგადოებებში, რის გამოც აუცილებელია მოქმედების ალტერნატიული სტრატეგიების, მათ შორის დარღვევის გამოკვეთის არატრადიციული გზების ძიება და ასევე გამბედაობა და მონდომების მოთხოვნა.

ომის შემდეგ ბოსნია და ჰერცოგოვინაში არასამთავრობო ორგანიზაციების დაკავშირება მოითხოვდა ორგანიზაციის დონეზე დადგენილი საზღვრების გადაკვეთას, რაც საზოგადოებამ დახმარების ხელის ნაცვლად ღალატად აღიქვა. ქალებმა არასამთავრობო ორგანიზაციებში პირველებმა გადალახეს ეს საზღვრები და ჩამოაყალიბეს ფორმალური და არაფორმალური ჯგუფები მოქმედების გზების შესამუშავებლად.

> პირველად ჩვენ გადავკვეთეთ ეს საზღვარი 1996 წლის მარტში. ზენიცაში მოეწყო ბ ქალთა კონფერენცია. იმ დროს არსებობდა ეს სასაზღვრო ხაზი. შემდეგ წავედით ბიჰაჩში, სადაც შეიკრიბნენ აქტივისტები ხორვატიიდან და ბოსნია-ჰერცეგოვინიდან, რათა შერიგებულიყვნენ და მოეზიდათ აქტივიზმისკენ ქალები. ეუთოს მისიასთან ერთად ვიმოგზაურეთ მთელი ქვეყნის მასშტაბით და ვაყალიბებდით ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს.
> **— ნადა გოლუბოვიჩი, მშვიდობის აქტივისტი გაერთიანებული ქალთა ფონდიდან, ბანია ლუკადან**

■ ქალთა სასამართლო, როგორც მართლმსაჯულების ალტერნატიული მოდელი

ქალთა სასამართლო არის ადგილი ქალთა ხმებისთვის, ქალების ჩვენებების შესახებ მათი ყოველდღიური გამოცდილების შესახებ, რომლებიც მიიღეს ომისა და მშვიდობიან დროს. ქალთა სასამართლოებში ქალები აძლევენ ჩვენებას ძალადობის შესახებ კერძო და საჯარო სცენაზე, ასევე ქალების მიერ ორგანიზებულ წინააღმდეგობაზე. პირველი ქალთა სასამართლო მოეწყო ლაჰორში, პაკისტანში 1992 წელს. ამ დროისთვის, სულ 40 ქალთა სასამართლო გაიმართა მთელ მსოფლიოში, ძირითადად აზიასა და აფრიკაში. 2010 წლის ბოლოს, საინიციატივო კომიტეტის წევრებმა, რომელშიც შედიოდნენ: ქალები ქალებისთვის სარაევოდან (ბოსნია და ჰერცეგოვინა), ქალთა და სამშვიდობო განათლების ცენტრი ანიმა კოტორიდან (ჩერნოგორია), ქალთა კვლევების ცენტრი და ომის მსხვერპლ ქალთა ცენტრი ზაგრებიდან (ხორვატია), კოსოვოს ქალთა ქსელი, ქალთა კვლევები და ქალები შავებში ბელგრადიდან (სერბეთი), წამოიწყო ინიციატივა ყოფილ იუგოსლავიაში ქალთა სასამართლოს ორგანიზების შესახებ.

7 რეკომენდაციები

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა გავაუმჯობესოთ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენცია და მასზე რეაგირება კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროს და მის შემდეგ. ის ეფუძნება წინა თავებში გაზიარებულ გამოცდილებას და სტრატეგიებს და ეხება როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე ადგილობრივ/ეროვნულ/საერთაშორისო ხელისუფლებას.

- უნდა მოხდეს დაჟინებით მოთხოვნა, რომ გენდერული ძალადობის საკითხთან მუშაობა იყოს არა მხოლოდ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა, არამედ ასევე სისტემის, რომელშიც ეს ძალადობა ხდება. ყოველთვის მოუწოდეთ სახელმწიფო ინსტიტუტებს პასუხისმგებელნი იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, დაცვისა და დევნისთვის.
- აუცილებელია ქალების ორგანიზების შენარჩუნება და გაძლიერება იმ საზოგადოებებში, რომლებიც კრიზისის წინაშე დგანან, კონფლიქტის დროს და კონფლიქტის შემდეგ, განსაკუთრებით თუ ქალთა მონაწილეობა არაპროპორციული ან არასაკმარისია. ქალთა ორგანიზაციებს შორის კავშირები და **ქსელები**, განსაკუთრებით ქალ პოლიტიკოსებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების ქალ აქტივისტებთან, არის საფუძველი ომის დროს და მის შემდეგ ქალთა პრიორიტეტების საჯარო პოლიტიკაში ჩართვისთვის.
- აუცილებელია იმის გაცნობიერება, რომ კონფლიქტი იწვევს ყველა სახის გენდერული ძალადობის ესკალაციას, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ფემიციდი ან ძალადობა საჯარო სივრცეში და გადაეცით ეს ქალებს და მოძრაობებს კრიზისის ადგილებში. მნიშვნელოვანია მუდმივად **ხაზგასმით აღნიშნოთ რისკები, რომელთა წინაშეც ქალები დგანან** კონფლიქტის დროს და მის შემდეგ და მოუწოდეთ ყველა ინსტიტუციურ და ექსტრა-ინსტიტუციურ მექანიზმს მოქმედებისკენ. ქალთა მიმართ ძალადობის **პრევენცია** უნდა იყოს ყველა ქმედების ნაწილი, რათა ხელი შეუშალოს კრიზისებს და კონფლიქტებს, ხოლო სამშვიდობო მოლაპარაკებების დღის წესრიგში ეს სავალდებულოა.
- სასურველია, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მუშაობენ კონფლიქტის მაღალი რისკის ზონაში, აწარმოონ მოლაპარაკება **საერთაშორისო დონორ საზოგადოებასთან**, რათა ჰქონდეთ ბიუჯეტის მოქნილობა, გადაიტანონ ფინანსური რესურსები ჰუმანიტარული მხარდაჭერისა და პირველადი დახმარების პაკეტების უზრუნველყოფისთვის ომის გაჩაღების შემთხვევაში.
- **შეზღუდული მობილურობისა და დამატებითი მოწყვლადობის მქონე ქალებისა და გოგონების საჭიროებების** გათვალისწინება და პრიორიტიზაცია (მაგალითად, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და 75+ წელს გადაცილებული ქალები). დამატებითი მოწყვლადობის მქონე ქალებისთვის თავშესაფრების (ან თავშესაფრებში ოთახების) დაჯავშნა აუცილებელია სოციალური სერვისების ეფექტური დაგეგმვისა და ომის დროს და ომის შემდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა შორის რესურსების სამართლიანი განაწილების უზრუნველსაყოფად.
- **არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა დააფიქსირონ თავიანთი საქმიანობა** კონფლიქტის შემდეგ და აწარმოონ ჩანაწერები ყველა მათი აქტივობისა და ინიციატივის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათი სანდოობის ჩამოყალიბებას და გენდერული ძალადობის საკითხისა და მათი შედეგების ხილვადობის უზრუნველყოფის შესაძლებლობებს.

- ომის შემდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა არ უნდა შემოიფარგლოს გარკვეული პროექტის ბიუჯეტის ფარგლებში. აუცილებელია **მუდმივი ფსიქოლოგიური დახმარება** გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთათვის პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის (პტსა) პრევენციისთვის და სრული გამოჯანმრთელებისთვის, ნაცვლად იმისა, რომ ჩატარდეს ინტერვენცია, რომელიც არის მოკლევადიანი და შემოიფარგლება რამდენიმე საკონსულტაციო სესიით.

- **მნიშვნელოვანია საცხოვრებლებში და დევნილთა კოლექტიური განსახლების ცენტრების მხარდაჭერაში ინვესტირება**, რადგან არსებობს პოტენციური კავშირი გადატვირთულ კოლექტიურ დასახლებში მცხოვრები დევნილების განთავსების გამოწვევებსა და გენდერული ნიშნით ძალადობის გაზრდილ რისკებს შორის. ამ მოწყვლადი ჯგუფებისთვის განსახლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების შემუშავებისას, მნიშვნელოვანია გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების სტრატეგიების განხილვა. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალები (განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებული ქალები, რომლებსაც არ აქვთ უსაფრთხო საცხოვრებელი) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, განსახლდნენ და დარჩნენ სოციალურ საცხოვრებელში გონივრული პერიოდის განმავლობაში, სანამ ისინი საკმარისად გაძლიერდებიან დამოუკიდებლად ცხოვრების გასაგრძელებლად.

- არასამთავრობო ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში უნდა ჩართონ ყველა **რისკის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის შემდეგ ძალადობის გავრცელებას.** საზოგადოებებში, რომლებმაც გაიარეს შეიარაღებული კონფლიქტი, ძალზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სახის იარაღის ფლობის კონტროლის მოთხოვნა, რადგან ამ იარაღის არსებობა ხელს უწყობს ძალადობის სასტიკი ფორმების გავრცელებას და ასევე ზრდის ფემიციდის რისკს.

- **აუცილებელია ისეთ სოციალურ ნორმებთან დაპირისპირება, რომლებიც დაკავშირებულია გენდერული ნიშნით/ოჯახში ძალადობის მიმღებლობასა და შემწყნარებლობასთან პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში და იმ სტიგმაზე მუშაობა, რომელსაც აწყდება კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის მსვერპლი.** ასევე აუცილებელია, ცნობიერების ამაღლების ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი კამპანიების წარმოება, ქალებსა და მამაკაცებთან, გოგონებსა და ბიჭებთან, მათ შორის მოწყვლადი ჯგუფებთან, მაგ. იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, განსაკუთრებით მათთან, ვინც ცხოვრობს სოფლად და დევნილთა დასახლებებში, რთულ საცხოვრებელ გარემოში მცხოვრებ და ყოფილი მებრძოლებთან; ისეთ პროგრამებში ინვესტირება, რომელიც ფოკუსირებულია მამაკაცებისა და ქალების განათლებაზე ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონებისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესახებ.

- **იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა.** მნიშვნელოვანია რომ განხორციელდეს ომის და გაჭიანურებული პოსტკონფლიქტური ტრავმების ზემოქმედების საფუძვლიანი შეფასება დევნილთა და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და მამაკაცების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე (განსაკუთრებული აქცენტი ძალადობის მსხვერპლებსა და ყოფილ მებრძოლებზე) და შესაბამისი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ჯანდაცვის პროგრამების შეთავაზება.

- **ქალთა ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე მეტი ფოკუსირება** გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და რეაგირების პროცესში. კონფლიქტით დაზარალებულ ქალებს არ აქვთ გადარჩენის ეკონომიკური შესაძლებლობები და აგრძელებენ კონფლიქტის ემოციურ და ფიზიკურ ნაწიბურებთან შეგუებას, ზრუნვისა და დამოკიდებულების მძიმე ტვირთის და საკუთარ სახლებში ყოველდღიური ძალადობის პირობებში ცხოვრებას. პოსტკონფლიქტურ პირობებშიეკონომიკური აღდგენის პროგრამების შემუშავებისას მნიშვნელოვანია კონფლიქტით

დაზარალებული ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების განხილვაში, შემუშავებასა და განხორციელებაში. მრავალფეროვანი ბარიერები, რომლებიც არსებობს იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის დასაქმების ან სხვა ეკონომიკური პროგრამების წვდომისას, საფუძვლიანად უნდა შეფასდეს და გადაიჭრას.

- **დევნილების და კონფლიქტით დაზარალებული ადამიანების, როგორც არაერთგვაროვანი ჯგუფის აღიარება**, განსაკუთრებული და მრავალფეროვანი საჭიროებებით და მათი საჭიროებების გათვალისწინება (ქალებსა და გოგონებზე განსაკუთრებული აქცენტით) პოლიტიკისა და ინიციატივების შემუშავებისას.

ტერმინოლოგია

ოჯახში ძალადობა
ოჯახში ძალადობა (DV) ნიშნავს ფიზიკური, სექსუალური, იძულებითი, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ხდება ოჯახში ან ოჯახურ გარემოში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა და პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, იზიარებს თუ არა მსხვერპლი და მოძალადე ერთსა და იმავე საცხოვრებელს.[87]

გენდერული ნიშნით ძალადობა
ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობა ნიშნავს ძალადობას, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არაპროპორციულად მოქმედებს ქალებზე.[88] გენდერული ნიშნით ძალადობა გაგებულია, როგორც დისკრიმინაციის ფორმა და მსხვერპლის ძირითადი თავისუფლებების შელახვა და მოიცავს ძალადობას ახლო ურთიერთობებში, სექსუალურ ძალადობას (მათ შორის გაუპატიურებას, სექსუალურ ძალადობას და შევიწროებას), ადამიანებით ვაჭრობას, მონობას და სხვადასხვა სახის მავნე პრაქტიკას, როგორიცაა იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება და ე.წ. გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი შვილები ხშირად საჭიროებენ განსაკუთრებულ მხარდაჭერას და დაცვას.[89]

იძულებით გადაადგილებული პირები
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იძულებით გადაადგილების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, ეს არის „პირები ან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც აიძულეს ან დაავალდებულეს, გაქცეულიყვნენ ან დაეტოვებინათ თავიანთი სახლები ან ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, შეიარაღებული ძალების ზემოქმედების შედეგად ან თავიდან აცილების მიზნით. კონფლიქტი, განზოგადებული ძალადობის სიტუაციები, ადამიანის უფლებების დარღვევა ან ბუნებრივი ან ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები და ვინც არ გადაკვეთა საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი".[90] თუმცა, ეს არის აღწერილობითი განმარტება, რომელიც არ ანიჭებს განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს, რადგან დევნილები, თავიანთი ქვეყნის შიგნით ყოფნისას, ინარჩუნებენ ყველა უფლებასა და გარანტიას, როგორც მოქალაქეები და თავიანთ ქვეყანაში სხვა ჩვეულებრივი მცხოვრებლები. ეროვნულ ხელისუფლებას ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა იძულებით გადაადგილების თავიდან აცილებასა და დევნილების დაცვაზე.

მსხვერპლი
წინამდებარე გზამკვლევი იყენებს ტერმინს „მსხვერპლი", როგორც სასურველი ტერმინი, რათა გააძლიეროს ქალები იმის აღიარებით, რომ ქალი გადაურჩა ძალადობას და არ არის ამით განსაზღვრული. ტერმინი მსხვერპლი არის იურიდიული ტერმინი, რომელიც ნიშნავს ფიზიკურ პირს, რომელმაც განიცადა ზიანი (მათ შორის ფიზიკური, გონებრივი ან ემოციური ზიანი ან ეკონომიკური ზარალი), რომელიც უშუალოდ იყო გამოწვეული სისხლის სამართლის დანაშაულით.[91]

ომი/კონფლიქტი
ტერმინები "ომი" და "კონფლიქტი" წინამდებარე გზამკვლევში ურთიერთშემცვლელად გამოიყენება და ეხება შეიარაღებულ კონფლიქტს. საერთაშორისო სამართალში არსებობს შეიარაღებული კონფლიქტის ორი ტიპი: საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი.[92] საერთაშორისო

87 ევროპის საბჭოს ქალების მიმართ ძალადობის პრევენციის და ქალების მიმართ და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კონვენციის (სტამბულის კონვენცია) მუხლი 3(b).

88 იგივე

89 ჩამონათვალი 17, ევროპარლამენტის და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, რომელიც ადგენს დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და ჩაანაცვლებს საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას 2001/220/JHA

90 UCHA (2001). იძულებით გადაადგილების სახელმძღვანელო პრინციპები. გაერო. https://www.internal-displacement.org/sites/default/files/publications/documents/199808-training-OCHA-guiding-principles-Eng2.pdf

91 ევროპარლამენტის და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU, რომელიც ადგენს დანაშაულის მსხვერპლის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალურ სტანდარტებს და ჩაანაცვლებს საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას 2001/220/JHA

92 ჟენევის აკადემია (2017). საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტი. მოძიებულია 2022 წლის, 3 ოქტომბერს. https://www.rulac.org/classification/international-armed-conflict#:~:text=An%20international%20armed%20conflict%20is%20an%20armed%20conflict,war%20is%20not%20recognized%20by%20one%20of%20them%E2%80%99.

შეიარაღებული კონფლიქტი (IAC) ხდება მაშინ, როდესაც არის კონფლიქტი ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის, რომლებიც იყენებენ შეიარაღებულ ძალას ერთმანეთის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში მოქმედებს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. თუმცა, დღევანდელი კონფლიქტები, ძირითადად, არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტებია (NIAC). NIAC არის კონფლიქტები, რომლებიც ხდება იმავე სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში შეიარაღებული მონაწილე მხარეები ებრძვიან სახელმწიფოს ან საკუთარ თავს. იმისათვის, რომ ეს კონფლიქტები NIAC-ად ჩაითვალოს, საჭიროა არასამთავრობო შეიარაღებული ძალების ორგანიზება და ძალის გამოყენება გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

ქალთა ცენტრები

ტერმინი „ქალთა ცენტრი“ მოიცავს ქალებისთვის განკუთვნილ ყველა სერვისს, რომელიც უზრუნველყოფს მსხვერპლის არასაცხოვრებელ სპეციალიზებულ დახმარებას, ემსახურება მხოლოდ ან ძირითადად ძალადობის მსხვერპლ ქალებს და მათ შვილებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ქალთა ცენტრები უზრუნველყოფენ მოკლე და გრძელვადიან მხარდაჭერას, რომელიც ეფუძნება გენდერულ მიდგომას ძალადობის მიმართ და ფოკუსირებულია ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა უსაფრთხოებაზე. ტერმინის მოიცავს შემდეგ სერვისებს: ქალთა საკონსულტაციო და კრიზისული ცენტრები, გენდერული ნიშნით ძალადობის ყველა ფორმის გადარჩენილი ქალების მხარდაჭერა; რეგიონული კრიზისები ორიენტირებული ოჯახურ ძალადობაზე; პროაქტიული ინტერვენციის ცენტრები, რომლებიც ემსახურებიან გადარჩენილებს პოლიციის ინტერვენციების შემდგომი სახით; სპეციალიზებული სერვისები შავკანიანი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების, მიგრანტი და ლტოლვილი ქალების და ძალადობის მსხვერპლთათვის; აუთრიჩ სერვისები; საოჯახო ან სექსუალური ძალადობის დამოუკიდებელი მრჩევლები და სხვა უახლესი სერვისები. ეს ცენტრები ჩვეულებრივ უზრუნველყოფენ შემდეგი სახის მხარდაჭერას: ინფორმაცია, რჩევა, ადვოკატირება და კონსულტაცია, პრაქტიკული მხარდაჭერა, სასამართლო/პოლიცია/სოციალური სერვისების თანხლება, პროაქტიული მხარდაჭერა, ურთიერთგაგება და სხვა სერვისები.

ქალთა თავშესაფრები

ქალთა თავშესაფრები არის სპეციალიზებული დამხმარე სერვისები ძალადობისგან გადარჩენილი ქალებისა და მათი შვილებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და უზრუნველყოფენ დაუყოვნებლივ წვდომას უსაფრთხო საცხოვრებელზე. ეს უზრუნველყოფს გაძლიერებულ მხარდაჭერას, რომელიც ეფუძნება გენდერულ მიდგომას ძალადობის მიმართ და ფოკუსირებულია ადამიანის უფლებებსა და მსხვერპლთა უსაფრთხოებაზე, ამიტომ ქალთა თავშესაფრების ფუნქციები სცილდება გადაუდებელი უსაფრთხო ადგილის უზრუნველყოფის ფარგლებს. ისინი ასევე გვთავაზობენ გრძელვადიან მხარდაჭერას, რათა უზრუნველყონ ქალებისა და მათ შვილებისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაძლებლობა და რესურსები, რათა განაახლონ თავიანთი ცხოვრება ძალადობის გარეშე. ქალთა თავშესაფრების მიერ მოწოდებული სერვისების ზოგიერთი მაგალითი მოიცავს კონსულტაციას, იურიდიულ კონსულტაციას, დახმარებას სასამართლო პროცესის განმავლობაში, შრომის ბაზარზე შესვლის/ხელახლა შესვლის მხარდაჭერას და ქალთა თავშესაფარში ყოფნის შემდეგ გრძელვადიანი საცხოვრებლის პოვნის შემდგომ მხარდაჭერას.

ქალთა სპეციალიზირებული მხარდაჭრის ცენტრები

ქალთა სპეციალიზებული მხარდაჭერის სერვისები ემსახურება გენდერული ძალადობის მსხვერპლთა სპეციფიკურ საჭიროებებს. ეს ტერმინი გამოიყენება, როგორც კოლექტიური ტერმინი, რომელიც მოიცავს ყველა სერვისს, რომელიც მხარს უჭერს ძალადობის მსხვერპლ ქალებსა და მათ შვილებს, როგორიცაა ქალთა დახმარების ცხელი ხაზები, ქალთა თავშესაფრები, ქალთა ცენტრები, გაუპატიურების კრიზისული და სექსუალური ძალადობის ცენტრები, სპეციალიზებული სერვისები მიგრანტი და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისათვის, აუთრიჩ სერვისები, ოჯახში ძალადობის დამოუკიდებელი მრჩევლები, ინტერვენციის ცენტრები და სხვა. ასეთ სერვისებს ხშირად აწარმოებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და საუკეთესოდ არის უზრუნველყოფილი ქალთა ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მიმართავენ გენდერულ მიდგომას და ეფუძნებიან ფემინისტურ პრინციპებს.

WAVE

WOMEN
AGAINST
VIOLENCE
EUROPE